ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

cfvif,fsb7 $ vfhnb7 @)!$ 152 (6363) afcb5 #) stshb

## თინათინ ხიდაშელი: „უკრაინაში სახეზეა სრულმასშტაბიანი აგრესია“ გვ.4



# ცემა-ტყეპა ნაციონალების თავყრილობაზე გვ.5



## რუსული აგრესია გრძელდება

მთელი მსოფლიო მოსკოვის მოქმედებას გმობს გვ.11





## ვისი უფლებები გაიზრდება კონსტიტუციით?! გვ.3

## ნუგზარ წიკლაური: „ნაციონალური მოძრაობა პარლამენტის თბილისში გადმოტანას მხარს არ დაუჭერს“ გვ.5





## ვახტანგ მაისაია: „სააკაშვილთან პირადი დაპირისპირება მქონდა“ გვ.2

## „უკრაინაში მოვლენები 2008 წლის აგვისტოს სცენარით ვითარდება“ გვ.6



გვ.5

## გია ვოლსკი: „საქართველოში რუსულ აგრესიას ნაციონალებმა შეუწყვეს ხელი“

## შალვა ხაჭაპურიძე: „არჩილ ქბილაშვილის კისერზეა კეზერაშვილის გარეთ გამოშვება“



გვ.4



გვ.6

## რა უნდა რუსეთს


## 18 თებერვლიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

## საქართველოს ისტორია

საერო და საეკლესიო 100 რუკის მიხედვით

აფცბ უფპტსსფყ ტჰსფლ & ქფჰბ





**6** საზოგადოების შეურაცხყოფაზე დაფუძნებული სამართლიანობის აღდგენის თანამედროვე ვარიაციები

**2** „რუსთავი 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორი გარდაიცვალა

**3** 7 ქვეყანა „დიდი რვიანის“ სამიტის მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობას აჩერებს

**6** ანზორ წოწონავა: „რუსეთს აფხაზეთის დათმობა მოუწევს“

ISSN 1987-9385

# ვახტანგ მაისაია: სააკაშვილთან პირადი დაპირისპირება მქონდა“

## რაში გამოიჭირეს ექს-პრეზიდენტი

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ საქართველოს გეოსტრატეგიისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელთან, ყოფილ პოლიტპატიმარ ვახტანგ მაისაიასთან

***— ბატონო ვახტანგ, იქნებ გაგვარკვიოთ, რა პროცესებთან იყო დაკავშირებული ზაზა აზარიაშვილი, რომელსაც, როგორც თვითონ აცხადებს, წყნეთის პოლიცია დაემუქრა? აზარიაშვილმა განაცხადა, რომ ციხეში ყოფნის დროს მას დავალებული ჰქონდა თქვენი მოკვლა.***

— აზარიაშვილი ჩემი თანამოსაკნე იყო. 2010 წლის 23 სექტემბერს შემომისახლეს. მასთან ერთად იყვნენ ლევან ოგანეზოვი და ბესიკ ნავარიანი. მაშინ პოლიტიკური აქცია მქონდა ჩატარებული. მე და მელორ ვაჩნაძემ ჩავატარეთ პოლიტიკური აქცია. ამიტომ მაგ დროს განხორციელდა ჩემზე ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტი. მე ვიყავი საშინლად ნაცემი.

***— ვინ მოახდინა ფიზიკური ანგარიშსწორება?***

— უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა ყაჭეიშვილმა და ქილერა დირექტორმა მუხაძემ. დავალება, ბუნებრივია, ზემოდან იყო. დანარჩენები იყვნენ ჭანჭიკები. ესენი უფრო მაღალი დონიდან ღებულობდნენ დავალებებს. 2010 წლის 24 აგვისტოს ღამით შემოვიდა მუხაძე და მითხრა, რომ იმ დღეს მოხდებოდა ჩემი ლიკვიდაცია. მაშინ მელორ ვაჩნაძემ მიიღო ეს ინფორმაცია, გამოიჩინა ვაჟკაცობა და ატეხა ერთი ამბავი – საკანი დაწვა. ამან გამოიწვია ჩემი ლიკვიდაციის გადავადება.

***— ეს მუხაძის მხრიდან გაფრთხილება იყო?***

— რა თქმა უნდა, გაფრთხილება იყო. წარმოიდგინეთ, მაშინდელი ხელისუფლების – მიხეილ სააკაშვილის რეაქცია. მე ვიყავი მიხეილ სააკაშვილის პირადი პატიმარი. თვითონ ლაპარაკობდა ჩემზე.

***— ლაპარაკობდა?***

— სააკაშვილი სულ ჩემზე ლაპარაკობდა და პირადი დაპირისპირება ჰქონდა. პოლიტიკური პატიმარი, მით უმეტეს, ვიყავი ყველანაირი კუთხით. წარმოიდგინეთ, ამ სიტუაციაში მაისაიამ გამოაცხადა პოლიტიკური აქცია – შიმშილობა.

***— სააკაშვილს პირადი დაპირისპირება რატომ ჰქონდა?***

— არ ვიცი, ჰკითხეთ სააკაშვილს. ის კარგად აგიხსნით. ეს გრძელი ისტორიაა.

***— სად გადაიკვეთა თქვენი გზები?***

— ჩვენი გზები ლონდონში გადაიკვეთა, მაღალი დონის შეხვედრაზე, სადაც „დი ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი ედუარდ ლუკასიც იმყოფებოდა. მას მიხეილ სააკაშვილი დიდ თანხას აძლევდა, რომ ერთი სტატია დაეწერა. ედუარდ ლუკასისა და ნატოში ჩემი კონტაქტების მეშვეობით ხდებოდა ნამდვილი ინფორმაციის მი-



წოდება, რა ხდებოდა საქართველოში 7 ნოემბერთან და სხვა საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით. შესაბამისად, დემოკრატიის მდგომარეობაზე ინფორმაცია მიეწოდებოდა დასავლურ საზოგადოებას.

***— ეს რომელი წელი იყო?***

– 2008-2009 წლები.

***— ე.ი. სააკაშვილისა და თქვენი გზები გადაიკვეთა. პირადი დაპირისპირება ჰქონდა სააკაშვილს თქვენთან. კონკრეტულად, ლონდონში რატომ მოხდა სააკაშვილთან დაპირისპირება?***

— ლონდონში მაღალი დონის წარმომადგენლობასთან გავაკეთე მოხსენება საქართველოსთან დაკავშირებით. მტკიცებულებაც არსებობს – 16 დეკემბერს გავაკეთე მოხსენება, 20 დეკემბერს ჩამოვედი თბილისში და 24 დეკემბერს დაიწყო ჩემზე ფარული მიყურადება.

***— თქვენ ლონდონში ისაუბრეთ სააკაშვილის რეჟიმზე?***

— რა თქმა უნდა, სააკაშვილის რეჟიმზე რომ არ მესაუბრა, სააკაშვილი, ელემენტარულად, არ გასცემდა ბრძანებას ჩემზე მიყურადების, დაპატიმრებისა და ლიკვიდაციისას. ეს ყველაფერი მოდის მიხეილ სააკაშვილისაგან. მიხეილ სააკაშვილს რომ უნდოდა ჩემი ლიკვიდაცია და ამ საქმის შესრულება მაშინ დაავალა მუხაძეს ვანო მერაბიშვილის მეშვეობით, ამაში ეჭვი არ მეპარება, რადგან მუხაძე იყო ჭანჭიკი და, ბუნებრივია, მიხეილ სააკაშვილს ემორჩილებოდა. ჩემი განადგურება უნდოდათ, რადგან მე და მელორ ვაჩნაძემ სააკაშვილის პერიოდში ქართულ პენიტენციალურ სისტემაში ჩავატარეთ საპროტესტო აქცია.

***— ანუ იშიმშილეთ?***

— დიახ, 38 დღე ვიშიმშილეთ, რომელიც საერთაშორისო დონეზე გახმოვანდა და საკმაოდ მძიმე შედეგები მოუტანა თუნდაც მიხეილ სააკაშვილს. პოლიტიკური მოთხოვნები გვქონდა: პოლიტპატიმრების გათავისუფლება, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, ადამიანის უფლებების დაცვა და საპყრობილეებში თავისუფალი გაზეთების შემოტანა. ყველა მხრიდან ხდებოდა ზეწოლა, რომ როგორმე შეგვეწყვიტა აქცია. ჩემი აქცია სააკაშვილისთვის სასიკვდილო დარტყმა იყო იმიტომ, რომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ ამაზე რეაქცია გააკეთა. ჩემს სისხლის სამართლის საქმეს ადევს გრიფით „საიდუმლო“. თუ გრიფ „საიდუმლოს“ მოხსნიან, გაეცემა პასუხი კითხვას, რატომ უნდოდათ ჩემი ლიკვიდაცია. ამიტომ გრიფი „საიდუმლო“ უნდა მოეხსნას და მასმედიას უნდა მიეცეს საშუალება, გაეცნონ ჩემს სისხლის სამართლის საქმეს.

***— სანამ გრიფი ადევს, თქვენ არ გაქვთ უფლება ისაუბროთ?***

— უფლება მაქვს ვისაუბრო, მაგრამ სჯობს მედიამ თვითონ წაიკითხოს, რატომ უნდოდათ ჩემი ლიკვიდაცია. იქ ისეთი რაღაცები წერია, რომ... აზარიაშვილს პირდაპირ დაავალეს ჩემი ლიკვიდაცია. მან უარი განაცხადა ამ დავალების შესრულებაზე. ამიტომ ის სასტიკად აწამეს. ჩემ თვალწინ სცემეს. მან სცადა გაფრთხილება, რომ მე რაღაც ცუდს მიმზადებდნენ. როგორც კი ეს თქვა, კორპუსის რეჟიმის უფროსი (გვარი აღარ მახსოვს. მისი გვარის დადგენა ძალიან მალე შეიძლება) თუ იქნება პოლიტიკური ნება, რომ ეს საქმე გამოიძიონ, ამას ხუთ წუთში დაადგენენ, თუ არადა, გასაგები იქნება, რასთან გვაქვს საქმე. ამასთან დაკავშირებით გაიყვანეს ზაზა აზარიაშვილი. ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა. ჩემი საკანი ისმინებოდა. ჩემს საკანში დამონტაჟებული იყო ვიდეოთვალი და მოსასმენი აპარატურა ერთდროულად. ამიტომ, მითხრა თუ არა აზარიაშვილმა, რომ ჩემს ლიკვიდაციას აპირებდნენ, შემოვარდნენ, გაიყვანეს და საშინლად აწამეს. მას ფეხის ფრჩხილები დააძრეს და 32 საათის განმავლობაში ჩაკეტეს მორგში, სადაც მიცვალებულთან დააბეს.

***— ახლა ამ საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობს?***

— გამოძიება ძალიან ჭიანურდება. დეკემბერში შევიტანეთ საჩივარი. ჩემი, ზაზა აზარიაშვილისა და ალექსანდრე თედეევის საქმეები ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრმა აიღო. ცენტრის წარმომადგენელი თამუნა ავალიანი ახორციელებს ჩვენს დაცვას. დღემდე დაზარალებულის სტატუსსაც კი არ მაძლევენ, რადგან, როგორც ჩანს, პოლიტიკური ნება არ არის. მტკიცებულებები ბევრზე ბევრია. თანაც ვახტანგ მაისაიას საქმე რიგითი არ არის (ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი საქმეა), ამ საქმის კურატორობა აიღეს ნატოს სტრუქტურებმა, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა და წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა, ანუ საერთაშორისო დონის საქმეა. ახლაც კი გამოძიების მხრივ არაფერი იძვრის ადგილიდან. პოლიტიკურო ნება არ არის, ალბათ.

***— ე.ი. ამ საქმეში აზარიაშვილი არის მოწმე და დაზარალებული – წამების მსხვერპლი.***

— დიახ.

***— ეს იყო მიზეზი წყნეთის პოლიციელთა მუქარისა?***

— დიახ, ამაზე იყო მთელი ამბავი.

***— წყნეთის პოლიცია რა შუაშია?***

— მათ მიღებული აქვთ დავალება, როგორმე შეაჩერონ მოწმე ზაზა აზარიაშვილი. ამას რად უნდა დიდი ფილოსოფია. მაღალჩინოსნები ძალოვანი სტრუქტურებიდან, როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ დააშინებდნენ ზაზა აზარიაშვილს და როგორმე შეაჩერებდნენ აღნიშნულ საქმეს. ამით ისიც მტკიცდება, რომ ზაზა აზარიაშვილი სიმართლეს ამბობდა. ამას ადასტურებს მასზე განხორციელებული აღნიშნული ზეწოლა. თუ ადამიანი ტყუის, მაშინ რად უნდა მას ზეწოლა. ამიტომ ზეწოლას ახდენენ. თვით ფიზიკურ ლიკვიდაციაზეც არის საუბარი. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ყველაფერი სიმართლეა.

***— წყნეთის პოლიციაში ხომ არ მუშაობენ ამ საქმესთან დაკავშირებული პირები?***

— კი. ზაზა აზარიაშვილს დაუსახელეს ერთი სახელი. რეალურად, ჩემ საქმეზეა საუბარი, შენ რომ მაისაიას მოკვლა დაგავალეს, ეს უარყავი, შენი განცხადება უკან გამოიტანეო. ბუნებრივია, მუშაობენ. კონტრდაზვერვის დეპარტამენტში, ვინც შეკერეს ჩემი საქმე, ვინც მერაბიშვილის დავალებით ასრულებდა ამ ბინძურ საქმეს, ვინც ათასი ადამიანის მკვლელობაშია გასვრილი, მათ შორის, თემურ თეთრაძის მკვლელობაში, დღესაც მუშაობენ მაღალ თანამდებობაზე. მაგალითად, ვალერი ზუმბაძე, ოთარ ორჯონიკიძე, ლადო დათაშვილი მუშაობენ კონტრდაზვერვის დეპარტამენტში მაღალ თანამდებობებზე. სხვათა შორის, ოთარ ორჯონიკიძე არის ოდეერების (ალბათ იცით, ოდეერები როგორ პრობლემას ქმნიან ქვეყანაში, ოდეერების პრობლემა რომ არსებობს დღეს და შს მინისტრის პირველი მოადგილე ხვედელიძეც რომ მათ გადაყვა) მთავარი სამმართველოს უფროსი – კაცი, რომელიც იყო ნომერ პირველი ჯალათი ვანო მერაბიშვილის დროს. რომელმაც შეთხზა ე.წ. მუხროვანის ამბოხის საქმე, ვინც „ჯაშუშების საქმეს“ თხზავდა – ე.წ. „ენვერის“ მიმართულებას, ვინც სერგო თეთრაძის მკვლელობა დაგეგმა, დღეს მაღალ თანამდებობაზეა. ვალერი ზუმბაძე არის დღეს ლაფანყურის საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი. ამაზე ცინიკური რამ არ არსებობს. სხვათა შორის, ვალერი ზუმბაძის სახე შეგიძლიათ დააფიქსიროთ, თუ შეხვალთ „იუთუბზე“, მოძებნეთ პროკურატურა.ჯი ენვერი-2 და 6-10 წუთზე თქვენ ნახავთ, რომ ვალერი ზუმბაძე გამოდის და თითქოს ბრძნულად რაღაც სისულელეებს ამბობს. ოთარ ორჯონიკიძეც მანდვეა. „ენვერთან“ დაკავშირებით მან ოფიციალური სახელით გააკეთა განცხადება. კიდევ რამდენია, ცალკე საუბრის თემაა.

***— ეს არ არის ცნობილი პირველი პირებისთვის?***

— არ ვიცი. ცნობილი არის, მაგრამ თავს იკატუნებენ. რა აქვთ თავმოსაკატუნებელი, არ ვიცი, ჰკითხეთ ჭიკაიძეს და სხვებს.

***— ძალიან სამწუხაროა. კადრების შეცვლა რატომ არ ხდება?***

— ისინი აგრძელებენ. კი ბატონო, გააგრძელონ. ღმერთმა სიკეთეში მოახმარონ ასეთი კადრები. საქმეშიც ჩანს, ხომ? კეზერაშვილიც ლამის გმირად გამოაცხადეს და სხვა. ეს არის აშკარა საბოტაჟი.

***— აშკარაა, რომ კეზერაშვილთან დაკავშირებით საფრანგეთში ნორმალური, გამართული საქმე არ გაიგზავნა.***

— გასაგებია. ჩემი საქმეც მსოფლიოში ცნობილია და საბოტაჟი ხორციელდება.

***— ხომ შეიძლება ეს პირები უბრალოდ თანამდებობებს მაინც არ ინარჩუნებდნენ?***

— ეგ კითხვა ალექსანდრე ჭიკაიძესა და ირაკლი ღარიბაშვილს დაუსვით. ამ კითხვაზე პასუხი მათი პრეროგატივაა.



# შს მინისტრმა დედის დღე აგვისტოს ომში დაღუპული თანამშრომლების დედებს მიულოცა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ, დედის დღე 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული თანამშრომლების დედებს მიულოცა.

მინისტრი გუშინ გორის რაიონის სოფელ ფლავისმანში, აგვისტოს ომში დაღუპული ზურაბ ტატულაშვილის დედას – მარინე ტატულაშვილს ეწვია და დედის დღე პირადად მიულოცა.

ალექსანდრე ჭიკაიძემ ქალბატონს ყვავილების თაიგული და ტექნიკის 1000-ლარიანი ვაუჩერი გადასცა. ზურაბ ტატულაშვილი ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანია. ის შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარ სამმართველოში მსახურობდა. აგვისტოს ომის დროს ზურაბი წინა ხაზზე, ყუმბარმტყორცნით იბრძოდა. ის 8 აგვისტოს ცხინვალში, სკოლასთან, სნაიპერის ტყვიით დაიღუპა. ზურაბს ერთ-ერთი დაჭრილის გამოყვანის დროს სნაიპერმა ზურგიდან ესროლა. ის ადგილზე დაიღუპა, დაჭრილი თანამებრძოლი კი გადაარჩინა. გუშინვე, შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის სახელით, სამხარეო სამმართველოების ხელმძღვანელებმა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, აგვისტოს ომში დაღუპული შს სამინისტროს თანამშრომლების: ნადიმ ართმელაძის, ლაშა თევზაძის, ზვიად ჩიჩუას, დათუნა ავალიანის, გიორგი მარსაგიშვილის, ზურა ბიბილურის, ირაკლი

აბრამიშვილის, გიორგი ძირტკბილაშვილის, ბესიკ კაპანაძის, გივი სახელაშვილის, იაგო მიქელაძის, მამუკა შუბითიძის, ზვიად ბარბაქაძის, თემურ ფიჩხაიას, გიორგი ლვინჯილიას და ზვიად დათუაშვილის დედებს დედის დღე მიულოცეს, ტექნიკის 1000-ლარიანი ვაუჩერები გადასცეს და გმირი შვილების გაზრდისთვის მადლობა გადაუხადეს.

ნიუსპრესი

# რუსთავი 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორი გარდაიცვალა

ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი გოგი გეგეშიძე გარდაიცვალა. „რუსთავი 2“ ცნობით, გეგეშიძე 51 წლის ასაკში, გულის შეტევით გარდაიცვალა.

გეგეშიძე ტელეკომპანიის 9-პროცენტიანი წილის მფლობელია. არხის გენერალური დირექტორი კი 2009-2012 წლებში იყო.

მედიანიუსი

# ასლან აბაშიძის ვაჟი თბილისის აეროპორტში შეაყოვნეს

საქართველოში ასლან აბაშიძის ვაჟი გიორგი აბაშიძე დაბრუნდა. წინასწარი ინფორმაციით, სამშობლოში იგი დედის საფლავის მოსანახულებლად ჩამოვიდა, თუმცა თბილისის აეროპორტში სამგზავრო პროცედურების გამო შეაყოვნეს. როგორც მედიანიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, გიორგი აბაშიძე ძებნილი არ არის და მის დაკავებასთან გავრცელებულ ინფორმაციას სამინისტრო უარყოფს.

მედიანიუსი

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ვისი უფლებები გაიზრდება კონსტიტუციით?!

ნათია ხურცილავა

ახალი საკონსტიტუციო კომისია იწყებს მუშაობას, რათა კონსტიტუციის ახალი მოდელი დადოს, სადაც განსაზღვრული იქნება ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი და სუპერ საპრემიერო მოდელი შეიცვალოს.

სახელმწიფო საკონსტიტუციო



კომისია თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის შენობაში განთავსდება და პარლამენტის ბიუჯეტიდანვე დაფინანსდება.

კომისიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი იქნება. გუშინ საკონსტიტუციო კომისიის პირველი სხდომა გაიმართა. კომისიის მდივანი გიორგი კვერენჩხილაძე იქნება, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იურიდიულ სამსახურში მუშაობს.

კომისია ხუთ სხვადასხვა ჯგუფად დაიყოფა და მის შემადგენლობაში 58 წევრი შევა.

– სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია პარლამენტის მიერ შეიქმნა. პარლამენტმა საკუთარ თავზე აიღო კომისიის საორგანიზაციო, სამეურნეო და ფინანსური უზრუნველყოფა. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობა მიმდინარე წლის განმავლობაში ფინანსური თვალსაზრისით, დამატებით ხარჯებს არ გამოიწვევს, იგი პარლამენტის არსებული საბიუჯეტო სახსრებიდან დაფინანსდება. კომისიის აპარატი განთავსდება პარლამენტის შენობაში, რუსთაველის გამზირზე და უახლოეს ხანებში, ერთი თვის, თვე-ნახევრის განმავლობაში იქნება იმის შესაძლებლობა, რომ კომისიამ იქ დაიდოს ბინა და შესაბამისად, შეკრებების ჩატარება შესაძლებელი იქნება პარლამენტის შენობის დარბაზებში. კომისიას ეყოლება თავისი აპარატი, მაგრამ პარლამენტის აპარატიც კომისიის განკარგულებაში იქნება, – განაცხადა უსუფაშვილმა.



პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, კონსტიტუცია აღარ უნდა იყოს ვინმეზე მორგებული.

– ეს ცვლილებები არავის სასარგებლოდ და არავის საწინააღმდეგოდ არ გაკეთდება. ცვლილებები ძალაში შევა, უკეთეს შემთხვევაში, მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, იმიტომ, რომ მინიმუმ, ორი წელია საჭირო ამ პროცედურების დასასრულებლად. ამიტომ ჩვენ ვსაუბრობთ კონსტიტუციაზე, რომელიც იმოქმედებს ,,იქით", რომ არ ჩანს ჯერ. ჯერ ,,რა" იქნება, ,,ვინ" იქნება პარლამენტში, ვინ იქნება პრეზიდენტი და ასე შემდეგ. ამიტომ ,,ვინ" კითხვისგან ჩვენი მუშაობა დაცლილია. ჩვენი მუშაობა ეფუძნება კითხვებს ,,რა" და ,,როგორ". ანუ კონსტიტუცია უნდა იყოს ის, რასაც მერე ,,ვინ", ადამიანები უნდა მოვერგოთ. კეთილი ვინებოთ და ვიმუშაოთ ისე, როგორც კონსტიტუცია განსაზღვრავს", – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავჯდომარე აცხადებს, რომ გამგეობის და სახელისუფლებო ბალანსის კუთხით არსებულ კონსტიტუციასა და 1995 წელს მიღებულ კონსტიტუციას შორის ძალიან დიდი სხვაობაა.

– მთავარი საკითხი, რაც საზოგადოებას და კომისიის წევრებს აინტერესებთ, ალბათ, არის ის, თუ რას ვერჩით დღევანდელ კონსტიტუციას, რატომ შევიკრიბეთ ამდენი ხალხი და რა გვაქვს განზრახული. კომისია თავის მუშაობაში არავითარ შემთხვევაში არ იქნება შეზღუდული ან მოქცეული იმ ჩარჩოებში, რა განზრახულობაც აქვს კოალიცია „ქართულ ოცნებას", ანუ მმართველ პოლიტიკურ ძალას კონსტიტუციასთან მიმართებაში. კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაში თავმოყრილია პრაქტიკულად, ჩვენი ბოლო 20 წლის ისტორიული ქარტეხილები, სადაც ხდებოდა კარგიც და არცთუ ისე კარგიც. ფაქტია, რომ მოქმედი რედაქცია ქვეყნის მართვად გამგეობის საკითხებში ძირითადი სახელისუფლო ბალანსის დადგენაში არის სრულიად განსხვავებული იმისგან, რაც მივიღეთ 1995 წელს. მას შემდეგ კონსტიტუციაში 30-ზე მეტი სხვადასხვა რანგის ცვლილება განხორციელდა და სხვადასხვა დონის საკითხებს ეხებოდა, მაგრამ 2004 და 2010 წლების კონსტიტუციური რეფორმა ამ კონკრეტულ ნაწილში და ამ სფეროში ახალი კონსტიტუციის ელფერს ატარებდა. დღევანდელი მდგომარეობით, ამ კონკრეტულ საკითხში 1995 წლის კონსტიტუციიდან ცოტა რამ თუა დარჩენილი. – განაცხადა უსუფაშვილმა.



პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, რომ კონსტიტუციური ცვლილებები ერთი დომინანტი პოლიტიკური ძალისა და ლიდერის ნება-სურვილის შესაბამისად ხორციელდებოდა, რამაც სერიოზული დაღი დაასვა იმას, რასაც დღეს საქართველოს კონსტიტუცია ჰქვია. – დღევანდელი რეალობა და ის რეალობა, რომელშიც მოგვიწევს მუშაობა, სერიოზულად განსხვავდება იმ ვითარებისგან. რაც უნდა ცვლილება მომზადდეს და მიღებულ იქნეს, დღევანდელი მდგომარეობით, მას სჭირდება მინიმუმ, 7 პარტიის თან-



ხმობა. იმაში, რომ კოალიცია ,,ქართული ოცნება" მართლაც კოალიციაა, მე მგონი, ძალიან ბევრჯერ დავრწმუნდით. ზოგს ეს უხარია, ზოგს სწყინს. ზოგს ურჩევნია, რომ კოალიცია იყოს ერთსახოვანი და ერთფეროვანი ძალა, რომელიც უფრო სწრაფი და ეფექტური იქნებოდა და ამას მიიჩნევს ნაკლად, ზოგი კი თვლის, რომ მივდივართ იქ, სადაც უნდა მივდიოდეთ – მრავალპარტიულობისკენ, მრავალი შეხედულებებისკენ და ასე შემდეგ, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

კონსტანტინე კუბლაშვილი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:

– სასამართლო ხელისუფლებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების სამუშაო ჯგუფში ვიქნები. მე უკვე მაქვს გარკვეული წინადადებები მომზადებული, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიები კიდევ უფრო გაძლიერდეს და განმტკიცდეს. მოსამართლეებს უფრო მეტი გარანტია უნდა მივცეთ კონსტიტუციით. ეს უფრო მეტად შეუწყობს ხელს მოსამართლეთა ხელშეუვალობას, მათი დამოუკიდებლობის პრინციპებს. პირადად მე ძალიან აქტიურად ვიქნები ჩართული კომისიის საქმიანობაში, რადგან სწორედ ამ კომისიამ უნდა დადოს პროექტი, რომლითაც სასამართლოს დამოუკიდებლობა უფრო მაღალ ხარისხში უნდა ავიდეს. ყველაზე მთავარი საკითხი იქნება მოსამართლეთა სამწლიანი გამოსაცდელი ვადის კონსტიტუციიდან ამოღება.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, საქართველოში ხელისუფლების დანაწილებისა და გაწონასწორების პრინციპი მკაცრად არ არის დაცული.

– ფაქტობრივად, დღეს იწყებს მუშაობას სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, შეიქმნება სამუშაო ჯგუფები და დაიგეგმება, თუ როგორი რეჟიმით ვიმუშავებთ, რა უნდა ვაკეთოთ. ცხადია, კომისიის წევრების უმრავლესობას თავისთვის განსაზღვრული აქვს, რა არის ის ძირითადი საკითხები, რომელზაც უნდა ვიმუშავოთ. შემდეგ მოხდება ამ პოზიციების ერთმანეთთან შეჯერება და უკვე გეგმაზომიერ მუშაობას დავიწყებთ. ჩემი აზრით, ყურადღება მიექცევა პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობის ურთიერთობის წონასწორობაში მოყვანას. ეს ჯერ კიდევ არ არის გაწონასწორებული. მეორე თემა გახლავთ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ხარისხის გაძლიერება, ანუ უფრო მკაფიო მექანიზმები სასამართლო კორპუსის ფორმირებისთვის და პოლიტიკური ზემოქმედებისგან უფრო მეტი დაცვა, მესამე თემა დ ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე დღეს, შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციაში არის დეკლარაციული ტიპის დებულებები, მხოლოდ პრინციპები, მაგრამ კონკრეტიკა – არა. შესაბამისად, თვითმმართველობა ნაკლებად არის დაცული. – განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.



ხმალაძის განცხადებით, საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე საუბარი ასევე შეეხო კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მექანიზმებსაც.

– საჭიროა თავად კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცედურის ისეთი მექანიზმის დადგენა, რომ ერთი მხრივ, ამ მექანიზმმა უზრუნველყოს ნებისმიერი პოლიტიკური უმრავლესობის მიერ საკუთარ თავზე კონსტიტუციის მორგებისგან დაცვა და მეორე მხრივ, არ იყოს კონსტიტუციის ბლოკირება საჭირო ცვლილებების განხორციელების დროს. – აღნიშნავს ვახტანგ ხმალაძე.

საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში შედიან საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლები, ექსპერტები, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეები, სახალხო დამცველი, იუსტიციის მინისტრი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, მთავრობის საპარლამენტო მდივანი და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე.



ლევან ბეჟაშვილი, ,,ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი:

– კომისიის საქმიანობა მნიშვნელოვანია. საკონსტიტუციო საკითხებთან მიმართებით არსებობს ნიუანსები, რომლებიც უფრო მეტ სიცხადეს მოითხოვს. ჩვენ ვაპირებთ კომისიის საქმიანობაში დავაყენოთ აქტუალური საკითხები. პირველ რიგში მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურის როლი განისაზღვროს საკონსტიტუციო სისტემაში. დღეს პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების დანამატად იქცა. პრაქტიკულად რეპრესიების ერთ-ერთი მექანიზმი არის. ამიტომ ვფიქრობთ, რომ წარმომადგენლობითი ორგანოების პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლება-მოსილებები გაიზარდოს. ასევე მნიშვნელოვანია ტერიტორიული და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხი. სამწუხაროდ, რეფორმად გამოცხადებულმა თვითმმართველობის ახალმა კოდექსმა პრაქტიკულად ძველი სახე შეინარჩუნა. ამ მხრივაც საჭიროა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომ უფრო მეტი სიცხადე შევიდეს. სამართლებრივი ჩარჩო განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის მოწყობასთან მიმართებაში. დაველოდებით კომისიის საქმიანობას და ჩვენი ინიციატივები გვექნება.

ლევან ვეფხვაძე, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" წარმომადგენელი:

– დეჟავიუ მაქვს, მახსენდება იმ კომისიის სხდომები, რომლებიც რიხით იწყებოდა და ბოლოს როგორ სრულდებოდა, ყველას კარგად გვახსოვს. ახლა მთავარია, ამ კომისიის მუშაობა როგორ დასრულდება. პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა აიღონ ვალდებულება, რომ მათ წარმომადგენლების მიერ შექმნილი დოკუმენტი მათი მხრიდან იქნება მხარდაჭერილი.

ფიქრია ჩიხრაძე, „ახალი მემარჯვენეების" ლიდერი:

– უკეთესი საკონსტიტუციო მოდელის შესაქმნელად იქმნება მორიგი საკონსტიტუციო კომისია. პირველ რიგში, კომისიამ უნდა იმუშაოს ხელისუფლების ბალანსის საკითხზე. ვერც ერთმა კომისიამ ბალანსის საკითხი ვერ უზრუნველყო. ბევრი დავა იყო, თუ რომელი მოდელი ჯობია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მმართველობის ყველა მოდელი გამოვცადეთ, გარდა საკონსტიტუციო მონარქიისა, ვერც ერთმა ამ მოდელმა ვერ მოგვცა რეალურად კარგი მოდელი. ამის მიზეზი არა ქვეყნის მართვის მოდელია, არამედ ის, რომ ნება არ არსებობს რეალური ბალანსის. ხან სუპერ საპრეზიდენტო მოდელი გვქონდა, მერე სუპერ პრემიერო მოდელისკენ წავედით. პარლამენტის ფუნქციების დამცველი არავინ არ აღმოჩნდა. ყოველთვის აღმასრულებელი ხელისუფლებისკენ გადაიძლეოდა პინა. სასამართლოზე აღარ ვსაუბრობ, რომელიც ყოველთვის მძიმე თემა იყო საქართველოს რეალობაში. ახლა ხელახლა იწყება ეს პროცესი და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ყველაფრის კარგად გაანალიზება მოხდება. კარგი გადაწყვეტილებებია მისაღები, რომ უზრუნველვყოთ ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი. კონსტიტუციური საფუძვლით უნდა მოხდეს დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება და გაძლირება თუ ევროპისკენ მივდივართ. ეს არის მთავარი ამოცანა. თითქოს მარტივი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში რთულად მისაღწევი.

– დღეს ნება არსებობს ამის მიღწევის?

– ეს გამოჩნდება კენჭისყრის პროცესში, როდესაც კონსტიტუციის ახალი რედაქცია პარლამენტში გავა.

## 7 ქვეყანა დიდი რვიანის" სამიტის მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობას აჩერებს

„დიდი რვიანის" სამიტის მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობა შვიდმა ქვეყანამ შეაჩერა. უცხოური მედიის ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების , კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, ასევე ევროპის საბჭოს და ევროკომისიის პრეზიდენტებმა რუსეთის მხრიდან უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა დაგმეს. ამის შესახებ ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში, რომელიც „თეთრი სახლის" ვებგვერდზე გავრცელდა.

მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის ლიდერის აზრით, რუსეთმა დაარღვია ის პრინციპები, რომლითაც „დიდი რვიანი" მუშაობს. აქედან გამომდინარე, შვიდი ქვეყნის ლიდერმა მიიღო გადაწყვეტილება, შეეჩერებინათ „დიდი რვიანის" სამიტის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც სოჭში, ივნისის თვეში იყო დაგეგმილი. ეს პაუზა კი გაგრძელდება მანამ, სანამ ვითარება არ დარეგულირდება.

ამასთან, შვიდი ქვეყნის ლიდერმა რუსეთს მოუწოდა, ყირიმის საკითხი უკრაინასთან პირდაპირი მოლაპარაკებების გზით, ან საერთაშორისო შუამავლების მეშევობით, მაგალითად გაერო-ს მეშვეობით გადაწყვიტოს.

საფრანგეთმა ივნისში სოჭში გასამართი „დიდი რვიანის" სამიტისთვის მზადება შეწყვიტა. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა. მან განმარტა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გამო მიიღეს.

ფრანსუა ოლანდმა აღანიშნულის შესახებ განხადება საფრანგეთის თავდაცვის საბჭოს საგანგებო სხდომაზე გააკეთა. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ოლანდმა დაგმო რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები.

გერა მამულაშვილი

# შალვა ხაჭაპურიძე: არჩილ კბილაშვილის კისერზეა კეზერაშვილის გარეთ გამოშვება“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

***— ბატონო შალვა, კეზერაშვილის საქმით დავიწყოთ. იცით, რომ ფრანგულმა სასამართლომ კეზერაშვილი გაამართლა. როგორია თქვენი შეფასებები, რატომ არ დააკმაყოფილა ფრანგულმა სასამართლომ ქართული მხარის მოთხოვნა?***

— პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ როდესაც ვსაუბრობთ ჩვენ კეზერაშვილთან მიმართებაში და ზოგადად ნებისმიერ მაღალჩინოსანთან დაკავშირებით, ვიცით, რომ ევროპამ და ამერიკამ გარკვეული მაღალი სტანდარტები დაადგინა ასეთი პიროვნებების მიმართ ჩატარებულ გამოძიებებზე. ანუ ყველა ეს საქმე მოხვდა უცხოელი პოლიტიკოსების თვალში. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ მთელი პიარი ატარა ამასთან დაკავშირებით. ცალსახაა, რომ ამერიკა და ევროპა, ყოველთვის იქნება პრეტენზიული და მოითხოვს გაცილებით მეტს, ვიდრე ჩვეულებრივ სისხლის სამართლის საქმეზე. ამიტომ ეს უნდა გაეთვალისწინებინა კბილაშვილის პერიოდის პროკურატურას. როდესაც დაიწყო გამოძიებები იგივე მერაბიშვილის, კეზერაშვილის, გიგი უგულავას თუ ასე შემდეგ, საზოგადოებაში საზოგადოდ ცნობილია, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები, წლების განმავლობაში ატერორებდნენ მოსახლეობას და სჩადიოდნენ სხვადასხვა სახის დანაშაულებს. ამის უამრავი მოწმე და თვითმხილველი არსებობს, თუმცა ბევრი ამ მოწმეებისგან, სამწუხაროდ, დაკითხულებიც კი არ არიან. არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმეები. ამან შედეგად მოგვიტანა ის, რომ კეზერაშვილი თავისუფალია და ლაღად დაიარება. რამდენიმე დღის წინ ტელეეთერით გამოდიოდა ერთ-ერთი ნაციონალი და ქართული ოცნების წევრის ბრალდებაზე — თქვენ უამრავი დანაშაული გაქვთ ჩადენილიო, ის ეუბნეოდა — განაჩენები ბატონო, მანახეთ განაჩენებიო.

***— ნაციონალებს იმის თქმა უნდათ, რომ ვერ უმტკიცებენ ჩადენილ დანაშაულს?***

— მე რატომღაც მგონია, რომ პროკურატურა თავიდანვე ზერელედ მიუდგა ამ საკითხს, გამოიჩინა ღრმა არაპროფესიონალიზმი და გარკვეული საქმეები გაამყარა, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე. მაგალითად, მე როგორც ვიცი, ფრანგმა მოსამართლემ ქართველ პროკურორს დაუსვა კითხვა — თუ კეზერაშვილმა სპირტის ბიზნესში ჩაიდინა გარკვეული დანაშაული, თქვენ აქ გიწერიათ, რომ კეზერაშვილთან ერთად ეს ყველაფერი ჩაიდინა მისმა ცოლის ძმამაც. თუ ეს პიროვნება მიეცით პასუხისგებაში, მაშინ რატომ არ არის მიცემული პასუხისგებაში ის პირი, რომელმაც კეზერაშვილთან ერთად ჩაიდინა დანაშაული. არ იყო ის პირი პასუხისგებაში მიცემული და არც დღეს არის. ანუ იქ გაჩნდა საკმაოდ სერიოზული ეჭვი, ხომ არ იყო ეს პოლიტიკური დევნა. მე ნაციონალებს კი არ ვიცავ, პირიქით, ჩვენებს ვეუბნევი, რომ თუ დაიწყებ ადამიანის პასუხისგებაში მიცემაზე მუშაობას, მის ირგვლივ რაც კი განცხადებებია შემოსული, ყველაფერი დეტალურად შეისწავლე, რომ საქმე იყოს გამართული. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მივეჩვიოთ პროფესიონალიზმს. როდესაც პროფესიონალიზმი თავის ადგილზე



დადგება, მაშინ არ დაიბადება არც ერთი კითხვა. დამიჯერეთ, რომ ასე ნაციონალებს ჩადენილი დანაშაულობების უმრავლესობას დავუმტკიცებთ. ამიტომ, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ქართული მხარე არ იყო მზად, პირველი წუთებიდან, როდესაც შეიცვალა ხელისუფლება, რომ პროკურატურას ემუშავა სრული პროფესიონალიზმით. ამ ყველაფერზე კი პასუხისმგებლობა ეკისრება ბატონ არჩილ კბილაშვილს.

***— რატომ კბილაშვილს?***

— არჩილ კბილაშვილის ბრალია ბაჩო ახალაიას გამამართლებელი განაჩენები, არჩილ კბილაშვილის კისერზე არის კეზერაშვილის გარეთ გამოშვება და სხვა ყველა მის პერიოდში დაწყებული გამოძიებები. ჩვენ ახალ პროკურორზე ჯერჯერობით ვერ ვისაუბრებთ. ეს არ გახლავთ არჩილ კბილაშვილისადმი ჩემი ცუდი ან კარგი დამოკიდებულება. ის კარგი ადვოკატია და მორჩა.

***— იმის თქმა გინდათ, რომ სუსტი პროკურორი აღმოჩნდა?***

— პროკურორი საერთოდ ვერ იყო. სუსტი და ძლიერი მაინც შედარებითია და ის როგორც პროკურორიმ საერთოდ ვერ შედგა. ამან საზოგადოებაში ძალიან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. იმდენად დიდი, რომ ეს უკმაყოფილება თუ სხვა რაღაცით არ გადაპირწონდა, ცუდად იქნება საქმე. ვიცით, რომ ქართულ ოცნებას ავტორიტეტი საკმაოდ შეელახა, ვინაიდან გაჩნდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართულ ოცნებას არ უნდა სამართლიანობის აღდგენა, რაც არარეალურია. მე ქართველ საზოგადოებას ვეუბნები, რომ ეს ყველაფერი ერთი ადამიანის ბრალია. პლუს კიდევ ნაცვლიშვილების და ის გუნდი, ვინც კბილაშვილის გვერდით იყო. ეს ნაკლებად მაინტერესებს. მე ვამბობ ერთს, რომ პროკურატურამ გამოიჩინა სრული არაპროფესიონალიზმი. დეორგანიზება, დემორალიზაცია მოხდა სტრუქტურაში და შედეგად მივიღეთ ის, რომ აი, ეს პირები, რომლებსაც უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი, თავისუფლად დაიარებიან და პირიქით, აქეთ თითს გვიქნევენ.

***— ბატონო შალვა, რომ ამოვწუროთ კეზერაშვილის თემა, იმის თქმა გინდათ, რომ სათანადო მტკიცებულებები ვერ იქნა წარდგენილი ქართული მხარის მხრიდან და რა იქნება ამ ყველაფრის შედეგი, კეზერაშვილი დაუსჯელი დარჩება?***

— ასე ხელის მოსმით ვერ ვიტყვით, რომ დაუსჯელი დარჩება. ბუნებრივია, რომ შემდგომში უფრო გართულებულ პროცედურებთან გვექნება საქმე. მოგეხსენებათ, რომ კეზერაშვილის მიმართ საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში, თუ თბილისის საქალაქო სასამართლო დააყენებს მასზე გამამტყუნებელ განაჩენს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად იგი შევა ძალაში და შესაბამისად წითელი ცილკურალით კვლავ მოხდება მისი ძებნა და დაკავების შემთხვევაში უკვე სასამართლოს წარედგინება განაჩენი. თუმცა იმ სასამართლოს, რომელ სასამართლოშიც მოხდება მისი ექსტრადაციის საკითხი, ეს შეიძლება ისევ საფრანგეთის სასამართლო იყოს, უნდა დამტკიცდეს, რომ არ ხდება მისი პოლიტიკური დევნა. თუ ეს არ დაამტკიცე, აზრი არა აქვს, არც კეზერაშვილს და არც არავის არ გადმოგცემს ევროპა. დღეს სულ სხვა დონეა და სხვა მოთხოვნებია. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით სხვა მიდგომები და სხვა დამოკიდებულებაა. ისინი სხვა კრიტერიუმებით უდგებიან, ჩვენ შეიძლება ბევრი რაღაცა ვერ გავიგოთ ამ ეტაპზე, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ უნიჭოები ვართ. არა, სამწუხაროდ, ჩვენ გვაცხოვრეს საკმაოდ დიდი ხანი დიდ სიბნელეში და ამიტომ საზოგადოებას უჭირს ბევრი რაღაცების აღქმა. იქ სასამართლოა და მორჩა, ამით ყველაფერია ნათქვამი. სასამართლო და არა, ვთქვათ, რომელიღაცა პარტიის სამიკიტნო. სადაც უნდათ და როგორც უნდათ, იმას დაწერენ და იმას გააკეთებენ. შანსი არის, მაგრამ ეს შანსი ხელისუფლებამ აწი მაინც უნდა გამოიყენოს და არ უნდა მოხდეს კბილაშვილის დროს დაშვებული შეცდომების გამეორება. იუსტიციის სამინისტროსაც მოუწევს ამ კუთხით სერიოზული მუშაობა, მაგრამ აქცენტი მაინც პროკურატურაზე იქნება.

***— რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის საქმეს, იცით, რომ 26 მაისთან დაკავშირებით სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. რამდენად შესაბამისია ეს სასჯელი მის მიერ ჩადენილ დანაშაულობებთან?***

— აქაც უამრავი კითხვა იბადება. ვანო მერაბიშვილის ადვოკატი რომ არა ვარ, ცამ და ქვეყანამ იცის, მაგრამ იბადება კითხვა — მე რატომ არ დამკითხეს 26 მაისთან დაკავშირებით? მთელმა საქართველომ იცოდა, როგორი ნაცემი ვიყავით მე და ჩემი ოჯახის წევრები. ჩვენ რატომ არ დაგვკითხეს ამ ფაქტთან დაკავშირებით? რატომ არ დაკითხეს „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები? უამრავი ადამიანის დაკითხვა არ მოხდა. ჩვენ, მით უმეტეს, ჩემი ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ მათ შეუძლიათ ამოიცნონ დაახლოებით ოთხი-ხუთი პირი, პოლიციელები, რომლებიც ამ საშინელ ცემა-ტყეპას ახორციელებდა იქ. სიმართლე გითხრათ, მე საერთოდ გამიკვირდა, მაგ მოსამართლემ განაჩენი რომ დააყენა. მაგ მოსამართლის ადგილზე, მე მეეჭვება, რომ განაჩენი დამეყენებინა და გეტყვით, რატომ. 26 მაისს ერთმა კაცმა ხომ არ გასცა ბრძანება, ერთი კაცი ხომ არ უტყაპუნებდა ამ ხალხს? კლავდა იქ ადამიანებს და ასე შემდეგ. ანუ აქ იყო დანაშაულებრივი ჯგუფი. სად არიან ამ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები?! რატომ არ არიან პასუხისგებაში მიცემულნი?! გამოვიდა, რომ ვანო მერაბიშვილი იყო იქ ყველაფერი? ვანო მერაბიშვილმა რა ეს ბრძანება სააკაშვილს არ შეუთანხმა? თვითნებობა გამოიჩინა? მაშინ რატომ არა აქვს ბრალი წაყენებული, რომ არ დაემორჩილა პრეზიდენტს. თუ პრეზიდენტი იყო ამ ყველაფრის საქმის კურსში, მაშინ რატომ არ არის პრეზიდენტი პასუხისგებაში მიცემული?! და რატომ არ არის ის თითოეული პოლიციელი, ვინც ამ ცემა-ტყეპაში იღებდა მონაწილეობას?! ფარსია ეს ყველაფერი, რომელიც ასევე მაშინ კბილაშვილის პროკურატურამ დადგა და ასევე ფარსი იყო განაჩენიც. დაიხიოს ეგ განაჩენი თავზე, ვისაც გაუხარდება. ჩემთვის ეგ არის ნული! ვანო მერაბიშვილი შეიძლება სულ 30-ჯერ გაასამართლონ და მისცენ ყოველთვის ხუთ წელზე ქვევით.

***— ეს იყო ზედაპირული გამოძიება?***

— ზედაპირული კი არა, ეს იყო დაცინვა საზოგადოებისთვის, თავის გამოძიებიან სასამართლო პროცესიანა. რა ჰგონიათ კბილაშვილს და დანარჩენებს, ჩვენ იდიოტები ვართ თუ მარტო მაგათმა წაიკითხეს წიგნები და ჩვენ არ ვიცით, რა ხდება. სადაა დანაშაულის თანამონაწილეები?! რას ციგნობენ, რა უბედურებაა ეს?!

***— არ იყო პროკურატურის კეთილი ნება?***

— რომელ კეთილ ნებაზეა საუბარი, გეუბნებით, რომ კაცი შეიქმნა ფუღურო, ჰაერი. როდის დავიწყეთ იმაზე საუბარი, რომ საჭიროა სხვებიც მიეცნენ პასუხისგებაში, დაიკითხონ... არასამართლებრივ რამეს ვეუბნებით ახლა და ვაბრალებთ? თურმე მარტო ვანო მერაბიშვილი ყოფილა 26 მაისი. რა არის ეს, რა დაცინვაა საზოგადოებისთვის.

***— ფიქრობთ, რომ თავიდანაა ყველაფერი გამოსაძიებელი?***

— რა თქმა უნდა. ის ორი ადამიანი რომ მკვდარი იპოვეს იქ, ამას არ უნდოდა გამოძიება? ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჟღერდა ეს თემა, რომ რამდენიმე ადამიანი მოკლული იქნა 26 მაისს, მოგიტრიალდება ეს ამერიკა და გკითხავს, რომ მოკვდა, მაგაზე გამოძიება ჩატარდაო? რა პასუხი უნდა გავცეთ? ბატონ კბილაშვილს არ ეცალა მაგისთვისო? იჯდა კაცი და ბრიფინგებს ატარებდა დღე და ღამე. სად გინახავთ მთავარი პროკურორი 24 საათი ბრიფინგებს ატარებდეს. ამნაირი რამ პირველად ვნახე. ლექციებს კითხულობდა ტელევიზიით. გამახსენდა, სუფთა თამაზ კვაჭანტირაძე იყო. თამაზ კვაჭანტირაძე პროკურატურაში. საქმე არ იძროდა და მიდიოდა ლექციების კითხვა — ერის განათლება სამართლებრივ საკითხებში და მაგარი განათლება მივიღეთ ბოლოში. მკვლელები გამოდიან გარეთ.

***— სწორედ ეს იწვევს საზოგადოების გაღიზიანებას. თუნდაც იგივე ონიანის საქმე რომ ავიღოთ...***

— მას აღმკვეთი ღონისძიება აქვს შეფარდებული, გირაო, ამაში მე სასწაულს ვერაფერს ვხედავ, ჩატარდება გამოძიება და ვნახოთ, რა იქნება ბოლოში. რადგან ბრალი აქვს წაყენებული, ვნახოთ, ალბათ პროკურატურამ რადგან დაიწყო, საქმეს ბოლომდე მიიყვანს. კბილაშვილის პროკურატურისგან განსხვავებით, ეს ხალხი სხვა სტილით მუშაობს და მოტივირებულები არიან და მინდა ამ ხალხს წარმატება ვუსურვო. რა თქმა უნდა, პოლიტიკური ნიშნით არ უნდა ხდებოდეს ადამიანების დაპატიმრება. მე ვფიქრობ, რომ გოგა ონიანის დაკავებას არანაირი კავშირი არ ჰქონდა პოლიტიკასთან. ის დააკავეს იმიტომ, რომ ამის საფუძველი არსებობდა, იყო მოწმეთა ჩვენებები. ამ ყველაფერზე სასამართლომ და გამოძიებამ უნდა იმსჯელოს. რადგან აღმკვეთ ღონისძიებად გირაო შეუფარდეს, მოსამართლემაც ჩათვალა, რომ არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, ამიტომ შეუფარდა აღმკვეთი ღონისძიება, გირაო, თორემ არც აღმკვეთ ღონისძიებას არ შეუფარდებდა. დანარჩენი ვნახოთ...

***— ბატონო შალვა, ჩვენ ვისაუბრეთ პროკურატურის უსუსურობაზე, როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი რა გავლენას იქონიებს სამომავლოდ და რა შედეგებს უნდა ველოდეთ?***

— რა გითხრათ... ერთი ვიცი, რომ ნაციონალები უკან ვერ დაბრუნდებიან, ამაში ორი აზრი არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში იმ შემადგენლობით და იმ ფორმით ვერ დაბრუნდებიან, რასაც ჩვენ ვუყურებდით წლების განმავლობაში, იმ პოლიტიკას და იმ საშინელებას, რასაც ისინი სჩადიოდნენ. დღეს მათ ამის შანსი აღარა აქვთ. ახალ ხელისუფლებას საზოგადოების დიდი ნდობა აქვს და ეს მაფიქრებინებს, რომ ისინი ველარ მობრუნდებიან ხელისუფლებაში. ახლა თუ სულ გამოშტერდი და ხელი არ გაანძრიე, ნაციონალები კი არა, უფრო დიდი საშიშროება გველოდება. ამ თემზე ალბათ დღეს ველარ ვისაუბრებთ. თუნდაც იგივე კიევში არსებული მოვლენები რომ ავიღოთ, იგივე ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოვლენები და სხვა საშიშროებები, რომელი გამოწვევებიც დღეს ქვეყნის წინაშე დგას და რომელსაც საკმაოდ ფრთხილად და ადეკვატურად უნდა უპასუხოს ახალმა ხელისუფლებამ.

## თავდაცვის სამინისტროს რიგითი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რიგითი იმედა მურვანიძე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიებას შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალციხის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რიგითი იმედა მურვანიძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2013 წლიდან ირიცხებოდა. 1993 წელს დაბადებული ქართველი სამხედრო, III ქვეით ბრიგადაში საკონტრაქტო სამსახურს გადიოდა. იგი შაბათ-კვირით დათხოვნაში საკუთარ სახლში, ახალციხეში იმყოფებოდა და ხვალ, 4 მარტს, დილით მოწყობაზე ბრიგადაში უნდა გამოცხადებულიყო.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო რიგითი იმედა მურვანიძის გარდაცვალების გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და გარდაცვლილის ოჯახს სამძიმარს უცხადებს.

**ნიუსპრესი**

## ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენი სამშობლო ყოველთვის დედების სათნოებაზე, გმირობასა და თავდადებაზე იდგა“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაზაფხულის დადგომას და დედის დღეს, ყველა დედას ულოცავს.

„გაზაფხულის დადგომას და ლამაზ დღესასწაულს — დედის დღეს ვულოცავ ყველა დედას, მომავალ დედებს! საქართველოს ქალებზე, დედების სათნოებაზე, გმირობასა და თავდადებაზე იდგა ყოველთვის ჩვენი სამშობლო. ჩვენი ოჯახები დღესაც მათ სიმტკიცესა და გამძლეობაზე დგას.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველა დედას დღევანდელ დღეს. პირველ რიგში, ვუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და, რაც ყველაზე მთავარია, — შვილების ბედნიერ მომავალს“— ნათქვამია პრემიერის მისალოც განცხადებაში.

**ნიუსპრესი**



## თინათინ ხიდაშელი: უკრაინაში სახეზეა სრულმასშტაბიანი აგრესია“

უკრაინაში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინათინ ხიდაშელი აცხადებს, რომ „სახეზეა სრულმასშტაბიანი აგრესია“. მან ამის შესახებ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი მოსაზრებით, უკრაინაში საქმე ჯერჯერობით ოკუპაციამდე არ მისულა.

„ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ამჯერად მაინც მოწოდების სიმაღლეზე იქნება და არ დაუშვებს უკრაინის ტერეიტორიების ოკუპაციას, ჩვენი მეგობარი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევას. მაგრამ იმის მიუხედავად, რა მოხდება ხვალ და ზეგ, ჩემი აზრით, უკვე დარღვეულია საერთაშორისო სამართლის სრულიად პირველადი, ფუნდამენტური, ძირითადი პრინციპები; სახეზეა ხაზგასმული აგრესია რუსული სახელმწიფოსი დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს მიმართ. ამაში რუსეთმა ფასი უნდა გადაიხადოს“, — აღნიშნა თინათინ ხიდაშელმა.

**მედიანიუსი**

## ირაკლი ალასანია უკრაინელ კოლეგას ტელეფონით ესაუბრა

საქართველო თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ და უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა იგორ ტენიუხმა ტელეფონით ისაუბრეს და უკრაინაში შექმნილი ვითარება განიხილეს.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, ირაკლი ალასანიამ იმედი გამოთქვა, რომ არსებული მდგომარეობის განმუხტვა მშვიდობიანი გზით მოხდება. მხარეებმა საქართველო — უკრაინის სტრატეგიულ თანამშრომლობასა და სამომავლო პერსპექტივებზეც ისაუბრეს. თავდაცვის მინისტრები შეთანხმდნენ, რომ მუდმივ კავშირზე იქნებიან.

**ნიუსპრესი**

# ცემა-ტყეპა ნაციონალების თავყრილობაზე

შორენა მარსაგიშვილი

არჩევნების წინ ნაცმოძრაობა რეგიონებში კონფერენციებს მართავს ხოლმე. ეს ტრადიცია ნაცმოძმა არც წელს დაარღვია და თვითმმართველობის არჩევნებისთვის სერიოზულ სამზადისს შეუდგა.

ძველ დროში მათი კონფერენციები ბევრად ხალხმრავალი იყო. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ეს ხალხმრავლობა წარსულს ჩაბარდა. ძველ დროში ნაცმოძის კონფერენციასა და ყრილობაზე დებოშის მოწყობას ვერავინ გაბედავდა, ახლა კი ეს შესაძლებელი გახდა. არადა, ძველ დროში სწორედ სხვა პარტიებს უწყობდნენ ხოლმე ნაციონალები არეულობას, ახლა თვითონ არიან არეულობაში და ცდილობენ ყოველი ასეთი ფაქტი, როგორც პოლიტიკური დევნა, ისე წარმოაჩინონ.

გუშინ ნაცმოძმა გარდაბანში გამართა კონფერენცია. თავყრილობა ჯერ დაწყებული არ იყო, როცა დარბაზში რამდენიმე მამაკაცმა ხმაური და ყვირილი დაიწყო. ნაცმოძის მტკიცებით, მამაკაცები ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ და აგრესიულობით გამოირჩეოდნენ.

დეპუტატი ირმა ნადირაშვილი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ამ პროვოკაციის უკან „ქართული ოცნება“ დგას.

– ძალიან სამწუხაროა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნება“ მსგავსი მეთოდებით და ადამიანების მოგზავნით გვებრძვის, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ირმა ნადირაშვილმა.

მისი განცხადებით, მშვიდად მყოფ ნაციონალებს „ქართული ოცნებიდან“ მიგზავნილი 3-4 ნასვამი პირი დაუპირისპირდა. დეპუტატის განმარტებით, 2 შექეიფიანებული მამაკაცი განსაკუთრებით აქტიურობდა.

ბევრი მცდელობის მიუხედავად, ნაციონალებმა მთვრალი მოძალადეები არ დააკავეს. არც პოლიცია იყო სადმე, რომ მათთვის ეთხოვათ დახმარება. რაკი პოლიცია მათთან არ მივიდა, ნადირაშვილმა გადაწყვიტა, თავად მისულიყო პოლიციაში.

დეპუტატმა სამართალდამცავებს შემთხვევის ადგილზე მისვლა და ვითარების განმუხტვა მოსთხოვა. მშობლიური პატრული კონფერენციას დაუყოვნებლივ ეწვია.

ნადირაშვილის განმარტებით, პოლიციამ განსაკუთრებით აგრესიულები დარბაზიდან გაიყვანა. მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით კი, დარბაზთან პატრულის ეკიპაჟი გამაგრდა.

ნადირაშვილმა ნაცმოძის სახელით შსს-ს არეულობის მომწყობი პირების დაკავება მოსთხოვა.

მომხდართან დაკავშირებით ცოტა ხანში შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააკეთა საგანგებო განცხადება. სამინისტროს ინფორმაციით, გარდაბანში მომხდარი ინციდენტის გამო სამართალდამცველებმა ორი პირი ადმინისტრაციული კანონდარღვევისთვის დააკავეს.

ნაცმოძრაობა მსგავსი ტიპის კონფერენციებს კიდევ ჩაატარებს, სადაც მერობის და გამგებლების კანდიდატების დასახელება მოხდება. ამ კანდიდატებს შორის კი პრაიმერი ჩატარდება, რათა სასურველი კანდიდატურა გამოავლინოს.

საპრაიმერო კანდიდატების დასახელება ნაცმოძმა წინა კვირას დაიწყო. თბილისის მერობისთვის პრაიმერიში ერთმანეთს ნიკა მელია და გიორგი ვაშაძე დაუპირისპირდებიან.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ თინა ხიდაშელის აზრით, ნაციონალური მოძრაობა თვითმმართველობის არჩევნებზე თბილისის მერობის კანდიდატებს შორის მეორე ადგილის შანსსაც დაკარგავს.

როგორც ხიდაშელმა განაცხადა, ის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი კანდიდატების გამო გაკვირვებულია.

– ვფიქრობდი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე ადგილისთვის მაინც იბრძოლებდა, მაგრამ წარმოდგენილი კანდიდატებიდან მეორე ადგილზე ვერც ერთი ვერ გავა, – განაცხადა ხიდაშელმა.

ხიდაშელის ამ განცხადებამ მისი ნაციონალი კოლეგა აღაშფოთა. მისი მტკიცებით, ნაციონალების პოზიციები თანდათან მყარდება.

– თინა ხიდაშელი, ეს პოლიტიკური ფიგურა სულ უფრო და უფრო იძენს კომიკურ ელფერს. საპრეზიდენტო არჩევნებმა დაადასტურა, რომ ყოველმა მეოთხე ადამიანმა მოგვცა ხმა და ეს მეორე ადგილი იყო ძალიან მყარი მეორე ადგილი. ეს ხაზს უსვამდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის მთავარი ოპოზიციური ძალა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩვენი პოზიციები რეგიონებში კიდევ უფრო მყარდება, – განაცხადა წიკლაურმა.

# ნუგზარ წიკლაური: ნაციონალური მოძრაობა პარლამენტის თბილისში გადმოტანას მხარს არ დაუჭერს“

შორენა მარსაგიშვილი

## დავით უსუფაშვილი უკვე თბილისში მუშაობს

დეპუტატ თინა ხიდაშელის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანო თბილისში მარტის ბოლოს დაბრუნდება. თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ მოქმედი კონსტიტუციის პირობებში პარლამენტს საკომიტეტო მუშაობისა და ბიუროს სხდომების თბილისში განახლება შეუძლია, სესიები კი კვლავ საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში მდებარე შენობაში ჩატარდება.

მისივე თქმით, საქართველოს პარლამენტის ადგილმდებარეობა განსაზღვრულია კონსტიტუციით და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება გასვლითი სხდომების ჩატარება.

დედაქალაქში საკანონმდებლო ორგანოს დასაბრუნებლად საკონსტიტუციო ცვლილებებია საჭირო. კოალიცია „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ გააჩნია. ნაციონალები კი თბილისში დაბრუნებას მხარს არ უჭერენ.

მათი მხარდაჭერის გარეშე თბილისში პარლამენტის დაბრუნება შეუძლებელია. ეს მეოცნებეებმაც იციან, ამის მიუხედავად ამტკიცებენ, რომ მაინც დაბრუნდებიან.

პარლამენტის სპიკერი დავით უსუფაშვილი უკვე თბილისის პარლამენტის შენობაში მუშაობს, ამის შესახებ განცხადება თავად პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა. მისი თქმით. თანამშრომლები ქუთაისიდან თბილისში ეტაპობრივად გადმოვლენ.

– მე ვარ პარლამენტში და ვმუშაობ, ვთქვი, რომ პარლამენტი თბილისში ეტაპობრივად გადმოვა. გუშინ 2 მარტი იყო, მე გახლდით პარლამენტის შენობაში და ვმუშაობდი. ნელ-ნელა მეტი ხალხი იმუშავებს იმ შენობაში, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანას მხარს არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერს.

– ჩვენ პარლამენტის თბილისში გადმოტანას მხარს არავითარ შემთხვევაში არ დავუჭერთ. იცით, რომ ეს შანტაჟისა და დაშინების თემა იყო. მათ ხმათა უმრავლესობის 2/3-ის მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს, ახლა საკონსტიტუციო უმრავლესობა უკვე 118 დეპუტატის ხმით განისაზღვრება და ისინი ხმათა ამ რაოდენობას ვერ მოაგროვებენ, – განაცხადა წიკლაურმა.

ამ თემაზე ნაციონალებმა თავი გასულ კვირასაც გაინერვიულეს. მათი განმარტებით, ნაციონალური მოძრაობა პარლამენტის კომიტეტის სხდომების თბილისში განახლების შემთხვევაში მასში მონაწილეობას მიიღებს, მაგრამ რუსთაველის №8-ის სამუშაო კაბინეტებში არ შევა.

უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა მიხეილ მაჭავარიანმა „ინტერპრესნიუსს“ ათასი პროცენტით განუცხადა, რომ თბილისში მდებარე პარლამენტის შენობის კაბინეტებს ნაციონალური მოძრაობის წევრები არ გამოიყენებენ. ამასთან, მისივე ცნობით, აღნიშნულ თემაზე პარლამენტის თავმჯდომარეს მათთან არ უსაუბრია და საპარლამენტო საქმიანობის თბილისში განახლების თემაზე არანაირი მსჯელობა არ გამართულა.

პარლამენტის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით ნაციონალური მოძრაობა პოზიციის შეცვლას არ აპირებს.

– არ მესმის, ვერ მუშაობს პარლამენტი ქუთაისში?! შენობა არ არის?! პირობები არ არის?! ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ წელიწადი და სამი თვეა, პარლამენტი ქუთაისში ნორმალურად მუშაობს. რაიმე შეფერხება ყოფილა?! რაიმე კანონი ვერ მიგვიღია?! გრავიტაცია დარღვეულა ქუთაისში?! რა ახირებაა ახლა ეს! ფულის ხარჯვაზე ჩვენ გვედავებიან და თბილისში, პარლამენტის შენობისათვის უკვე დახარჯულია რამდენიმე მილიონი ლარი. ვინმემ ამიხსნას, რად უნდა პარლამენტის წევრს ორი კაბინეტი? – ესე იგი, ცალკე კაბინეტი ექნებათ თბილისში და ცალკე – ქუთაისში და რა საჭიროა ეს ფუფუნება?! პარლამენტი იქნება ქუთაისში და ეს გადაწყვეტილება ჩვენთვის არ შეიცვლება! ამ თემაზე ჩვენ არ ვვაჭრობთ! როდესაც დავით ბაქრაძემ გიორგი მარგველაშვილს მოუწოდა, რომ პრეზიდენტის სასახლეში შევიდეს, მან ეს იმიტომ თქვა, რომ პრეზიდენტის სასახლე უკვე ქვეყნის სიმბოლოა. მაშინ ამ ლოგიკით, მიხეილ სააკაშვილის დაგებულია გზები და ნუ დადიან ამ გზებზე. სააკაშვილის დროს არის აშენებული და ნუ შედიან იუსტიციის სახლში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროში. ნუღარ შევლენ პოლიციის შენობებში, სასამართლოებში, რომელიც ყველგან აღდგენილი და გარემონტებულია. ნუ მიდიან და ნუღარ ქეიფობენ პიაცაზე, რომ აღარ იციან ზაფხულში როგორ მოიწონონ თავი სტუმრებთან. რაც შეეხება პარლამენტის კომიტეტის სხდომების თბილისში ჩატარებას, თუ ასეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული და თავს კომფორტს უქმნიან, ჩვენ კომიტეტის სხდომებს დავესწრებით წალენჯიხაშიც, ჩხოროწყუშიც, ფოთშიც, თელავშიც და თბილისშიც. ჩვენ უმრავლესობას საშუალებას არ მივცემთ, რომ კომიტეტის სხდომებზე მარტო დარჩნენ და გადაწყვეტილებები მარტო მიიღონ. რაც შეეხება სამუშაო კაბინეტს – მე, მიხეილ მაჭავარიანს, მანდ სამუშაო კაბინეტი არ მექნება! რათ უნდათ დეპუტატებს ორი კაბინეტი?! მიმაჩნია, რომ დღეს ქვეყანას არა აქვს იმის ფუფუნება, რომ დეპუტატებს ჰქონდეთ ორ-ორი კაბინეტი, ორ-ორი ოფისი, ავეჯის ორ-ორი კომპლექტი ქუთაისში და თბილისში და შემდეგ შეიძლება ვინმეს ეს ბათუმშიც მოუნდეს. მილიონიანი გარღვევის მქონე ხელისუფლება რესურსს ამაში არ უნდა ხარჯავდეს და სხვა საფიქრალი უნდა ჰქონდეს, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ მაჭავარიანმა.



ნაცმოძის ლიდერი ირწმუნება, რომ პარლამენტის ქუთაისში ყოფნით ამომრჩევლებს დეპუტატებთან შეხვედრის მხრივ პრობლემა არა აქვთ და სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ, მაჟორიტარი დეპუტატი მაჟორიტარის ბიუროში ნახონ, დეპუტატებს სასესიო პერიოდში – ქუთაისში, ხოლო არასასესიო დღეებში პარტიულ ოფისებში შეხვდნენ.

წელიწადზე მეტია, რაც რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის შენობაში აღდგენითი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნისას მათი ერთ-ერთი ბოლო გადაწყვეტილება, პარლამენტის შენობაში არსებული ყველა დარბაზის დაშლა-დემონტაჟი იყო. ამასთან, კონსტიტუციაში რჩება ჩანაწერი, რომელიც ადგენს, რომ პარლამენტის ადგილმდებარეობა ქალაქი ქუთაისია. საკანონმდებლო ორგანოს დედაქალაქში დაბრუნების საკითხზე უმრავლესობასა და უმცირესობას შორის კონსენსუსის ვერმიღწევის პირობებში, მმართველ გუნდს დაგეგმილი აქვს, რომ საკომიტეტო სხდომები, შეხვედრები და სხვა საპარლამენტო საქმიანობა თბილისში წარმართოს, ქუთაისში კი პლენარული სხდომები ჩატარდეს, ანუ კანონები ქუთაისში მიიღონ.

დეპუტატების დაბრუნებამდე პარლამენტის შენობაში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია განთავსდება და პარლამენტის ბიუჯეტიდანვე დაფინანსდება.

მისივე ინფორმაციით, კომისიის მდივანი გიორგი კვერენჩხილაძე იქნება, რომელიც ამ ეტაპზე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იურიდიულ სამსახურში მუშაობს.

– სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია პარლამენტის მიერ შეიქმნა. პარლამენტმა საკუთარ თავზე აიღო კომისიის საორგანიზაციო, სამეურნეო და ფინანსური უზრუნველყოფა. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობა მიმდინარე წლის განმავლობაში ფინანსური თვალსაზრისით, დამატებით ხარჯებს არ გამოიწვევს, იგი პარლამენტის არსებული საბიუჯეტო სახსრებიდან დაფინანსდება. კომისიის აპარატი განთავსება პარლამენტის შენობაში რუსთაველის გამზირზე და უახლოეს ხანებში, ერთი თვის, თვენახევრის განმავლობაში იქნება იმის შესაძლებლობა, რომ კომისიამ იქ დაიდოს ბინა და, შესაბამისად, შეკრებების ჩატარება შესაძლებელი იქნება პარლამენტის შენობის დარბაზებში. კომისიას ეყოლება თავისი აპარატი, მაგრამ პარლამენტის აპარატიც კომისიის განკარგულებაში იქნება, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

# გია ვოლსკი: საქართველოში რუსულ აგრესიას ნაციონალებმა შეუწყვეს ხელი“

შორენა მარსაგიშვილი

უკრაინაში მიმდინარე პროცესები თითქმის მთელმა მსოფლიომ შეაფასა. რუსეთის ხელისუფლების ქმედებებს ყველა გმობს. მოსკოვის პოზიცია საქართველოს ხელისუფლებამაც დაგმო, რაც ნაციონალური მოძრაობის მტკიცებით, საკმარისი არ არის.

საპარლამენტო უმცირესობის წევრ ნუგზარ წიკლაურის აზრით, საქართველოს ხელისუფლება თავისივე ძველი განცხადებების, კერძოდ, მისი ფაქტობრივი მმართველის, ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებების ტყვეა.

– ვფიქრობ, ჩვენ უფრო მკვეთრად და მკაფიოდ უნდა გამოგვეხატა ჯერ კიდევ ადრე უკრაინაში მიმდინარე მოვლენების მიმართ დამოკიდებულება და ახლაც, როდესაც ამ მოვლენებმა ასეთი განვითარება ჰპოვა, ჩვენ ერთ-ერთი პირველი უნდა ვყოფილიყავით, ვინც თავის პოზიციას პრინციპულად დააფიქსირებდა. განსაკუთრებით – იმიტომ, რომ საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია და ჩვენს ინტერესშია, რუსეთის დამარცხება მოხდეს ამ დიდ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში. სამწუხაროდ, ვერ ვხედავ, საქართველოს ხელისუფლება დგამდეს იმ ტიპის პრინციპულ ნაბიჯებს, რომელიც ამ შემთხვევაში სწორი იქნება. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ხელისუფლება არის ტყვე თავისივე ძველი განცხადებებისა, კერძოდ, ფაქტობრივი მმართველის – ივანიშვილის განცხადებების, რომ მას „ვერ წარმოუდგენია, რომ რუსეთმა რომელიმე ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინოს“, ასევე იმ განცხადებებისა, რომ საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების გამწვავება მხოლოდ ვერბალური გამონათქვამების პრობლემა იყო და არა იმის, რომელიც რეალურად არსებობს ორ ქვეყანას შორის და იმაში გამოიხატება, რომ რუსეთს პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი იმპერიის აშენება სურს. უკრაინაში რუსეთის ჯარების შეჭრამდე ცოტა ხნით ადრე თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადება, რომ ის უკრაინაში რუსეთის ჯარების შესვლას გამორიცხავს, კომიკური იყო. ამან კარგად გამოაჩინა, თუ რამდენად დისტანცირებულია რეალურ მოვლენებთან და რამდენად მწირი ინფორმაცია აქვს საქართველოს მთავრობას უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, – განაცხადა წილაურმა „ფრონტნიუსის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე.



უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი „პირველ პრესკლუბში“ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოეხმაურა.

– ჩვენთან შიგნით მოვლენების ყველანაირი განვითარების შეფასება, სამწუხაროდ, დიდი პოლიტიკური სპეკულაციის ფორმატში მიმდინარეობს. შიდა პოლიტიკური დაპირისპირებისთვის „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, რომ უკრაინის მოვლენებს დამატებითი დატვირთვა მისცეს, თითქოს მას დატვირთვა აკლდეს, რომ რუსეთთან შეუძლებელია მოლაპარაკება და კიდევ ერთხელ თავიანთი უნიათობა თუ დანაშაულებრივი შეცდომები გაამართლონ, რომელიც აგვისტოს ომის წინა პერიოდში ჰქონდათ. გეგონება, რუსეთთან მიმართებაში იხილავდეს ვინმე ან საერთოდ რუსეთს განიხილავდეს იმ პერიოდის ხელისუფლების თანასწორ დამნაშავედ ამ საკითხებში. რუსეთი არის აგრესორი, ის ოკუპანტია. მას ოკუპირებული აქვს მნიშვნელოვანი ნაწილი და ყოფილი ხელისუფლება თავისი უდიდესი და უმძიმესი შეცდომებით ის ხელისუფლებაა, რომელმაც ხელი შეუწყო რუსეთს აგრესიული გეგმების განხორციელებაში, – განაცხადა ვოლსკიმ.

მისივე თქმით, უკრაინის შემთხვევაში რუსეთის როლი აბსოლუტურად სხვანაირია. მას უფრო პრაგმატულად საზარელი და წინასწარ გათვლილი სტრატეგიით აქვს ყველაფერი ჩატარებული, რაც დღეს მიმდინარეობს.

– გარდა ამისა, როგორც ობამამ და ევროპელმა ლიდერებმა აღნიშნეს, ეს პროცესები შესაძლოა, თავად რუსეთისთვის აღმოჩნდეს საზიანო. რუსეთის პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი მსოფლიოს არწმუნებს, რომ ეს არის მხოლოდ გადადგმული ნაბიჯი რუსული, ან რუსულენოვანი მოსახლეობის დასაცავად ყირიმში. ამ მდგომარეობაში მყოფი მსოფლიო შეიძლება ორი გზით წავიდეს – ან რეალური და ქმედითი სანქციები აამუშაოს და რუსეთზე განახორციელოს მასობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლა, რაც არ არის გამორიცხული, ან დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან და გაითვალოს ვადებში, როდის უნდა გაიყვანოს რუსეთმა თავისი შეიარაღებული ძალები. პროცესების ნებისმიერმა სხვანაირმა განვითარებამ დიდი ალბათობით შეიძლება, მიგვიყვანოს ლოკალური მასშტაბის, თუმცა საშიში პერსპექტივით შეიარაღებულ დაპირისპირებასთან უკრაინისა და რუსეთის სამხედრო ძალებს შორის. ამის აცილება უნდა დღეს ევროკავშირს. ამაზე მისი პოზიცია არის ცალსახა და ერთგვაროვანი, – განაცხადა ვოლსკიმ.

# რა უნდა რუსეთს

შორენა გონგლაძე

პოლიტოლოგი გიორგი ვეკუა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს აფასებს და ამბობს, რომ თუკი უკრაინის მოსახლეობა ვერ გამონახავს თავის თავში ძალას, რომ სიტუაციაში გაერკვეს, ეს ყველაფერი უკრაინისთვის ცუდად დამთავრდება.



— უკრაინის მოვლენები დღეს მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. მას შემდეგ, რაც უკრაინის ოპოზიციამ და ულტრამემარჯვენე ფორმირებებმა კიევში ხელისუფლების აღება მოახერხეს, უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია ყირიმის ნახევარკუნძულზე და უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში. თუკი უკრაინის მოსახლეობა ვერ მონახავს თავის თავში ძალას, რომ ცივი გონებით გაერკვეს არსებულ სიტუაციაში, უკრაინას ემუქრება სუვერენიტეტის თითქმის მთლიანი დაკარგვა, რადგან იგი გადაიქცევა დასავლეთის და, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების იარაღად რუსეთის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ნერგავენ საქართველოს მოსახლეობაში იმ აზრს, თითქოს აშშ ჩვენი ქვეყნის „სტრატეგიული პარტნიორია" და არ ერევა ჩვენს შინაურ საქმეებში. სინამდვილეში, ეს არის სიცრუე და ამის დასადასტურებლად სხვა ქვეყნების მაგალითებიც კმარა, — აცხადებს ვეკუა. მისივე თქმით, არა თუ ისეთი ღარიბი და შეუმდგარი ქვეყნები, როგორც უკრაინა და საქართველოა, არამედ თვით ნატო-ს წევრი მძლავრი სახელმწიფოებიც იმყოფებოდნენ და იმყოფებიან აშშ-ს თითქმის უხილავი, მაგრამ ყოვლისმომცველი ჩარევის პირობებში.

— ამის თაობაზე თვით დასავლეთშიც არაერთი ავტორი წერს. მაგალითად, თავის დროზე დიდი გამოხმაურება მოიპოვა შვეიცარიელი ავტორის, დანიელე განზერის კვლევამ სახელწოდებით „ნატო-ს საიდუმლო არმიები: ოპერაცია „გლადიო" და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში". განზერი მრავალ ფაქტზე დაყრდნობით დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ცივი ომის პერიოდში, დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ გასაიდუმლოებული ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც ახდენდნენ აფეთქებებს, გატაცებებს, მკვლელობებს, ხოლო მასმედიის საშუალებით ეს აქტები ბრალდებოდა მემარცხენე მიმართულების გაერთიანებებსა და პარტიებს (კომუნისტებს). ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი საიდუმლო ქსელი იტალიის ტერიტორიაზე ატარებდა „გლადიოს" (ხმალი) სახელწოდებას. განზერის ნაშრომში ნაჩვენებია, რომ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში იტალიაში მომხდარი რამდენიმე გახმაურებული ტერორისტული აქტი სწორედ ამ საიდუმლო ქსელის ოპერატიული მუშაკების მიერ იყო მოწყობილი და არა მემარცხენე ბოევიკების, როგორც მათ აბრალებდნენ. ამასთან, საიდუმლო აგენტებს კოორდინაციას უწევდნენ სპეცსამსახურები, ხოლო ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს, სასამართლოებს და თვით პოლიტიკოსებსაც კი მათი საქმიანობის გაკონტროლება ან შეჩერება არ შეეძლოთ. ანალოგიური ქსელები შექმნილი იყო დანიაში, ნორვეგიაში, ბელგიაში და სხვა ქვეყნებში. ნატო-ს წევრ თურქეთშიც არსებობდა მძლავრი და განშტოებული ტერორისტული ორგანიზაცია სახელწოდებით „რუხი მგლები", რომელიც ნატო-ს ქვეყნების სპეცსამსახურების და თურქი სამხედროების მფარველობის ქვეშ მოქმედებდა, — აცხადებს ვეკუა.

მისივე თქმით, ამჟამად მსგავსი ორგანიზაციების ამოქმედებისთვის ხელსაყრელი პირობები იქმნება უკრაინაში.

— რუსეთის საფრთხის განეიტრალების საბაბით ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები მოახდენენ უკრაინის სუვერენიტეტის თითქმის სრულ ანულირებას და ქვეყანას გადააქცევენ თავიანთი სპეცსამსახურების და საიდუმლო ქსელების სათარეშო ტერიტორიად. სამწუხაროდ, ამას ხელს უწყობს შექმნილი სიტუაცია, როცა რუსეთი ცდილობს თავისი გავლენა შეინარჩუნოს ყირიმის ნახევარკუნძულზე და უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში. ამ პირობებში, ამერიკელებს, როგორც ჩანს, არ გაუჭირდებათ უკრაინის მთელი რესურსების ხელში ჩაგდება და მათი მიმართვა რუსეთის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობაში. ვერც უკრაინა და ვერც რუსეთი ამით ვერ იხეირებენ. ამიტომ, ანტიფაშისტურ ძალებს მოუწევთ მაქსიმალური მობილიზება და მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების გაწმენდა საეჭვო ელემენტებისაგან, — აცხადებს გიორგი ვეკუა.

# ანზორ წოწონავა: რუსეთს აფხაზეთის დათმობა მოუწევს"

მარიკა მჭედლიშვილი

რუსეთს ცუდად მოუბრუნდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. ამჟამად ვითარება ჩვენს სასიკეთოდ იცვლება მიიჩნევს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ანზორ წოწონავა. „ახალი თაობა" ანზორ წოწონავას ესაუბრა.

***— უკრაინაში მიმდინარე მოვლენები თუ აისახება საქართველოზე?***

— როგორც იქნა, მსოფლიომ ისე აღიქვა რუსეთის აგრესიული პოლიტიკა და მოქმედებები, როგორც საჭირო იყო. როცა ჩვენთან დატრიალდა მსგავსი ტრაგედიები, მსოფლიო გაჩუმებული იყო.

***— რატომ?***

— ჩემი აზრით, ახლა იმიტომ რეაგირებენ ასე მძაფრად, რომ რომ უბედურება ევროპას და სხვა ცივილიზებულ სამყაროს მიუახლოვდა.

***— მიახლოებაში რას გულისხმობთ?***

— რუსეთის იმპერიულ ზრახვებს.

***— ფიქრობთ, რომ რუსეთს ევროპის სხვა ქვეყნებისთვისაც შეუძლია რაიმეს დაშავება?***

— შეიძლებოდა საფრთხე დამუქრებოდა ევროპის ერთიანობას. ევროპის ერთიანობა თუ დაირღვეოდა, გამარჯვებული დარჩებოდა რუსეთის იმპერია. მაგრამ, დღეს აშკარად ვხედავ, რომ ასეთი რისკი იხსნება, იმიტომ რომ, რუსეთის იმპერია დამარცხდა. მთელი მსოფლიო ფეხზეა დამდგარი. ყველამ ნათლად ნახა ის მეთოდები, რომელსაც რუსეთი ჩვენთანაც იყენებდა, როცა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში პასპორტებს არიგებდა ეთნიკური რუსებისათვის. რუსების სამი და ოთხი თაობა როცა ცხოვრობს რუსეთის ფარგლებს გარეთ, ასეთ დროს საერთოდ რა მნიშვნელობა აქვს ეთნიკურ წარმომავლობას? რუსეთი ახლაც აცხადებს, რომ იცავს უკრაინაში თავის თანამემამულეებს. ამ დროს ისინი უკრაინის მოქალაქეები არიან. უბედურებაა ისიც, რომ რეგიონების მიხედვით უნდათ რეფერენდუმის ჩატარება. რეგიონში რეფერენდუმის ჩატარება არ შეიძლება. მსოფლიოში ამის პრეცედენტი არ არსებობს.

***— მსოფლიოში უარესი პრეცედენტებიც გვინახავს. მაგალითად, სერბეთისგან კოსოვოს მოწყვეტა და კოსოვოს დამოუკიდებლობა...***

— ეს იყო დანაშაული. სახელმწიფოს ძალით დაქუცმაცება ძალიან ცუდი მოვლენაა.

***— მოხდება თუ არა საქართველოდან ყურადღების გადატანა? უკრაინის მოვლენების გამო რუსეთს ჩვენი ქვეყნისთვის აღარ ეცლება?***

— რეალურად, საქართველოდან ყურადღება უკვე გადასულია. რასაც რუსეთი უკრაინაში აკეთებს, ჩვენ გადატანილი გვაქვს. ჩვენ ვიყავით პირველები. საქართველო-რუსეთის ომის დროს, როცა რუსეთი აფხაზეთში შემოიჭრა, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ ეს ბუმერანგად მოუტრიალდება რუსეთს. ედუარდ შევარდნაძის სიტყვები მაშინვე ახდა და მალე ჩეჩნეთში ომი დაიწყო. მარტო ჩეჩნეთი კი არა, თითქმის მთელი ჩრდილოეთი კავკასია რუსეთის საწინააღმდეგოდაა განწყობილი. როგორც ვთქვი, ჩვენ პირველები ვიყავით და გადავიტანეთ მოვლენები აფხაზეთშიც და ცხინვალის რეგიონშიც, ანუ ე. წ. სამხრეთ ოსეთში. ამაზე უარესი ვეღარ ჩაიდინეს, იმიტომ რომ საქართველო გაეროს წევრია და იბრძვის იმისთვის, რომ ევროკავშირში შევიდეს. ჩვენთვის რუსეთის აგრესია წარსულში დარჩა. ახლა რუსეთი უკრაინასაც მიადგა და ჩვენ ვხედავთ პუტინის კრახის დასაწყისს.



***— 11-კილომეტრიანი ზოლი, რომელიც სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების საბაბით გადმოსწიეს, ოლიმპიადის შემდეგაც არავის გადაუწევია...***

— ნათქვამი იყო, რომ სასაზღვრო ზოლი 18 მარტამდე გადმოიწეოდა. ჯერ ეს ვადა არ გასულა, თუმცა, რუსეთის პოლიტიკის რომ არ უნდა გჯეროდეს, ესეც ცნობილია. ეს ჰგავს მცოცავ ანექსიას, რომელიც შიდა ქართლში მიმდინარეობს. რუსეთისთვის დამახასიათებელია მცოცავი ანექსია და პასპორტების დარიგება. ისე, რუსეთმა ჩინეთში რომ ჩამოარიგოს პასპორტები, გამოდის, რომ ჩინეთის ტერიტორია უნდა დაიპყროს, მაგალითად, ტიბეტი.

***— თქვენ ჩინეთი ახსენეთ. რამდენად არიან მოკავშირეები რუსეთი და ჩინეთი?***

— რუსეთსა და ჩინეთს საერთო ინტერესები აქვთ. ესაა ენერგომატარებლები. სანამდე ეყოფა ამ ჩვენს მეზობელს ენერგომატარებლები, ესეც ვიცით.

***— რუსეთის ენერგომატარებლებზე ევროპაც არის დამოკიდებული...***

— ევროპამ ენერგომატარებლების თვალსაზრისისთ სხვა გზები მოძებნა. მოძიებულია ხარისხიანი გაზითა და ნავთობპროდუქტებით დაკმაყოფილების სხვა წყაროები, რაც დაკავშირებულია სირიასთან. სირიის საკითხებში რუსეთიცაა ჩართული. რუსეთს არ აწყობს, რომ ევროპამ ენერგომატარებლები ამ გზით მიიღოს. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან გრძელდება ევროპის დამოკიდებულება რუსეთზე. ვარშავის ხელშეკრულებით აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები მიება მაშინდელი საბჭოთა კავშირის ენერგომატარებლებს და სიტუაცია დღესაც არ შეცვლილა. თუმცა, პროცესები ისე ვითარდება, რომ ეს ცვლილებაც მოხდება. პოლიტიკა და ენერგეტიკა უნდა გაიმიჯნოს.

***— ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული ტერიტორიული მთლიანობაა...***

— სამწუხაროდ, ეს დამოკიდებული იყო და ჯერჯერობით ისევ დამოკიდებულია რუსეთის იმპერიაზე. მაგრამ, მისი საცეცები გახდება სუსტი. შეიძლება ისე მოხდეს, რომ უკრაინასთან საზღვარი როსტოვის ოლქიდან გვქონდეს.

***— ანუ რუსეთის დაშლას ვარაუდობთ?***

— რუსეთს ექნება სერიოზული პრობლემები. არ შეიძლება ამდენი ხნის განმავლობაში არარეალიზებული იყოს საშინელი მუხტი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ დაგროვდა. ჩრდილოეთ კავკასიაში ამ მხრივ დიდი დაძაბულობაა. ვინ არის კადიროვი და მისი ადმინისტრაცია? სწორედ კადიროვი ჰყავს პუტინს ჩრდილოეთ კავკასიაში, როგორც მოდარაჯე ძაღლი. ნახეთ, რა ხდება დაღესტანში, ყაბარდო-ბალყარეთსა და ინგუშეთში. ერთადერთი, ჩრდილოეთი ოსეთია მიწყნარებული.

***— ესე იგი, ტერიტორიული ერთიანობის მხრივ სასიკეთო ცვლილებები გამორიცხული არ არის?***

— პროცესი მიდის. ეს პროცესი გარდაუვალია. ბუნებრივი კანონი მოქმედებს ყველაფერზე. პროცესს აუცილებლად ექნება დასრულების ფაზა.

# საზოგადოების შეურაცხყოფაზე დაფუძნებული სამართლიანობის აღდგენის თანამედროვე ვარიაციები

რამდენიმე დღის წინ, ქართულმა მართლმსაჯულებამ, ქვეყნის ხერხემალყოფილ ვანო მერაბიშვილს განაჩენი კიდევ ერთხელ გამოუტანა.

საქმე ამჯერად 2011 წლის 26 მაისის ეპიზოდს ეხება, რასთან დაკავშირებითაც მერაბიშვილს ბრალი ჰქონდა წარდგენილი და რაშიც ეს უკანასკნელი, თავს სრულიად უდანაშაულოდ მიიჩნევდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვანო მერაბიშვილმა და მისმა ადვოკატებმა ლამის იმდენიც კი შეძლეს, რომ 26 მაისის ეპიზოდთან დაკავშირებით, საზოგადოება მერაბიშვილის უდანაშაულობაში დაარწმუნეს. თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას დაცვის მხარის სიძლიერით და ეს უფრო, ბრალდების მხარის, ანუ პროკურატურის სისუსტით, უუნარობითა თუ არაპროფესიონალიზმით შეიძლება აიხსნას.

მოგეხსენებათ, ვანო მერაბიშვილი აცხადებდა, რომ მე აქციის დარბევის კანონიერი ბრძანება გავეცი, ხოლო თუ ადგილზე რომელიმე პოლიციელმა ძალას გადაამეტა, ამ საქმეში მე რა შუაში ვარ, უფრო მეტიც, უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით რამდენიმე პოლიციელი დავსაჯე კიდევაცო.

ამაზე მეტი ცინიზმი წარმოუდგენელია.

წარმოუდგენელია აგრეთვე იმაზე მეტი ცინიზმი, როდესაც აცხადებენ, რომ მომიტინგეებს ტერიტორიიდან გასასვლელი გზა დავუტოვეთო, ან აქციის მონაწილეები რუსეთის დავალებას ასრულებდნენ და ე.წ. მოლოტოვის კოქტეილებით იყვნენ შეიარაღებულებიო.

თუ რა მოსდევს თან მოლოტოვის კოქტეილით შეიარაღებული ხალხის ქუჩაში გამოსვლას, ეს სრულიად მსოფლიომ რამდენიმე დღის წინ კიევში განვითარებული მოვლენების დროს ნახა. მსგავსი რამ კი, თავად მგზნებარე ნაციონალებიც დამეთანხმებიან, რომ საქართველოში ნამდვილად არ მომხდარა.

ანუ, რეალურად ვანო მერაბიშვილის ადვოკატები აცხადებენ, დაინახა თუ არა ვინმემ ვანო მერაბიშვილ როგორ უსწორდებოდა პირადად აქციის მონაწილეებს ან მოისმინა თუ არა ვინმემ მისი ბრძანება აქციის მონაწილეთა ალყაში მოქცევისა და მათი სამგალითოდ დასჯის შესახებო?

რა თქმა უნდა, ბრალდების მხარემ პიროვნება, რომელიც ამას დაადასტურებდა ვერ მოძებნა, რამაც საშუალება მისცა მერაბიშვილის ადვოკატებს, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფი უცოდველ კრავად წარმოეჩინათ.

პროკურატურას კი აზრადაც არ მოსვლია, რომ იგივე 26 მაისის საქმეზე ვინმე შედარებით დაბალი რგოლის ჩინოვნიკებიც დაკითხოს, რომლებიც იტყვიან თუ ვის ბრძანებას ასრულებდნენ ისინი ავადსახსენებელ 26 მაისს და ასე შექმნას მტკიცებულებათა ჯაჭვი.

არადა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ 2011 წლის 26 მაისს, საქმე აქციის ჩვეულებრივ დარბევასთან გვქონდა, სადაც პოლიციის თანამშრომლები პროტესტის გამოსახატად ქუჩაში გამოსულ მოქალაქეებს ზედმეტი თავაზიანობით ექცეოდნენ.

რომელ სამართლიან და საფუძვლიან გამოძიებაზეა საუბარი, როდესაც ერთი სიტყვაც კი არ თქმულა იმ ზონდერების შესახებ, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს სრტუქტურაში ოფიციალურად არ ირიცხებოდნენ, მაგრამ 26 მაისს, სპეცფორმით და სრული ეკიპირებით აღჭურვილები, საკუთარ მოსახლეობას უსასტიკესად უსწორდებოდნენ?

ვინ იყო ეს ხალხი, ვინ მისცა მათ საკუთარი თანემემამულეების დახოცვა-დასახიჩრების უფლება, ვინ უყიდა მათ სპეცფორმები და ვინ დაურიგა ხელკეტები თუ აირწინაღები?

გაცემულია ამ კითხვებზე პასუხი?

რა თქმა უნდა, არა. უფრო მეტიც, მგონი ეგრეთწოდებული „ზონდერების" თემა არც გამოძიებას და არც დღევანდელ ხელისუფლებას არ ახსოვს.

აბა რომელ ბრალის დამტკიცებაზე ვლაპარაკობთ?

სამარცხვინო და შეურაცხმყოფელია, როცა მერაბიშვილი ამბობს, რომ დღეს რომ 26 მაისი იყოს, იგივე ბრძანებას გავცემდიო.

სამარცხვინოა, როდესაც მერაბიშვილი ამბობს, რომ 26 მაისს საპროტესტო აქცია დასავლური სტანდარტების შესაბამისად, ცივილიზებული ნორმების დაცვით დაიშალა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# უკრაინაში მოვლენები 2008 წლის აგვისტოს სცენარით ვითარდება"

შორენა გონგლაძე

საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობას ქმედითი ზომების მიღებისკენ მოუწოდებს. მინისტრის აპარატი რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის გამო განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, უკრაინაში მოვლენები ზუსტად იმ სცენარით ვითარდება, როგორც ეს საქართველოში ექვსი წლის წინ ხდებოდა.

— მინისტრის აპარატი საერთაშორისო თანამეგობრობას, ევროკავშირს, ნატოს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებს მოუწოდებს, მკაცრ განცხადებებთან ერთად მიიღონ ქმედითი ზომები ვითარების განმუხტვისთვისა და მსხვილმასშტაბიანი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. უმოქმედობის შემთხვევაში მივიღებთ კონფლიქტის ახალ კერას, ახალ ოკუპაციას და წარმოუდგენლად დიდ მსხვერპლს. საფრთხე ექმნება არა მხოლოდ უკრაინას, არა მხოლოდ შავი ზღვის რეგიონს, არამედ ზოგადად საერთაშორისო სტაბილურობასა და წესრიგს. ვფიქრობთ, ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის სივრცეში მშვიდობისა და დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი უსწრაფესი და ეფექტური საშუალება საქართველოსთვის და მოლდოვასთვის ევროპული პერსპექტივის შეთავაზებაა; მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა კიდევ უფრო დააჩქაროს უკრაინასთან, მოლდოვასთან და საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა და რატიფიცირება და საქართველოსთან სავიზო ლიბერალიზაციის მოლაპარაკებების დროულად დასრულება, — ნათქვამია განცხადებაში. მინისტრის აპარატის განცხადებით, უაღრესად მნიშვნელოვანია ნატოს 2014 წლის სამიტზე მოკავშირეებმა დადებითად გადაწყვიტონ საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მიცემის საკითხი.

— 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმაზე უარის თქმამ რუსეთს ერთგვარად ხელ-ფეხი გაუხსნა აგრესიული მოქმედებებისთვის. იმედია, საერთაშორისო თანამეგობრობა დღეს უფრო პრინციპულად და ნაყოფიერად იმოქმედებს და ჩვენი რეგიონის ხალხებს ევროპისკენ მიმავალ გზაზე მეტი სისხლის დაღვრა აღარ მოუწევთ. ჩვენ სრულ თანადგომასა და სოლიდარობას ვუცხადებთ მოძმე უკრაინელ ხალხს და მის ხელისუფლებას, რომელსაც სურს იხილოს საკუთარი ქვეყანა გაერთიანებული ევროპული დემოკრატიების ოჯახში და ამ მიზნისთვის თავისუფლად მიიღოს სუვერენული გადაწყვეტილებები, — აღნიშნულია განცხადებაში.

# საზოგადოების შეურაცხყოფაზე დაფუძნებული სამართლიანობის აღდგენის თანამედროვე ვარიაციები

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ძალიან არ მიყვარს პირველ პირში საუბარი, მაგრამ თავად მქონდა ბედნიერება, 2011 წლის მაისის ყველაზე დაძაბულ დღეებში ვმდგარიყავი იმ ადამიანების გვერდით, რომლებმაც სპორტისა თუ ხელოვნების მსოფლიო ისტორიაში ეპოქები შექმნეს და რომლებიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა ვერც დააშინა და ვერც მოისყიდა.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ 2011 წლის მაისის დღეებში, გარეთ ის ხალხი იყო გამოსული, რომლებიც, სრული უიმედობისა და მასობრივი ტერორის პირობებში, მაინც ფეხზე დადგა და რეჟიმს, რომელიც საქართველოს განადგურების გეგმას საოცარი სკულპულოზურობით ასრულებდა, — წინ აღუდგა.

მართალია 2011 წლის მაისის ამბების მონაწილენი, ხელისუფლებამ „სამაგალითოდ დასაჯა,“ მაგრამ მათ ბრძოლას უკვალოდ ნამდვილად არ ჩაუვლია და 2011 წლის 26 მაისიდან სულ რაღაც 4 თვეში, ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც თავისი უზარმაზარი ავტორიტეტის წყალობით, ქვეყანაში რამდენიმე, აგონიაში მყოფი პარტია გააცოცხლა და უფრო მეტიც, მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარიზმი უსისხლოდ დადო ბეჭებზე.

როდესაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში შემოვიდა, წლების განმავლობაში ღირსებააყრილი ხალხი მას გვერდით ძირითადად იმიტომ დაუდგა, რომ ივანიშვილი ხალხს სამართლიანობის აღდგენასა და გათელილი ღირსების დაბრუნებას დაპირდა, თუმცა ეს დაპირება სამწუხაროდ, დღემდე დაპირებად რჩება, ხოლო საზოგადოება, ნაცვლად ღირსების დაბრუნებისა, ახალი და ძველი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ დამატებით შეურაცხმყოფელ ფრაზებს ისმენს.

ამ თემაზე საუბარი ალბათ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება, მაგრამ კონკრეტულად 26 მაისის თემას რომ დავუბრუნდეთ, ის რაც მაშინ რუსთაველის გამზირზე ხდებოდა, მხოლოდ ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკებში არსებულ ვითარებას შეიძლება შევადაროთ.

ზუსტად 24 საათზე, მაშინ, როდესაც აქციის მონაწილეებს „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრმა თემურ შაშიაშვილმა დამოუკიდებლობის დღე მიულოცა, ტრიბუნას წყლის პირველი ჭავლი დაეძგერა, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა და ზონდერჯგუფთა მიერ, ალყაში მოქცეული ხალხის მიმართ უმოწყალო ფიზიკური ანგარიშწორება მოჰყვა.

წყლის ჭავლთან ერთად, ნაციონალურმა ხელისუფლებამ საკუთარი მოქალაქეების მიმართ იმ ღამეს ერთდროულად გამოიყენა მხუთავი, მომწამვლავი აირი, რეზინის ტყვიები, ხმოვანი სიგნალები და რა თქმა უნდა, ხელკეტები.

სპეცრაზმის მიერ იერიშის დაწყებისგან თავგზააბნეული ხალხი გასასვლელს ეძებდა, თუმცა რუსთაველის გამზირის ის მონაკვეთი, სადაც აქცია მიმდინარეობდა, პოლიციასა და ზონდერებს სამმაგ და ოთხმაგ ალყაში ჰქონდათ მოქცეული.

„სახალხო კრების“ სატვირთო მანქანასა (რომელზეც ტრიბუნა და ხმის აპარატურა იყო მოთავსებული) და პარლამენტის წინ მდებარე ერთ-ერთი მშენებარე ობიექტის ღობეს შორის საშინელი ჭყლეტა წარმოიქმნა, სადაც რამდენიმე წუთის განმავლობაში პრაქტიკულად სუნთქვაც კი შეუძლებელი იყო.

სუნთქვას აძნელებდა უდიდესი დოზით გაშვებული მხუთავი აირი, რასაც თან, სპეცრაზმის მანქანის წყლის ჭავლი და ხალხისკენ დამიზნებული თოფებიდან ინტენსიურად დაშენილი რეზინის ტყვიები ერთვოდა.

ვისაც წარმოდგენა არ აქვს რა არის რეზინის ტყვია, შეიძლება იფიქროს, რომ ის ჩვეულებრივ რბილი მასალისგან შედგება. სინამდვილეში კი, რეზინის ტყვია წარმოადგენს მაგრად დაპრესილ მასას, რომელიც თავისი სიმაგრით და სიმკვრივით ქვას არ ჩამოუვარდება.

სატვირთოსა და ღობეს შორის წარმოქმნილი ჭყლეტა, რასაც თან რეზინის ტყვიებით დაჭრილი და მხუთავი გაზით მოწამლული ადამიანების კივილი ერთვოდა, — მოულოდნელად განიტვირთა და ხალხმა გასასვლელი იპოვნა, თუმცა როგორც აღმოჩნდა, ეს გასასვლელიც ვანოს ბიჭების მორიგი მახე ყოფილა, რომლითაც ხალხი კონოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში შეიტყუეს.

დერეფანი, რომელიც ჭყლეტის ადგილას სპეცრაზმელებმა და ზონდერებმა გახსნეს, სიგრძით დაახლოებით 30-40 მეტრი იყო, რომლის ორივე მხარეს ხელკეტებითა და სხვა ეკიპირებით შეიარაღებული ნიღბოსნები იდგნენ და ხელოვნურ დერეფანს მიწყვეტილ მოქალაქეებს, მათ შორის დედისტოლ ქალებსაც, ბილწსიტყვაობითა და ხელკეტებით დაუნდობლად უსწორდებოდნენ.

საბოლოოდ, ხალხის ნაწილმა და მათ შორის მეც, თავი კინოთეატრის შენობას შევაფარეთ. ნაცემმა და მოწამლულმა ხალხმა თითქოს შვებით ამოისუნთქა, რადგან ვერავინ ვერ იფიქრებდა, რომ უკვე დაშლილი მიტინგის მონაწილეების ნარჩენების წინააღმდეგ დარბევის კიდევ ახალი ტალღა დაიწყებოდა.

საკუთარი თვალით ვნახე მოწამლული და ნაცემი 60 წლამდე ქალბატონი, რომელიც შენობის შიდა კიბეზე დავარდა და გონი დაკარგა. მისი მოსულიერება, ვილაცის მიერ კიბესთანვე დატოვებულ ბოთლში ჩარჩენილი „პეპსი კოლას“ მეშვეობით შევძელით.

კინოთეატრის შენობაში ხალხის მიერ თავშეფარებიდან დაახლოებით ნახევარ საათში, შენობის შესასვლელთან სპეცრაზმელთა და ზონდერთა მობილიზაცია დაიწყო და უკვე აშკარა იყო, რომ ისინი კინოთეატრში შემოვარდნას და იქ თავშეფარებული ხალხის მიმართ ანგარიშსწორებას აპირებდნენ.



მხუთავი გაზის კვამლი უკვე გაფანტული იყო და შენობიდან კარგად ჩანდა თავსხმა წვიმაში პირქვე დაყრილი ხელბორკილდადებული ხალხი, რომლებსაც სპეცრაზმელები კვლავ უმოწყალოდ სცემდნენ და აგინებდნენ.

კინოტეატრის წინ მობილიზებიდან რამდენიმე წუთში, მერაბიშვილის ბიჭებმა შენობაში მხუთავი აირის ბალონები შემოყარეს, რამაც შენობის ოთხივე სართული რამდენიმე წუთში მოიცვა. მხუთავი აირის ბალონების შემოყრას ხელახალი პანიკა, ქალების კივილი და ხალხის მასიურად ცუდად გახდომა მოჰყვა, ამის შემდეგ კი, სპეცრაზმელები შენობაში თავადაც შემოცვივდნენ და ხალხის წინააღმდეგ უსასტიკესი ანგარიშსწორება დაიწყეს.

ისინი პრაქტიკულად სასიკვდილოდ ურტყამდნენ ხელჯოხებს და „ბათინკებიან“ ფეხებს ძირს დაგდებულ, ხელებზე პლასტმასის ბორკილებდადებულ დასისხლიანებულ ხალხს და თან უშვერი სიტყვებით აგინებდნენ.

პირადად ჩემს ცემაში მონაწილეობა დაახლოებით ათამდე სპეცრაზმელმა მიიღო. შემდეგ კი ხელბორკილდადებული მეც სხვებივით პირქვე დამაგდეს, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი წამება ამით არ დამთავრებულა და ნებისმიერი გამვლელი სპეცრაზმელი თავს ვალდებულად თვლიდა ფეხი ჩვენს კისერზე ან თავზე დაებიჯებინა და ისე გადაევლო, აღარაფერს ვამბობ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე და ხელკეტებით განმეორებით ცემაზე. უფრო სწორად, პირქვე დაყრილებსაც, ვანოს ბიჭები გავლისას ხელკეტებით მაინც გვცემდნენ.

პირადად მე, განმეორებით მცემეს იმის გამო, რომ ჯიბეში ერთლარიანი, სადარბაზოს გასანათებელი მინიატურული ფარანი მიპოვნეს, ცემის შემდეგ კი ეს ფარანი ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა ჯიბეში ჩაიდო და წავიდა.

ჩემს თვალწინ, შუა ხნის ასაკს გადაცილებული დიაბეტით დაავადებული ადამიანი იკლაკნებოდა, პირიდან ქაფი გადმოსდიოდა, რის დანახვაზეც ერთი სპეცრაზმელი მივარდა და „მოკვდი თუ კვდები შენი დედაცო“ შეძახილით დაახლოებით 3-5 წუთის განამვლობაში ხელკეტით სცემა.

შემდეგ კი ამ კაცს ჯიბიდან წამლები ამოუღეს და „ბათინკებიანი“ ფეხებით გათელეს.

ჩემს თვალწინვე, დაახლოებით 20 წლის ბიჭი ცუდად გახდა, რაც მას დამატებით ცემად დაუჯდა, თუმცა შემდგომ ერთ-ერთ სპეცრაზმელს როგორც ჩანს შეეცოდა, ფეხში ხელი მოჰკიდა და იმ ადგილიდან, სადაც ბევრი სპეცრაზმელი ირეოდა, დაახლოებით 10 მეტრის მანძილზე გაათრია.

ცალკე საკითხია დაპატიმრებული ხალხის შენობიდან გაყვანაც, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ისევ და ისევ, ცემა-ტყეპისა და გინების ფონზე მიმდინარეობდა.

კინოთეატრ „რუსთაველის“ კიბეები და შესასვლელი, არ ვაჭარბებ, — მთლიანად წითელი იყო. სხვათა შორის, ამ კატასტროფიდან რამდენიმე საათში, საქართველოს მაშინდელმა ცხვირითმიწისმხვნელმა მთავარსარდალმა, მსახიობ შერონ სტოუნთან ერთად, იმავე შენობაში იღლაბუცა და იტინგიცა, სადაც ახლადგადარეცხილი სისხლის სუნი ჯერ კიდევ იდგა.

რუსთაველის გამზირიდან ქალაქის სამმართველომდე, სამარშრუტო ტაქსებში და ავტობუსებში ერთმანეთზე დაყრილები გადაგვიყვანეს. პლასტმასის ბორკილები, ე.წ. „ხამუთები,“ რომლებიც ხორცში სულ უფრო და უფრო ჯდებოდა აუტანელ ტკივილს, სილურჯესა და კიდურების დასიებას იწვევდა.

იმასთან შედარებით კი, რაც მე თბილისის სამმართველოში საკუთარი თვალით ვნახე, კინოთეატრ „რუსთაველში“ ნანახი საბავშვო გართობად ჩანდა.

აქ პირდაპირ იატაკზე ეყარნენ დასახიჩრებული ადამიანები, ირგვლის აუტანელი გმინვა, კვნესა და გინება ისმოდა, ხოლო პოლიციის თანამშრომლები მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ სასწრაფო დახმარების ექიმებისთვის მომაკვდავი ხალხი საავადმყოფოში არ გაეტანებინათ.

ცალკე საკითხია სასამართლო, სადაც, იმ მოსამართლეებმა, რომლებსაც არც ღირსება და არც ნამუსი არ გააჩნიათ, რომლებიც მიშასა და პროკურატურის ფეხსაცმელების მლოკავებად იყვნენ გადაქცეულნი და რომლებიც გაზრდილი ხელფასებით, მანტიამოსხმულები თავიანთ საქმიანობას დღესაც აგრძელებენ, — ყოველგვარი კანონის ფეხებზე დაკიდებით, სხვადასხვა ვადით პატიმრობა ჩამგვირიგეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თითოეულის სასამართლო პროცესი 10 წუთზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა.

სასამართლოს მისჯის შემდეგ, მე პირადად თელავის იზოლატორში გადამიყვანეს, სადაც, ვანოს მიერ ნაქები და რეფორმირებული პოლიციის თანამშრომლები ისე წარმატებულად იპარავდნენ ოჯახის წევრების მიერ მოწოდებულ პროდუქტებს, როგორც დაგიბარებიათ.

მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთმა პატიმარმა ცხაურიდან დაინახა თავისი ოჯახის წევრი, რომელსაც ორი დიდი ჩანთა მოჰქონდა, ხოლო კამერაში მას პოლიეთილენის ერთი პარკი შემოუტანეს.

ერთ-ერთმა პატიმარმა კი, ასევე ცხაურიდან დაინახა თავისი ძმა, რომელსაც ჩანთებთან ერთად ხელში ერთი ბლოკი „მარლბოროც“ ეჭირა, სულ რაღაც ათიოდე მეტრში კი, „მარლბორომ“ საოცარი ტრანსფორმაცია განიცადა და პატიმარს საკანში მხლოდ 4 კოლოფი ადგილობრივი წარმოების „ასტრა“ შემოუტანეს.

გარდა საკვებისა, იპარავდნენ ჰიგიენის საგნებს, ერთჯერად ხელსახოცებს, კბილის ჯაგრისებს, საპნებს და ასე შემდეგ.

იპარავდნენ პატიმრების საკვებსაც და იმ საკვებსაც, რომელიც პატიმრებისთვის სახელმწფოს მიერ იყო გამოყოფილი. აი სად იყო კორუფცია ბატონებო, დღეს რომ თავი კორუფციის დამმსამარებლებად მოგაქვთ და ვინ იცის, კიდევ რამდენი მსგავსი დაწესებულება არსებობდა, სადაც ბიუჯეტის ვირთხები ხალხისთვის განკუთვნილ ქონებას ჯიბეში მიაქანებდნენ.

პატიმრებისთვის გამოყოფილი პაშტეტები, შაქარი და სხვა პროდუქტები, როგორც მოგვიანებით გავიგე, თელავის „ოპტავშკებთან“ ბარდებოდა თურმე.

ეს არის უმცირესი ნაწილი იმ საშინელებებისა, რაც 2011 წლის მაისის ამბების დროს ხდებოდა. არაფერს ვამბობ ხალხის ქუჩიდან მოპარვაზე და პირდაპირ სასამართლოში მიყვანაზე, ასევე იმ უამრავ პოლიტპატიმარზე, რომელიც 26 მაისის ამბების გამო აბსოლუტურად უდანაშაულოდ დააკავეს.

როდესაც ქვეყანაში ასეთი სახის დანაშაული ხდება და როდესაც ამ მასშტაბის დანაშაულისთვის მხოლოდ ერთი კაცი — ვანო მერაბიშვილია დაპატიმრებული, რა თქმა უნდა, ხალხის აგრესია, სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, სავსებით სამართლიანია.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ 26 მაისს ადგილი ჰქონდა მასშტაბურ, სისტემურ დანაშაულს სახელმწიფოს ძალოვანი უწყებების მხრიდან და სამართლიანობამ მართლაც რომ იზეიმოს, მხოლოდ 26 მაისის საქმეზე, მინიმუმ 2-3 ათასი ადამიანი მაინც უნდა დაიჭირონ. რა თქმა უნდა, ამის განხორციელება ძნელია და არც სასურველი არ არის, მაგრამ როდესაც ამ დონის დანაშაულისთვის ერთ კაცს იჭერ, იმასაც დანაშაულს პრაქტიკულად ვერ უმტკიცებ და მხოლოდ 4,5 წელს უსჯი, რა თქმა უნდა, საეჭვო ბევრი რამეა.

სწორედ ამ ხელისუფლების დამსახურებაა ის, რომ ვანო მერაბიშვილი დღეს სასამართლოს დარბაზიდან მთელ საქართველოს და მათ შორის, ახალ მთავრობასაც, ფაქტიურად აშაყირებს.

ცელკე საკითხია, აქვს თუ არა მას ამის მორალური უფლება, თუმცა, მორალური ბარიერი მხოლოდ იმ ადამიანების ფსიქიკაში არსებობს, ვისაც ზოგადად მორალი გააჩნია.

რომელ სამართლიანობის აღდგენაზე ვლაპარაკობთ, როდესაც პროკურატურაში, სადაც დაზარალებულად მცნეს, მხოლოდ ის მკითხეს, ამოიცნობ თუ არა 2 წლის შემდეგ რომელიმე სპეცრაზმელს, რომელსაც სახეზე ნიღაბი ეკეთაო.

რომელ სამართლიანობის აღდგენაზე ვლაპარაკობთ, როცა ის მოსამართლეები, რომლებმაც უდანაშაულო ხალხი ციხეში უსინდისოდ გაუშვეს და შემდეგ ალბათ, სახლში მისულებმა მშვიდად დაიძინეს, — დღეს ისევ თანამდებობებზე რჩებიან და უფრო მეტიც, ახალმა ხელისუფლებამ გაზრდილი ხელფასებითაც კი გაანებივრა.

რომელ სამართლიანობის აღდგენაზე ვლაპარაკობთ, როდესაც ადამიანი, რომლის მაღაზიის თავზეც, ხელებშეკრული, „დენის დარტყმისგან გარდაცვლილი“ აქციის მონაწილეები იპოვნეს, დღემდე იხვეწება დამკითხეთ და გეტყვით, როგორ ახორციელებდნენ ზეწოლას, რომ მეღიარებინა ვითომდა გაუმართავი სადენები მქონდა მაღაზიის თავზე და მომიტინგეებიც ამის გამო დაიღუპნენო. ეს კაცი ვანო მერაბიშვილმა ციხეში გამოამწყვდია. ძნელი საპოვნი და მისაგნებია ის პოლიციელები, ვინცა მ ადამიანზე ზეწოლას ახორციელებდა? ან ძნელად საპოვნია ის გამომძიებელი თუ მოსამართლე, რომელმაც ეს პიროვნება ციხეში გამოკეტა?

ვინმეს გჯერათ, რომ მაღაზის თავზე გვამების შემოწყობა და შემდეგ ამ მაღაზიის მეპატრონის დაკავება ვანო მერაბიშვილის გვერდის ავლით მოხდა და მან არაფერი არ იცოდა? რა თქმა უნდა, ამის დაჯერება გულუბრყვილობის ფარგლებსაც კი სცდება.

თუ არ დააკავე ან არ დაკითხე ის ადამიანი, ვინც ამ პიროვნების წამებას ახორციელებდა, თუ არ დაკითხე ხალხი, ვინც 26 მაისს დანაშაულებრივ ბრძანებებს ასრულებდნენ და თუ არ ჰკითხე მათ, კონკრეტულად თუ ვინ მისცა დავალება, ისე როგორ შეკრავ გამოძიების ჯაჭვს და როგორ შექმნი უტყუარ მტკიცებულებას ვანო მერაბიშვილის ან თუნდაც მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ.

მინდა ვიფიქრო, რომ ეს მხოლოდ პროკურატრის არაკვალიფიცურობის ბრალია და ამის უკან რაიმე ფარული გარიგება არ დგას.

დაინტერესდა თუ არა გამოძიება ვანო მერაბიშვილის სკანდალური გაცხადებით, როდესაც მან სასამართლოს სხდომაზე თქვა, რომ მხუთავი აირის გამოყენების შესახებ ბრძანება ჩემი ნების საწინააღმდეგოდ გაიცაო?

დაინტერესდა თუ არა გამოძიება, ვინ იყო ის სხვა, ვინც მომწამვლელი გაზის გამოყენების შესახებ ბრძანება გასცა?

სწორედ პროკურატურისა და ახალი ხელისუფლების სხვადასხვა შტოების უნიათობის თუ ნაციონალებთან ფარული გარიგების ბრალია ის, რომ რამდენიმე დღის წინ, ასევე მგზნებარე ნაციონალმა გოკა გაბაშვილმა განცხადება გააკეთა, რომ ვანო მერაბიშვილი ციხიდან იმაზე ადრე გამოვა, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია და გამოვა ისეთივე ფორმით, როგორც უკრაინაში იულია ტიმოშენკო გამოვიდაო.

ვინმემ ამ განცხადებას ყურადღება მიაქცია?

როდესაც ქვეყნის ყოფილი მმართველი ძალის ერთ-ერთი სახე გამოდის და საჯაროდ აცხადებს, რომ ისინი ისეთი არეულობის მოწყობასა და მსხვერპლსაც კი არ დაერიდებიან, როგორც ეს უკრაინაში მოხდაო, მმართველი ძალიდან მინიმუმ, ვინმეს სიტყვიერად ხო მაინც უნდა გაეცა პასუხი?

დღეს კი, ყოფილი ხელისუფლების ის წარმომადგენლები, ვის ხილვასაც საზოგადოება გისოსებს მიღმა უფრო ისურვებდა, — გამოდიან და აცხადებენ, რომ 26 მაისის მონაწილეები სამშობლოს მოღალატეები იყვნენო.

ხელისუფლების გასაგონად ვაცხადებ, რომ 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე ის ხალხი იდგა, ვინც საკუთარი ქვეყნისთვის მართლაც სიცოცხლის დასათმობად იყვნენ მზად და ისინი სამშობლოს ღალატის ბრალდებას არ მოითმენენ.

მითმეტეს არავინ არ მოითმენს სამშობლოს მოღალატედ მოხსენიებას იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლების მხრიდან, ვინც ყველა სტრატეგიული ობიექტი და ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტი, მისგანვე მტრად შერაცხულ სახელმწიფოს მიართვა და რომლის ლაჩარი მთავარსარდალიც, თვითმფრინავის ხმის გაგონებისას გორში ჭუჭყიან ასფალტს ცხვირით ხეხავდა.

საზღვარი მართლა ყველაფერს აქვს, ხოლო ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება და რაც ხელისუფლების გარკვეულ ძალებს სურთ რომ სამართლიანობის აღდგენად შემოგვასაღონ, სხვა არაფერია თუ არა და იმ ხალხის შეურაცხყოფა, რომლებიც წლების განმავლობაში ტირანიას საკუთარი სიცოცხლისა და ოჯახის წევრების სიცოცხლის რისკის საფასურად ებრძოდნენ.

შეურაცხყოფას კი ის ხალხი არც მაშინ ითმენდა, როცა უზარმაზარი სახელმწიფო სადამსჯელო მანქანა მოქმედებდა და მითუმეტეს, არც დღეს მოითმენს, როდესაც უკანონო მოსმენებისა და უკანონო დაპატიმრებების დრო, იმედია სამუდამოდ, — წარსულს ჩაბარდა.

იმ შემთხვევაში კი, თუ სამართლიანობა ქვეყანაში რეალურად არ აღდგა, მაშინ დაპირება ნომალური და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების შესახებ, ქვიშაზე სახლის აშენებას ჰგავს, რომელიც როდის ჩამოინგრევა, — არავინ იცის.

სახელმწიფოს ძირითადი საძირკველი არა ეკონომიკა, არამედ სამართალია, ხოლო უსამართლობაზე დაშენებული ეკონომიკა ან პოლიტიკა, ბოლომდე სამართლიანი ვერასდროს ვერ იქნება და მუდმივად იარსებებს საფრთხე იმისა, რომ ეს შენობა დაინგრეს.

ახალი საქართველოს საძირკველი სწორედ სამართალზე უნდა დაშენდეს, რაც მომავალი თაობებისთვის და ხელისუფლებებისთვისაც კარგი და სამაგალითო პრეცედენტი იქნება.

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“**

# რატომ ათავისუფლებენ ფოლკლორის ცენტრის თანამშრომლებს?

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლები ავრცელებენ ინფორმაციას და თანამშრომლების უკანონო გათავისუფლებაზე საუბრობენ. სპეციალური განცხადება ამ თემასთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენციაზე თამაზ მიჩინაშვილმა და ოთარ კაპანაძემ გააკეთეს.

მათ ფოლკლორის ცენტრის ახალი დირექტორი უკონტაქტობაში დაადანაშაულეს და აღნიშნეს, რომ უახლოეს მომავალში ცენტრიდან მინიმუმ 5-6 თანამშრომლის გაშვება იგეგმება.

**თამაზ მიჩინაშვილი:**

– 2007 წლიდან ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომელი ვარ. ახალი ხელმძღვანელის დანიშვნის შემდეგ, ანუ პირველი იანვრის შემდეგ ძველი კადრების ჩანაცვლება მიმდინარეობს ახალი კადრებით. დღესდღეობით აღარ ვარ ფოლკლორის ცენტრის თანამშრომელი. ოფიციალურ მიზეზად მეცნობა ის, რომ კონტრაქტი დამისრულდა. რეალურად კონტრაქტი არ მქონია, ბრძანებით ვიყავი დანიშნული. არაოფიციალური მიზეზი, რომელიც უშუალოდ დირექტორმა განმიცხადა იყო ის, რომ მიუხედავად ჩემი წარმატებული მუშაობისა ამ სამსახურში, მას როგორც დირექტორს, დისკომფორტს შევუქმნიდი. ორი დღის წინ მაცნობეს, რომ კონტრაქტი, რომელიც არ არსებობს და ხელიც არ მაქვს მოწერილი, დასრულდა და აღარ გამიგრძელდება.

***– თქვენს გათავისუფლებას რამეს უკავშირებთ?***

– ამ განთავისუფლებას ვუკავშირებ იმას, რომ როცა ფოლკლორის ცენტრის დირექტორი გიორგი უშიკიშვილი მოხსნეს და შეიქმნა სამხატვრო საბჭო მე და ჩემი თანამშრომელი ოთარ კაპანაძე ყველაზე მეტად გამოვხატავდით თანამშრომელთა აზრს საჯაროდ მასმედიასთან. გაჩნდა ის პრობლემა, რომ ჩვენ გამომდინარე იქიდან, რადგან ხმა ავიმაღლეთ, რომ ეს იყო უსამართლობა, არადა, ეს იყო ყველას მოსაზრება, დავსაჯეთ მხოლოდ ჩვენ. ორთვიანი დაძაბული რეჟიმის მერე, რომელიც ფოლკლორის ცენტრში გვქონდა, ვერ დავამყარე მასთან კომუნიკაცია. ახალი დირექტორი ფაქტიურად კონტაქტში არ შედის თანამშრომლებთან. ის ორიოდე დღის წინ შეხვდა თანამშრომელთა ნაწილს. მითხრა ის, რომ უნდა წავიდე, შემომთავაზა დროებით სადღაც გადასვლა სხვა თანამდებობაზე. ძირითადი მოთხოვნა ის იყო, რომ ამ სამსახურიდან უნდა წავსულიყავი.

***– გიორგი უშიკიშვილის მხარდაჭერის გამო ხომ არ გათავისუფლებენ?***

– ამ შემთხვევაში ოფიციალური და არაოფიციალური მიზეზი ამას არ გულისხმობს, თავადაც არ ვთვლი, რომ ასე იყო. ჩემი აქტიურობა იმ პერიოდში, როცა იყო თანამშრომელთა წინააღმდეგობა ბორდის მხრივ, ამან გამოიწვია.

***– მხოლოდ თქვენ გაგათავისუფლეს?***

– ოფიციალურად ამ მდგომარეობაში მხოლოდ მე ვარ, არაოფიციალურად ზეპირი შეტყობინებით არის ოთარ კაპანაძე და საუბარია დაახლოებით კიდევ 5-6 თანამშრომელზე, რომელთა ჩანაცვლებაც უნდა მოხდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩანაცვლება ხდება კადრების გაზრდის ხარჯზე. როცა ფოლკლორის ცენტრმა კულტურის სამინისტროს სთხოვა თანხის დამატება სახელფასო ფონდში, ამის ფონზე ხდება იმ თანამშრომლების გაშვება, რომლებიც რეალურად საქმეს აკეთებენ და ჩვენი ვარაუდით მართლდება ის, რომ დასაქმება მოხდება ნაკლებად არაკვალიფიციური და ამ საქმეში გაუთვითცნობიერებელი ადამიანების, რაც ფოლკლორის ცენტრის მუშაობას უკან დაწევს. ადრე როცა იყო პროექტები, რომლებიც ფინანსდებოდა, უშუალოდ ცენტრის დირექტორი იღებდა გადაწყვეტილებას პროექტის მიმდინარეობაზე, რა თქმა უნდა, ცენტრის თანამშრომლებთან ერთად. ახლა უკვე ცენტრის დირექტორი უთანხმებს პროექტს სამეთვალყურეო საბჭოს, ის განიხილავს, შემდეგ წარუდგენენ კულტურის სამინისტროს და მისი კეთილი ნების შემდეგ მოხდება დაფინანსება. ასეთი ბიუროკრატიული პროცესები ნებისმიერ სფეროში ქმნის უძრაობის ხანას. სამწუხაროდ, შეიძლება ეს ხანა ფოლკლორის ცენტრშიც დადგეს, რადგან ამის ბევრი მაგალითი არსებობს. პასუხისმგებლობას ამაზე კი კულტურის სამინისტროს და პირადად კულტურის მინისტრს ვაკისრებთ.

***– ფოლკლორის ცენტრის ახალ დირექტორს ესაუბრეთ?***

– ის კომუნიკაციაში არ შემოდის. ერთხელ იყო, როცა უშუალოდ თვითონ შემხვდა და მითხრა, რომ უნდა წავიდე.

***– რა იყო მიზეზი?***

– მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ ჩემთან ერთად კომფორტულად ვერ იმუშავებს. მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ჩემი საქმიანობის შესახებ, უნდოდა ჩემნაირი კადრი ყოფილიყო იქ და გაუჭირდებოდა ჩემნაირი კადრის პოვნა, მაინც უნდა წავსულიყავი. გამომდინარე იქიდან, რომ არ დავწერე ჩემი ნებით განცხადება და არ წავედი, ამიტომ პირდაპირ შემიძლია ვთქვა, სულელური მიზეზი მომწერა და ფაქტიურად, აღარ ვარ თანამშრომელი.

***– აპირებთ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროთ?***

– აუცილებლად. ჩვენ მივმართავთ ოფიციალურად კულტურის მინისტრს ბატონ ოდიშარიას, რომელმაც პირობა მოგვცა, რომ უშუალოდ ჩაერთვებოდა ფოლკლორის ცენტრის საქმიანობაში, მაგრამ პირად კონტროლზე აყვანა კი არა, წინა წელს რომ მივწერეთ თანამშრომლებმა წერილები, დღემდე უპასუხოდ არის დარჩენილი და საერთოდ უგულებელყოფილია კულტურის მინისტრისგან და სამინისტროს მიერ. ჩემს სამსახურიდან გათავისუფლებას აუცილებლად მიეცემა სამართლებრივი გაგრძელება, გავაპროტესტებ და ვეცდები დავამტკიცო, თან დარწმუნებული ვარ დავამტკიცებ იმ ჩემს უსამართლო გათავისუფლებას, რომელიც მოხდა.

***ოთარ კაპანაძე, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეგიონებთან ურთიერთობის კოორდინატორი:***

– ფაქტიურად, ჩემი და თამაზ ბიჩინაშვილის სახით ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაიწყო ახალგაზრდა და საქმეში ნაწილობრივ უკვე გამოცდილი კადრების გათავისუფლების პროცესი, რაც არ არის ძნელი მისახვედრი, დაკავშირებული იყო ჩვენს აქტიურობასთან, ჩვენს პროტესტთან, რომელსაც ძალიან პირდაპირ და აშკარად გამოვხატავდით ყველგან. ამის პირადად თქმაც არ გამჭირვებია ახალი დირექტორისთვის. ასეთ თანამშრომლებთან ურთიერთობა არავის სურს, მაგრამ ეს განპირობებულია არა ჩვენი ნაკლებკვალიფიციურობით, არამედ პირადი მოტივით. ორი კვირის წინ დირექტორის მოადგილის პირით შემომითვალეს, რომ ჩემთან თანამშრომლობა უკვე მარტში აღარ სურდათ, შემდეგ იგივე დამიდასტურა ახალმა დირექტორმაც.

***– რა არის მიზეზი?***

– არაოფიციალურ მიზეზად ითვლება ის, რომ ჩემი კონკრეტული გამონათქვამის გამო, რომელიც ვიქნები თვითკრიტიკული და ვიტყვი, რომ შეიძლება არ იყო საუკეთესო ფორმით გამოხატული, საჯაროდ ბოდიში უნდა მომეხადა ერქომაიშვილისთვის. აქ საუბარია იმ პოსტზე, რომელიც გამოვაქვეყნე ფეისბუქში და ეხებოდა ანზორ ერქომაიშვილს და მის ერთი დღის ქმედებას. დღემდე ვფიქრობ, რომ ეს არ იყო კორექტული, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლებისთვის პირადი და საქმიანი ღირსების პირდაპირი შელახვა, ჩვენი არაფრად ჩაგდება, იმდენად, რამდენადაც საბოლოო ჯამში საბჭომ ოფიციალურად არც კი განგვიცხადა, ვინ დაასახელა კანდიდატად, იმდენად არ აინტერესებდათ ფოლკლორის ცენტრის თანამშრომელთა აზრი. ამის შემდეგ არავის უნდა გაუკვირდეს ჩვენგან მწვავე აზრები. ახალი დირექტორი დღემდე ითხოვს ჩემგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას ანზორ ერქომაიშვილისთვის.

***– აპირებთ ბოდიში მოიხადოთ?***

– თუკი ბოდიშის მოხდაზეა საუბარი, ვფიქრობ, ბოდიში მოსახდელი აქვს სწორედ იმ მხარეს ფოლკლორის ცენტრის ძალიან კვალიფიციური თანამშრომლების არაფრად ჩაგდებისთვის და ულირსად მოქცევისთვის, შემდეგ ვისაუბროთ სხვის ბოდიშზე. ეს არასერიოზული მიზეზია და ამის მორალური საფუძველი და სხვანაირი შეფასება მიმინდვია საზოგადოებისთვის. ეს არის პირადად ჩემთვის უაღრესად დამამცირებელი, ყველაფრის მიუხედავად, ვთვლი, რომ ბოდიში არ მაქვს არავისთვის მოსახდელი.

***– ოფიციალურ მიზეზად რა სახელდება?***

– ოფიციალური მიზეზია როგორც ვხდები ჩემი გრაფიკი, რომელიც წინა დირექტორთან მქონდა შეთანხმებული. ამის შესახებ ვესაუბრე ახალ დირექტორსაც, რომელსაც პროტესტი არ გამოუთქვამს და საუბრიდან ერთი თვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მიუღებელია და უცბად ერთ-ერთი დღის გამო მივიღე შენიშვნა.

***– რას ითხოვთ?***

– მივმართავ კულტურის სამინისტროს და პირადად გურამ ოდიშარიას, რადგანაც ის განუკითხაობა, სხვა ვერაფერს დავარქმევ, რაც ხდება ფოლკლორის ცენტრში, განპირობებულია მისი არაკომპეტენტური, მიკერძოებული გადაწყვეტილებით, სხვათა შორის, თავისი მინისტრის მოადგილეებიანად ვრცელდება ეს ყველაფერი. თავის დროზე ვერ დაგვისახელეს მიზეზი რა საჭირო იყო ყოვლად უსარგებლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა და რა საჭირო იყო გიორგი დონაძის დანიშვნა. პირიქით, ვერც ერთ ჩვენს კონტრ არგუმენტზე პასუხი ვერ გაგვცეს. ამის მიუხედავად, უცნაური ფრაზები მოვისმინეთ, სხვა რაღა დარჩენოდა კულტურის მინისტრს, ეს ნიჭიერი და ახალგაზრდა ადამიანი უნდა დავნიშნოთო. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ბატონ ოდიშარიას, რომ აასრულოს ცენტრისათვის პირად კონტროლზე აყვანის დაპირება და შეაჩეროს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაწყებული უსამართლობა და განუკითხაობა. მისგან მოვითხოვ ერთხელ მაინც მოახერხოს იყოს ადეკვატური და გააუქმოს საეჭვო ვითარებაში შექმნილი სრულიად უსარგებლო სამეთვალყურეო საბჭო, შესაბამისად ამ საბჭოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება. დირექტორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად დაინიშნოს სამართლიანი, დემოკრატიული, გამჭვირვალე კონკურსი, სადაც აქტიურად ჩაერთვებიან ფოლკლორის ცენტრის თანამშრომლები. ძალიან მარტივად შემიძლია ამ მოთხოვნაში გამოვხატო – ერთხელ და სამუდამოდ ფოლკლორის ცენტრი დაუთმონ ფოლკლორისტებს და არა გუნდის დირიჟორებს, რომელთაც არ სურთ პროფესიონალთა აზრის გათვალისწინება. ახალი დირექტორის მოსვლის შემდეგ ცენტრში არის სრული უმოქმედობა. ის პროექტები ხორციელდება ინერციით, რაც მანამდე იყო დაწყებული. ძალიან ბევრი პროექტი ხორციელდებოდა, გამოიცემოდა წიგნები, დისკები. აქტიურად მუშაობდა რეგიონული პროექტები, რომელიც რეგიონალური კულტურის სამსახურების მუშაობას ითვალისწინებდა, ექსპედიციებს, კონსულტაციებს. კომუნიკაცია არ მაქვს ახალ დირექტორთან. როცა ადამიანი გეუბნება, რომ შენთან მუშაობა არ მინდაო, ახალ პროექტებზე საუბარი ზედმეტია. სამეთვალყურეო საბჭოს ახალმა დირექტორმა უნდა წარუდგინოს კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომელიც უნდა შეათანხმოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლებთან. საქმიანი შეხვედრა და კონტაქტი ამ ადამიანთან არ გვაქვს, ამიტომ გაუგებარია ვისთან ათანხმებს ცენტრისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და რატომ გააქვს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე. ის პირადად იღებს ცენტრისთვის მნიშვნელოვან და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს. ის თვითონ არ გახლავთ ფოლკლორისტი, ის გუნდის დირიჟორია. ასევე, ძალიან საინტერესო რამ მოხდა – აპირებენ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისთვის სახელის გადარქმევას, შეარჩიეს იმდენად დილეტანტური სახელი, რომ სამეთვალყურეო საბჭომაც კი, რომლის უმეტესობაც ანზორ ერქომაიშვილის მხარდამჭერია, არ დაუჭირა ამას მხარი. ეს ერთი კერძო გამოვლინებაა ზოგადი დილეტანტურობის, რაც ბევრ რამეში ჩანს და თუ გაინტერესებთ უფრო კონკრეტულ ფაქტებსაც მოგაწვდით. ფაქტია, რომ ძალიან არასწორი სათაური იყო შერჩეული, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მას არ აქვს ცენტრის თანამშრომლებთან კომუნიკაცია.

***– აპირებთ ბრძოლის გაგრძელებას?***

– თუკი რამე იურიდიული საფუძველი და შესაძლებლობა იქნება, განვაგრძობთ ბრძოლას. ძალიან ხშირად ჩვენი გამოსვლა აღიქმება როგორც გიორგი უშიკიშვილის მხარდამჭერი აქცია, რაც საფუძველშივე არის არასწორი. ჩვენ ვიბრძოდით იმისთვის, რომ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში მოსულიყო ნორმალური, კვალიფიციური, სამეცნიერო გამოცდილების მქონე ადამიანი. აქ არავინ ითხოვდა გიორგი უშიკიშვილის აღდგენას, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ძალიან წარმატებული მენეჯერი იყო და ნულიდან ძალიან ბევრს მიაღწია. მინდა საუბრის ბოლოს ერთი რამ ვთქვა, ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ გათავისუფლების ერთ-ერთი კანდიდატი ვარ, უბრალოდ ამ დარგის გულშემატკივარი და სპეციალისტი ვარ. ძალიან მიყვარს ჩემი სპეციალობა და დიდი საშიშროებაა, რომ 80 წლის ისტორიის მქონე დაწესებულება გადაიქცეს გალობის ფონდის ან მრავალხმიანობის ბატონი ანზორ ერქომაიშვილის ცენტრის ფილიალად, ამის ბევრი წინაპირობა უკვე მოჩანს. მივმართავ ყველა ჩემს კოლეგას, იქნება ამოვიღოთ ხმა ამ უსამართლობის წინაშე და დაგვითმონ თუ შეიძლება ფოლკორის ცენტრი ფოლკლორისტებს. ამ ჯგუფს, რომელიც აქ მოვიდა, არც ასპარეზი აკლდა, არც გასაქანი და არც დაფინანსება. მათი ფოლკლორის ცენტრში მოსვლის არანაირი აუცილებლობა არ იყო. მათ მონოპოლიზება მოახდინეს ამ სფეროში, კერძო სექტორთან ერთად ჩაიგდეს სახელმწიფო დაფინანსებაც, რასაც აღვიქვამ პირდაპირ დარტყმად ქართულ ფოლკლორისტულ სკოლაზე. შემოქმედებით სფეროში, ის ადამიანები, რომლებიც გაღმა შეედავეს პრინციპით ფოლკლორის ცენტრის თანამშრომლებს ვაიფოლკლორისტებს ეძახდნენ, აბსოლუტურად არარეალურ ბრალდებებს გვიყენებდნენ, იგივე შემოქმედებითი კუთხით, ეს ჩემს მისვლამდეც ხდებოდა. ამ ცენტრში კი 2012 წლიდან ვმუშაობ.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

● ვაკეთებ ბინების რემონტს: სამღებრო სამუშაოებს (სამალიარო), „გიფსო-კარდონს", ვაგებ ლამინატს და ასევე ვაკეთებ „სტიაშკას", უმაღლესი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 598-24-40-90 დათო.
● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.
● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..
● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08

უფასო ფოსტა

(ოფისი), ექიმი ქ-ნი სალომე.
● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.
● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.
● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.
● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი.
შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.
● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.
● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.
● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.
● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.



**წლის და 9 თვის ელისაბედ დარჩიას სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი მკურნალობა საზღვარგარეთ, შესაძლოა დასჭირდეს განმეორებითი ოპერაციაც. გოგონა დაიბადა შინაგანი ჰიდროცეფალიის დიაგნოზით, ჩატარებული აქვს თავის ტვინის შუნტირება, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ელისაბედს ჰყავს სრულიად ჯანმრთელი ტყუპისცალი ძმა. უმორჩილესად გთხოვთ, თუნდაც მცირედით დავეხმაროთ პატარა ელისაბედს:**

**თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია „ლიბერთი ბანკის" ანგარიშზე: GE95LB0711154286819 40**

**☎ 577-544-222, 598-204-570**

# დინამომ მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო

**ჩიხურა – დინამო 1:5**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძე

0:1 პაპუნაშვილი (8), 1:1 გაბედავა (22), 1:2 ჩისკო (37პ), 1:3 მერებაშვილი (44), 1:4 1:5 ჩისკო (58,63)

**ჩიხურა:** თევდორაძე, გ.კვარაცხელია, ჯილაური (ჩიკვაიძე 65), გაბედავა, ნ.კვასხვაძე, ლომაშვილი, დათუნაიშვილი (მიქაძე 62), ბეჭვაია, ოდიკაძე, დეკანოიძე, ხმალაძე

**დინამო:** ლორია, ხიდეშელი, ცინცაძე, მერებაშვილი (გოგა 50), პაპუნაშვილი, პაპავა, კვირკველია (რეხვიაშვილი 75), მარცვალაძე (გლიშიჩი 59), ჩისკო, გველესიანი, ძარია

ტურის ცენტრალური დაპირისპირება ძალიან საინტერესო და რაც მთავარია უხვგოლიანი გამოდგა. თბილისის „დინამომ" შესანიშნავად იასპარეზა და დამსახურებულად დაამარცხა უშუალო კონკურენტი, რითაც ქულათა სხვაობა კვლავ 7 ქულამდე გაიზარდა.

ანგარიში მალევე გაიხსნა, 9-ე წუთზე შეტევის მარცხენა ფლანგზე ბურთი ოთარ მარცვალაძემ მიიღო, რომელმაც საჯარიმოში მარტო მყოფ გიორგი პაპუნაშვილს შენიშნა, ამ უკანასკნელმა კი, მოხდენილი დარტყმით თბილისელები წინ გაიყვანა. გატანილი გოლის შემდეგ, შეხვედრა ორმხრივი შეტევებით მიმდინარეობა, თუმცა აშკარა იყო დედაქალაქელები უფრო აქტიურად და მწვავედ უტევდნენ. მიუხედავად დინამოელთა აქტიურობისა საჩხერლებმა ანგარიშის გათანაბრება მაინც მოახერხეს, ხმალაძე-დეკანოიძე-გაბედავას კომბინაცია, ულამაზესი გოლით სწორედ გაბედავამ დააგვირგვინა და 1:1.

დინამოელებმა მეორე გოლის გატანა პირველი ტაიმის მიწურულს, 38-ე წუთზე მოახერხეს, საჯარიმოში შეჭრილი გიორგი მერებაშვილის წინააღმდეგ თამაშის წესი გივი კვარაცხელიამ დაარღვია, რის გამოც „ჩიხურას" კარის მიმართულებით პენალტი დაინიშნა. სტანდარტის შესრულება საკუთარ თავზე დინამოელთა ლიდერმა ჩისკომ ითავა, მან 11-მეტრიანი შესანიშნავად შეასრულა და „დინამო" კლავ წინ გავიდა. გატანილი გოლის შემდეგ დინამოელები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, რამაც შედეგი 43-ე წუთზე გამოიღო, მერებაშვილის შორეული დარტყმა თევდორაძემ ველარ შეიმაგრა და ანგარიშში სხვაობა 2 ბურთამდე გაიზარდა. პირველი ნახევარი ამ შედეგით დასრულდა.

მეორე ნახევარი საჩხერელთა აქტიურობით განახლდა, ისინი საკმაოდ მწვავედ უტევდნენ, მაგრამ 59-ე წუთზე კვირკველიას უზადო ჩაწოდების შემდეგ ჩისკომ ყველას დაასწრო და თავური დარტყმით თევდორაძე უშანსოდ დატოვა. ამ გოლიდან ზუსტად 4 წუთში ზესტაფონელთა საჯარიმოში შეჭრილმა დორინ გოგამ ჩისკო მოძებნა და ესპანელ ლეგიონერსაც ჰეთრიკის შესრულება აღარ გასჭირვებია. ამის შემდეგ დინამოელები სრულ უპირატესობას დაეუფლნენ და მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა აღარ გასჭირვებიათ.

**სიონი – ტორპედო 1:2**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

1:0 აბრამიძე (43), 1:1 კვერნაძე (66), 1:2 ღონღაძე (85)

**სიონი:** მერლანი, ი.კანდელაკი, აბრამიძე, ქემოკლიძე, ფოფხაძე, გოგობერიშვილი, ცხადაია, აფციაური (განუგრავა 60), ლობჟანიძე, გ.ადამია (უგულავა 46), კახელიშვილი (მიკუჩაძე 70)

**ტორპედო:** რ.კვასხვაძე, გელაშვილი (კვერნაძე 62), სავჩენკოვსი, ს.თოდუა, ჩადუნელი, ადამაძე, ჩიკვილაძე, ელიავა (ლექვთაძე 56), მარკოზაშვილი (ხარაბაძე 81), ტულუში, მ.ღონღაძე

საკმაოდ საინტერესო მატჩს უმასპინძლა „მიხეილ მესხის" სათადარიგო მოედანმა. რევაზ ძოძუაშვილის თავკაცობით პირველი გამარჯვება იზეიმა ქუთაისის „ტორპედომ", შესაბამისად „სიონმა" ისტორიული, 10 მატჩიანი, წაუგებელი სერია შეწყვიტა.



შეხვედრა ორმხრივი შეტევებით მიმდინარეობდა, თუმცა ტერიტორიულ უპირატესობას ბოლნისელები ფლობდნენ, რეალური საგოლე მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, თუმცა გამარჯვება ქუთათურებს დარჩათ. ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გაიხსნა, გიორგი ადამიას ჩამოწოდებულ კუთხურს თავური დარტყმით უპასუხა ვალერი აბრამიძემ და ბოლნისელები წინ გაიყვანა, 1:0. პირველი ტაიმი ამავე ანგარიშით დასრულდა.

მეორე ტაიმი „სიონის" უპირატესობით დაიწყო. ისინი უამრავ მომენტს ქმნიდნენ, მაგრამ გოლები საკუთარ კარში მიიღეს. 65-ე წუთზე ტულუშის გადაცემით კვერნაძემ ისარგებლა, რომელმაც სისწრაფეში ორ მცველს აჯობა და მირზა მერლანს ფეხებს შორის ზუსტად დაურტყა – 1:1.

გაშვებული გოლის შემდეგ კვლავ ქვემო ქართლელები აქტიურობდნენ, ერთი რეალური მომენტი ტორპედოელებმაც შექმნეს და მოიგეს. 85-ე წუთზე, კვერნაძე „სიონის" საჯარიმოში მარჯვნიდან შეიჭრა, გზად ორ მეტოქეს გვერდი აუარა და მახვილი კუთხიდან მის მიერ დარტყმული ბურთი მერლანმა მოიგერია, მაგრამ ღონღაძემ ზუსტად დაამატა – 1:2.

ამ გამარჯვებით „ტორპედომ" „ვიტ-ჯორჯიას" გადაასწრო და მერვე ადგილს იკავებს, „სიონი" კი, კვლავ მეოთხეა.

სიონი-ტორპედოს მატჩს საქართველოს ნაკრების თავკაცმა თემურ ქეცბაიამ თავიდან ბოლომდე უცქირა. აღსანიშნავია, რომ მატჩის პირველ ტაიმს დაესწრო ბერლინის „ჰერტას" მცველი ლევან კობიაშვილი.

**ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი 0:2**

**მცხეთა.** მცხეთა პარკი

0:1, 0:2 კუხიანიძე (27პ, 56)

**ვიტ ჯორჯია:** შეროზია, საბაძე, კალანდია, გეთიაშვილი, ნ.მაისურაძე, წყაროზია (გახარია 60), ღიბრაძე (კუხალეიშვილი 66), დავლაშელიძე, კორიფაძე, კვირკვია (სიჭინავა 68), ლობჯანიძე

**ზესტაფონი:** პავლოვიჩი, ღონღაძე, ზ.ჭელიძე, რენე ფერეირა (თედ.გრიგალაშვილი 74), გ.გურული, შარიქაძე, კუხიანიძე, დოლიძე (ჭანტურიშვილი 60), გეწაძე, საბანაძე, ტატანაშვილი (ფანცულაია 60)

მატჩის პირველი წუთები ზესტაფონელთა კარნახით წარიმართა. სტუმრები ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ და მატჩის დებიუტშივე შეეძლოთ დაწინაურება, თუმცა ჯონი შეროზიასთან პირისპირ გასული გრიგოლ დოლიძის დარტყმული, რომელმაც ვეტერინართა გოლკიპერი უსაქმოდ დატოვა, ცარიელი კარიდან ვეტერინართა ერთ-ერთმა მცველმა გამოიტანა. მალევე კარის აღების შანსები მიეცათ დიმიტრი ტატანაშვილსა და გიორგი გურულს, მაგრამ პირველის თავით დარტყმული არაზუსტი გამოდგა, ხოლო მეორეს მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი მასპინძელთა კარის ხარიხას მოხვდა.

„ვიტ-ჯორჯიამ" მეტოქეს კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ შექმნილი სახიფათო ეპიზოდით უპასუხა, თუმცა იმერელთა მეკარე მცველებმა დააზღვიეს. ანგარიში 28-ე წუთზე გაიხსნა – გრიგოლ დოლიძის კარგი პასის შემდეგ მეკარესთან პირისპირ გასული ნიკა საბანაძის წაქცევისათვის დანიშნული პენალტი გოლად გიორგი კუხიანიძემ აქცია.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ვეტერინარებს ანგარიშის გათანაბრების შანსი მიეცათ. სტუმართა დაცვის შეუთანხმებელი მოქმედებით ვიტ-ჯორჯიელმა ელგუჯა ლობჯანიძემ ისარგებლა და ბოიან პავლოვიჩთან პირისპირ აღმოჩნდა – ზესტაფონელთა სერბი გოლკიპერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ურთულესს ვითარებაში მშვენივრად გაერკვა და თავის გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა.

მეორე ტაიმის დებიუტში მარგველებმა ანგარიშში თავის უპირატესობა კიდევ უფრო გაამყარეს – 56-ე წუთზე სტუმართა მრავალსვლიანი შეტევა ზუსტი დარტყმით გიორგი კუხიანიძემ დააგვირგვინა. ამის შემდეგ თამაში შედარებით დამშვიდდა და იმერლებს საქმის ლოგიკურ დასასრულემდე მიყვანა არ გაჭირვებიათ – 2:0.

**ზუგდიდი – დილა 2:1**

**განმუხური.** ცენტრალური

0:1 კვარაცხელია (39), 1:1 გუგუჩია (54), 2:1 სიხარულია (56)

**ზუგდიდი:** ზარქუა, ჯავაშვილი, მირცხულავა, აფაქიძე, ქათამაძე, ქებაძე (დ.ქირია 69), სიხარულია, შ.ლომია (ბულია 84), კირკიტაძე, გუგუჩია (ფარჯიკია 76), კრკელიჩი

**დილა:** ლეგაშვილი, ჯიშკარიანი, ქარქუზაშვილი, კობახიძე, ორბელაძე, გურეშიძე, დ.ბოლქვაძე, შალამბერიძე (ლ.შენგელია, 31), კოშკაძე (ბერიაშვილი, 75), რაჟამაშვილი, ვ.კვარაცხელია

გაძევება: ვახტანგ კვარაცხელია

მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმეს გიორგი დარასელიას შეგირდებმა, ზუგდიდელებმა განმუხურში „დილას" უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში 2:1 იმარჯვეს.

თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მატჩი სრული თანაფარდობით წარიმართა. ანგარიში 39-ე წუთზე გაიხსნა, ბოლქვაძის მოხდენილი გადაცემის შემდეგ ვახტანგ კვარაცხელიას გატანა აღარ გასჭირვებია. პირველი ნახევარი ამავე ანგარიშით დასრულდა.

მეორე ტაიმში კი, იყო 2-წუთიანი მონაკვეთი რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა. 54 წუთზე ლუკ გუგუჩიამ კუთხური მოაწოდა, ბურთს მიმართულება ქარმაც შეუცვალა და ასე აღმოჩნდა გორელთა კარში. ამ მომენტიდან 1 წუთში ზვიად სიხარულიამ შორიდან გაისროლა და ზუგდიდელთათვის გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა.

ამ მარცხით გორელთა მდგომარეობა საგრძნობლად დამძიმდა ისინი მეშვიდე პოზიციაზე დაქვეითდნენ, ზუგდიდელები კი, კვლავ მე-11 ადგილზე არიან.

**გურია – სპარტაკი 0:1**

**ლანჩხუთი.** ევგრაფი შევარდნაძე

0:1 თუხარელი (66)

**გურია:** ბობღიაშვილი, ჩუენსუ, ნ.კილაძე, ქურდაძე, მეგრელიშვილი, ძამსაშვილი, ტეიდი, შენგელია (კუკულაძე 46), ვ.ხორგუაშვილი (ისიანი 55), პ.ხორგუაშვილი (კვირტია 65), კვერენჩხილაძე

**სპარტაკი:** ნადირაძე, ცერცვაძე, კაკუბავა, მგელაძე, იოსელიანი, შონია, პარუნაშვილი (მეტრეველი 90), ჩაფიძე, თექთურმანიძე (კემუხტაშვილი 86), თუხარელი, ეხვაია (ბურძენაძე 90)

**გაძევება:** თუხარელი (84)

დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა „გურიასა" და „სპარტაკის" დაპირისპირება. წინა ტურში გორში მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, გულშემატკივარი „გურისგან" კვლავ გამარჯვებას ელოდნენ, თანაც დიდ ხნიანი პაუზის შემდეგ გურულები მშობლიურ „ევგრაფი შევარდნაძეს" დაუბრუნდნენ.

შეხვედრის ერთადერთი გოლი 66-ე წუთზე გავიდა, გოლის ავტორად ცხინვალელთა ახალგაზრდა ნახევარმცველი, თორნიკე თუხარელი, მოგვევლინა.

**მერანი – მეტალურგი 0:0**

**სამტრედია.** ეროსი მანჯგალაძე

**მერანი:** მამალაძე, მელიავა, იობაშვილი, გაბუნია, ხუბუა, ჯოჯუა, ფონიავა, ბენაშვილი (რაფაელი 74), კუჭუხიძე, ბაბუნაშვილი (გეგეჭკორი 63) ციცხვაია ( გ.ჩხეტიანი 79)

**მეტალურგი:** სეფიაშვილი, სეთურიძე, ჩირგაძე, ქავთარაძე (ტვილდიანი 46), მახვილაძე, დობროვოლსკი, კილასონია, ჩიმაკაძე (გოგინაშვილი 84), კაკაშვილი (მიქაბერიძე 63), საჯაია, გიგაური

სამტრედიაში გამართული შეხვედრა ერთადერთი იყო ტურში, რომელშიც გოლი არ გასულა. მიუხედავად უგოლო ფრისა თამაში საინტერესო გამოდგა, ორივე გუნდი თავდაუზოგადავად ცდილობდა გოლის გატანას.

ორივე გუნდის ასეთი აქტიურობამ, სამწუხაროდ, შედეგი არ გამოიღო და მაყურებელმა გოლიც კი, ვერ იხილა. ფრის შედეგად „მეტალურგმა" მეექვსე ადგილი შეინარჩუნა, „მერანი" კი, კვლავ ბოლო ადგილზე რჩება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 20 | 14 | 3 | 3 | 48:16 | 45 |
| 2.ჩიხურა | 20 | 11 | 5 | 4 | 39:29 | 38 |
| 3.ზესტაფონი | 20 | 10 | 4 | 6 | 27:15 | 34 |
| 4.გურია | 20 | 10 | 0 | 10 | 23:27 | 30 |
| 5.სიონი | 20 | 8 | 6 | 5 | 25:22 | 30 |
| 6.მეტალურგი | 20 | 8 | 6 | 6 | 25:23 | 30 |
| 7.დილა | 20 | 7 | 7 | 6 | 25:20 | 28 |
| 8.ტორპედო | 20 | 7 | 5 | 8 | 22:26 | 26 |
| 9.ვიტ ჯორჯია | 20 | 7 | 4 | 9 | 25:27 | 25 |
| 10.სპარტაკი | 20 | 5 | 2 | 13 | 16:30 | 17 |
| 11.ზუგდიდი | 20 | 4 | 5 | 11 | 10:28 | 17 |
| 12.მერანი | 20 | 4 | 3 | 13 | 15:37 | 15 |

**ბომბარდირები:** დიმიტრი ტატანაშვილი (ზესტაფონი) – 13 ბურთი; ჩისკო მუნიოსი (დინამო) – 12; დორინ გოგა, ირაკლი მოდებაძე (ორივე დინამო) – 9-9.

# საქართველოს ნაკრები ადიდასით ითამაშებს

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, თემურ ქეცბაიამ გუშინ პრესკონფერენცია გამართა, სადაც საქართველოსა და ლიხტენშტაინის ეროვნულ ნაკრებებს შორის 5 მარტისთვის დაგეგმილ შეხვედრაზე ისაუბრა.

უფრო დაწვრილებით ამ თემაზე ხვალინდელ ნომერში. დღეს კი დავძენთ, რომ პრესკონფერენციაზე წარდგენილი იქნა „ადიდასის" ფორმა, რომელიც საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზე ეცმევა.

ლიხტენშტეინთან სანაკრებო სია კი ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლორია (დინამო თბ), ნუკრი რევიშვილი (ვალეტა, მალტა), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

მცველები: გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), უჩა ლობჟანიძე (დნიპრო, უკრაინა), გია გრიგალავა (ანჟი, რუსეთი), ლაშა სალუქვაძე (ინტერი, აზერბაიჯანი) დავით კვირკველია, გიორგი ხიდეშელი (ორივე დინამო, თბ), სოლომონ კვერკველია (რუბინი, რუსეთი ), აკაკი ხუბუტია (მორდოვია, რუსეთი), ლევან კაკუბავა (სპარტაკი);

ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი (კარპატი, უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე, ჯაბა კანკავა (ორივე დნიპრო, უკრაინა) თორნიკე ოქრიაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), ჯანო ანანიძე (როსტოვი, რუსეთი), ირაკლი ძარია (დინამო, თბ) ვალერი ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია), ავთანდილ ებრალიძე (ჟილ ვისენტე, პორტუგალია);

თავდამსხმელები: ვლადიმერ დვალიშვილი(ლეგია, პოლონეთი), ბაჩანა ცხადაძე (ინტერი, აზერბაიჯანი), გიორგი ჭანტურია (კლუჟი, რუმინეთი).

საქართველოსა და ლიხტენშტაინს შორის საერთაშორისო ამხანაგური მატჩი, „მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე 5 მარტს, 18 საათზე დაიწყება.

# შედეგები

შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი**

**ფინალი**

სიტი-სანდერლენდი ..................... 3:1

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ნორვიჩი ..................... 4:1

ტოტენჰემი-კარდიფი ..................... 1:0

სუონსი-კრ.პალასი ..................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 28 | 19 | 6 | 3 | 52-22 | 63 |
| 2.ლივერპული | 28 | 18 | 5 | 5 | 73-35 | 59 |
| 3.არსენალი | 28 | 18 | 5 | 5 | 52-28 | 59 |
| 4.სიტი | 26 | 18 | 3 | 5 | 69-27 | 57 |
| 5.ტოტენჰემი | 28 | 16 | 5 | 7 | 37-33 | 53 |
| 6.ევერტონი | 27 | 13 | 9 | 5 | 38-27 | 48 |
| 7.მანჩესტერი | 27 | 13 | 6 | 8 | 43-31 | 45 |
| 8.ნიუკასლი | 28 | 13 | 4 | 11 | 37-39 | 43 |
| 9.საუთჰემპტონი | 28 | 10 | 9 | 9 | 38-35 | 39 |
| 10.ვესტ ჰემი | 28 | 8 | 7 | 13 | 31-35 | 31 |
| 11.ასტონ ვილა | 28 | 8 | 7 | 13 | 31-38 | 31 |
| 12.ჰალი | 28 | 8 | 6 | 14 | 30-35 | 30 |
| 13.სტოკი | 28 | 7 | 9 | 12 | 28-42 | 30 |
| 14.სუონსი | 28 | 7 | 8 | 13 | 37-41 | 29 |
| 15.ნორვიჩი | 28 | 7 | 7 | 14 | 21-43 | 28 |
| 16.კრ. პალასი | 27 | 8 | 3 | 16 | 19-37 | 27 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 27 | 4 | 13 | 10 | 31-39 | 25 |
| 18.სანდერლენდი | 26 | 6 | 6 | 14 | 26-42 | 24 |
| 19.კარდიფი | 28 | 5 | 7 | 16 | 19-49 | 22 |
| 20.ფულემი | 28 | 6 | 3 | 19 | 28-62 | 21 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ატლეტიკო-რეალი ..................... 2:2

სევილია-სოსიედადი ..................... 1:0

ბარსელონა-ალმერია ..................... 4:1

რაიო-ვალენსია ..................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 26 | 20 | 4 | 2 | 73-26 | 64 |
| 2.ბარსელონა | 26 | 20 | 3 | 3 | 74-21 | 63 |
| 3.ატლეტიკო | 26 | 19 | 4 | 3 | 61-21 | 61 |
| 4.ბილბაო | 26 | 15 | 5 | 6 | 49-30 | 50 |
| 5.ვილიარეალი | 26 | 13 | 5 | 8 | 47-31 | 44 |
| 6.სოსიედადი | 26 | 12 | 7 | 7 | 46-36 | 43 |
| 7.სევილია | 26 | 10 | 8 | 8 | 44-41 | 38 |
| 8.ლევანტე | 26 | 9 | 9 | 8 | 26-31 | 36 |
| 9.ვალენსია | 26 | 10 | 5 | 11 | 38-37 | 35 |
| 10.ესპანიოლი | 26 | 9 | 6 | 11 | 29-32 | 33 |
| 11.სელტა | 26 | 8 | 6 | 12 | 32-37 | 30 |
| 12.ელჩე | 26 | 7 | 8 | 11 | 23-37 | 29 |
| 13.ოსასუნა | 26 | 8 | 5 | 13 | 24-39 | 29 |
| 14.გრანადა | 26 | 8 | 3 | 15 | 22-36 | 27 |
| 15.ხეტაფე | 26 | 7 | 6 | 13 | 23-40 | 27 |
| 16.მალაგა | 26 | 6 | 8 | 12 | 24-35 | 26 |
| 17.ალმერია | 26 | 7 | 5 | 14 | 25-46 | 26 |
| 18.ვალიადოლიდი | 26 | 4 | 11 | 11 | 28-44 | 23 |
| 19.რაიო | 26 | 7 | 2 | 17 | 26-59 | 23 |
| 20.ბეტისი | 26 | 3 | 6 | 17 | 21-56 | 15 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ეიბარი-ხიხონი ..................... 3:0

ხირონა-კორდობა ..................... 0:1

ლას პალმასი-ლუგო ..................... 0:0

ხაენი-საბადელი ..................... 0:1

დეპორტივო-ერკულესი ..................... 3:2

პონფერადინა-მირანდესი ..................... 1:1

ნუმანსია-მურსია ..................... 1:0

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-კიევო ..................... 2:1

ვერონა-ბოლონია ..................... 0:0

ჯენოა-კატანია ..................... 2:0

სასუოლო-პარმა ..................... 0:1

ტორინო-სამპდორია ..................... 0:2

ლივორნო-ნაპოლი ..................... 1:1

მილანი-იუვენტუსი ..................... 0:2

ფიორენტინა-ლაციო ..................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 26 | 22 | 3 | 1 | 62-19 | 69 |
| 2.რომა | 25 | 17 | 7 | 1 | 49-11 | 58 |
| 3.ნაპოლი | 26 | 15 | 7 | 4 | 51-29 | 52 |
| 4.ფიორენტინა | 26 | 13 | 6 | 7 | 45-29 | 45 |
| 5.ინტერი | 26 | 10 | 11 | 5 | 43-29 | 41 |
| 6.პარმა | 25 | 10 | 10 | 5 | 39-29 | 40 |
| 7.ვერონა | 26 | 12 | 4 | 10 | 43-42 | 40 |
| 8.ლაციო | 26 | 10 | 8 | 8 | 34-34 | 38 |
| 9.ტორინო | 26 | 9 | 9 | 8 | 39-34 | 36 |
| 10.მილანი | 26 | 9 | 8 | 9 | 39-37 | 35 |
| 11.ჯენოა | 26 | 9 | 8 | 9 | 30-32 | 35 |
| 12.სამპდორია | 26 | 8 | 7 | 11 | 29-37 | 31 |
| 13.ატალანტა | 26 | 9 | 4 | 13 | 27-38 | 31 |
| 14.კალიარი | 26 | 6 | 10 | 10 | 26-35 | 28 |
| 15.უდინეზე | 26 | 8 | 4 | 14 | 29-39 | 28 |
| 16.ბოლონია | 26 | 4 | 10 | 12 | 22-41 | 22 |
| 17.კიევო | 26 | 5 | 6 | 15 | 20-37 | 21 |
| 18.ლივორნო | 26 | 5 | 6 | 15 | 27-46 | 21 |
| 19.კატანია | 26 | 4 | 7 | 15 | 19-45 | 19 |
| 20.სასუოლო | 26 | 4 | 5 | 17 | 25-55 | 17 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი ..................... 6:2

აინტრახტი-შტუტგარტი ..................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 23 | 21 | 2 | 0 | 66-10 | 65 |
| 2.დორტმუნდი | 23 | 14 | 3 | 6 | 54-27 | 45 |
| 3.ლევერკუზენი | 23 | 14 | 1 | 8 | 39-26 | 43 |
| 4.შალკე | 23 | 12 | 5 | 6 | 42-35 | 41 |
| 5.ვოლფსბურგი | 23 | 12 | 3 | 8 | 40-32 | 39 |
| 6.მაინცი | 23 | 11 | 4 | 8 | 32-35 | 37 |
| 7.გლადბახი | 23 | 10 | 6 | 7 | 40-29 | 36 |
| 8.ჰერტა | 23 | 10 | 5 | 8 | 34-27 | 35 |
| 9.აუგსბურგი | 23 | 10 | 5 | 8 | 35-33 | 35 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 23 | 7 | 8 | 8 | 52-48 | 29 |
| 11.ჰანოვერი | 23 | 7 | 4 | 12 | 30-42 | 25 |
| 12.აინტრახტი | 23 | 6 | 7 | 10 | 26-39 | 25 |
| 13.ვერდერი | 23 | 6 | 7 | 10 | 26-46 | 25 |
| 14.ნიურნბერგი | 23 | 4 | 11 | 8 | 27-40 | 23 |
| 15.შტუტგარტი | 23 | 5 | 4 | 14 | 36-49 | 19 |
| 16.ჰამბურგი | 23 | 5 | 4 | 14 | 38-52 | 19 |
| 17.ფრაიბურგი | 23 | 4 | 7 | 12 | 22-44 | 19 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 23 | 4 | 4 | 15 | 17-42 | 16 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ალენი-კარლსრუე ..................... 1:0

ფიურტი-ფრანკფურტი ..................... 3:2

ინგოლშტადი-დინამო ..................... 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

აიაჩო-ლილი ..................... 2:3

ლიონი-მონპელიე ..................... 0:0

პსჟ-მარსელი ..................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 27 | 19 | 7 | 1 | 64-18 | 64 |
| 2.მონაკო | 27 | 16 | 8 | 3 | 44-21 | 56 |
| 3.ლილი | 27 | 14 | 7 | 6 | 31-18 | 49 |
| 4.სტ. ეტიენი | 27 | 14 | 6 | 7 | 38-23 | 48 |
| 5.მარსელი | 27 | 12 | 7 | 8 | 38-29 | 43 |
| 6.ლიონი | 27 | 11 | 9 | 7 | 40-31 | 42 |
| 7.რეიმსი | 27 | 11 | 9 | 7 | 35-33 | 42 |
| 8.ბორდო | 27 | 11 | 7 | 9 | 34-31 | 40 |
| 9.ბასტია | 27 | 10 | 7 | 10 | 31-38 | 37 |
| 10.ტულუზა | 27 | 9 | 9 | 9 | 31-36 | 36 |
| 11.მონპელიე | 27 | 6 | 15 | 6 | 33-31 | 33 |
| 12.ლორიანი | 27 | 9 | 6 | 12 | 35-38 | 33 |
| 13.გენგამი | 27 | 8 | 8 | 11 | 26-28 | 32 |
| 14.რენი | 27 | 7 | 10 | 10 | 31-32 | 31 |
| 15.ნანტი | 27 | 9 | 4 | 14 | 23-30 | 31 |
| 16.ნიცა | 27 | 9 | 4 | 14 | 23-33 | 31 |
| 17.ევიანი | 27 | 6 | 9 | 12 | 27-43 | 27 |
| 18.ვალანსიენი | 27 | 5 | 7 | 15 | 27-45 | 22 |
| 19.სოშო | 27 | 5 | 7 | 15 | 22-48 | 22 |
| 20.აიაჩო | 27 | 2 | 8 | 17 | 22-49 | 14 |

**ჰოლანდია. ეჩედივიზიონი**

უტრეხტი-ტვენტე ..................... 1:1

გრონინგენი-კამბური ..................... 1:1

ფეინოორდი-აიაქსი ..................... 1:2

ალკმაარი-ვალვაიკი ..................... 4:0

**პორტუგალია. ა ლიგა**

ჟილ ვისენტე-სეტუბალი ..................... 1:0

ნასიონალი-რიუ ავე ..................... 1:1

ფერეირა-მარიტიმუ ..................... 3:1

ბელენენსეში-ბენფიკა ..................... 0:1

გიმარაეში-პორტუ ..................... 2:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

თუნი-ბაზელი ..................... 2:2

სტ.გალენი-ლუცერნი ..................... 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-რაპიდი ..................... 6:3

**ბელგია. პროლიგა**

ბრიუგე-სტანდარდი ..................... 1:0

ანდერლეხტი-გენკი ..................... 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-ერჩიესი ..................... 0:4

სივასი-ელაზიგი ..................... 1:3

ქონია-ტრაბზონი ..................... 0:0

რიზე-გალათასარაი ..................... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-ატრომიტოსი ..................... 1:3

ასტერასი-პანთრათიკოსი ..................... 1:0

პანიონიოსი-კალონისი ..................... 1:1

ერგოტელისი-პაოკი ..................... 2:2

ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი ..................... 0:3

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

იიჰლავა-ლიბერეცი ..................... 2:3

ტეპლიცე-სიგმა ..................... 4:0

ბრნო-პრჟიბრჟამი ..................... 1:0

იაბლონეცი-ბანიკი ..................... 1:0

პლზენი-ზნოიმო ..................... 3:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-შლიონსკი ..................... 0:1

ზაგლებიე-ზავიშა ..................... 3:1

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-ოდენზე ..................... 1:0

ოლბორგი-ვესტშელანდი ..................... 0:0

რანდერსი-ბრონდბიუ ..................... 0:1

კოპენჰაგენი-მიდტიულანდი ..................... 1:5

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ველისციხის თეატრი თბილისში ჩამოდის

ეკა ირემაშვილი

130-წლიანი ისტორიის მქონე ველისციხის ვასო გოძიაშვილის სახელობის სახალხო თეატრი თბილისში ჩამოდის. 4 მარტს ველისციხელ მსახიობებს მარჯანიშვილის თეატრი უმასპინძლებს.

მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მხოლოდ ერთი დღით წარმოდგენილი იქნება გიორგი ხუხაშვილის „ფიროსმანი“, რომელიც რეჟისორმა ლაშა გოგნიაშვილმა დადგა. ერთმოქმედებიანი პიესა რეჟისორმა „ცხოვრება ნიკო ფიროსმანაშვილისა“ მიხედვით განახორციელა.

# სოსო ჯაჭვლიანი: ბოდიშს არ მოვიხდი!“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შიძე, 300.000 ლარი, რომელიც იყო აქციონერების, არ დაეკითხნენ მათ და დაახლოებით 107 თუ 108 ათასი ლარი გამქრალია. ეს პროკურატურამ უნდა გაარკვიოს. მეორე საკითხი, როცა ახალი მთავრობა მოვიდა, გადაწყდა, რომ ჩატარებულიყო აუდიტი. მათ ჩვენ დაგვასწრეს, ესეც გამოძიების თემაა და არის ფირმა „ჩოხი“, მას გაუფორმეს ხელშეკრულება, თითქოს მას უნდა ჩაეტარებინა აუდიტი. გადაურიცხეს მგონი 35.000 ლარი. სახელმწიფომ მისცა სააქციო საზოგადოებას ფული და რაში დასჭირდათ მათ აქციონერების ფულის გადახდა? ამაშია საქმე.

ესენი ყველა მთავრობის გამომძალველები იყვნენ. რომ ამბობს მერაბ თავაძე, რა გაუკეთებია სოსო ჯაჭვლიანსო, მე ვეკითხები მერაბ თავაძეს, შენ თვითონ რა გაქვს, გენაცვალე, გაკეთებული? გიორგი შენგელაიას პროფესიონალიზმს არ ვეხები, მაგრამ არის პროფესიონალიზმი და არის ადამიანი. როცა ვლაპარაკობ იმ სიტყვებით, რა სიტყვებისთვისაც ბოდიშის მოხდას მთხოვენ, არასოდეს არ მოვიხდი ბოდიშს. ვეკითხები გიორგი შენგელაიას და მერაბ თავაძეს, ტრადიციულ ოჯახში ვარ გაზრდილი, ვიცი უფროსი და უმცროსი, მაგრამ შენ ჩემზე ადრე თუ დაიბადე და რაღაც დამსახურება გაქვს საზოგადოების წინაშე, ეს უფლებას გაძლევს, რომ ვიღაცას უსაფუძვლოდ ტალახი ესროლო? არავინ არ გამოჩნდა საქართველოში ადამიანი, რომ ამათთვის პირში ეთქვა სიმართლე. მე კი ვეუბნები მათ, რომ ისინი არიან თაღლითები. გიორგი შენგელაია გამოდის და ლაპარაკობს, უამრავი მოწმეა ამის, რომ მე ქურდი ვარ ქართულ კინემატოგრაფიაში, არავის არაფერს დავეკითხებიო. გიორგი შენგელაია ლაპარაკობს, სოსო ჯაჭვლიანს ვუთხარი, გამოდი გარეთ, ვილაპარაკოთ, სოსო როგორ გამომყვებოდა გარეთო, ძველბიჭობს ამოდენა კაცი. სასაცილოა ეს ყველაფერი და სერიოზულად როგორ აღვიქვა? ამიტომ საზოგადოებას ვეუბნები, რომ დღეის მერე, ამ საკითხთან დაკავშირებით არასოდეს ვილაპარაკებ. ვეპატიჟები პროკურატურას და ფსიქიატრებს სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმში“. სამედიცინო სფეროს ეკუთვნის უკვე ეს საკითხი. დაწყნარდნენ და გაიგონ ის რაც გასაგებია და ნუ ეწვით კუჭი.

ეკა ირემაშვილი

# ოსკარების ცერემონიალზე უკრაინასა და ვენესუელაში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურნენ

ამერიკელი მსახიობი ჯერედ ლეტო, რომელსაც „ოსკარი“ გადაეცა მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლისთვის ფილმში „დალასის მყიდველთა კლუბი“, დაჯილდოების ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას უკრაინასა და ვენესუელაში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა.

„ყველა მეოცნებეს მსოფლიოში, განსაკუთრებით უკრაინასა და ვენესუელაში, ვინც „ოსკარების“ დაჯილდოების ტრანსლაციას უყურებს, მინდა ვუთხრა, რომ ჩვენ მხარს გიჭერთ. დღეს ჩვენ აქ ვართ



მაშინ, როცა თქვენ იბრძვით იმისთვის, რათა თქვენი ოცნებები ასრულდეს, რათა იცხოვროთ იმ ცხოვრებით, რომელიც დაიმსახურეთ. ჩვენ ვფიქრობთ თქვენზე“, – განაცხადა ამერიკელმა მსახიობმა.

„ოსკარის“ 86-ე დაჯილდოების ცერემონია ლოს ანჯელესში გუშინ გაიმართა.

ჯარედ ლეტო მუსიკოსი, კომპოზიტორი, მომღერალი, პროდიუსერი, მსახიობი, რეჟისორი და პერიოდულად მოდელია. ლეტო ჰოლივუდის დიდი ბიუჯეტის მქონე ფილმებში გამოჩნდა, რამაც უფრო მეტად ცნობილი გახადა.

ლეტო ამერიკული როკ-ჯგუფის, „30 სექონდს თუ მარსის“ მთავარი ვოკალისტი, ინსტრუმენტალისტი და სიმღერების ავტორია. ჯგუფი 1998 წელს ლოს-ანჯელესში ჩამოყალიბდა, რომლის შექმნაშიც დიდი წვლილი ჯარედ ლეტოსა და მის ძმას, შენონ ლეტოს მიუძღვით.

გერა მამულაშვილი

# ახმეტელის თეატრში მცირეწლოვან მაყურებელს არ უშვებენ

ეკა ირემაშვილი

სანდრო ახმეტელის სახელობის მუნიციპალურ დრამატულ თეატრში არასრულწლოვან მაყურებელს არ უშვებენ. ამის მიზეზი ესტონელი რეჟისორის კალევ კუდუს მიერ დადგმული სპექტაკლია. „ტრუსები“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც რეჟისორმა ქართველ მსახიობებთან ერთად სამ კვირაში დადგა. წარმოდგენა ესტონელმა ხელოვანმა ევროპაში ცნობილი და სკანდალური ახალგაზრდა დრამატურგის პაველ პრიაჟკოს პიესის მიხედვით განახორციელა. სპექტაკლში მონაწილეობენ სოფია სებისკვერაძე, ალეკო ალავიძე, მამუკა მაზავრიშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, მზია ტალიაშვილი, გიორგი მიგრიაული, გიორგი ჭუმბურიძე, გვანცა კანდელაკი და თამთა პატაშური.

– უმწიკვლო და უდანაშაულო გოგონა პროვინციიდან, მშვენიერი ნინა წითელი ტრუსებით მიუღებელია პროვინციის მცხოვრებლებისთვის, ის კეთროვანივით იდევნება, ბოლოს კი საზოგადოების მძიმე განაჩენის მსხვერპლი ხდება. სპექტაკლში მთავარ როლს „ქართველ მერლინ მონროდ“ წოდებული მსახიობი სოფია სებისკვერაძე ასრულებს, თამამი სცენების გამო თეატრის დირექცია არასრულწლოვან მაყურებელს დარბაზში არ უშვებს! – განმარტა რეჟისორმა.

პაველ პრიაჟკოს პიესა ქართულ სცენაზე პირველად განხორციელდა. თავად რეჟისორს კი დადგმული აქვს 50-მდე სპექტაკლი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ თეატრალურ ფესტივალზე და არის არაერთი ჯილდოს მფლობელი, ხელოვნების მკვლევარი. მას ესტონეთში დაარსებული აქვს ახალგაზრდული თეატრი.

სკანდალურ პრემიერამდე ახმეტელის თეატრმა საქველმოქმედო სპექტაკლი გამართა 21 წლის ნიკოლოზ ხატიაშვილის დასახმარებლად, რომელსაც ავტოსაგზაო შემთხვევის გამო დაუზიანდა ხერხემალი და განუვითარდა ქვედა კიდურების პარაპლეგია. მას ჩაუტარდა რამდენიმე მძიმე ოპერაცია, ახლა კი ესაჭიროება სარეაბილიტაციო კურსი. მსახიობებმა გიორგი თავაძის მიერ დადგმული „სასტუმრო ორი სამყაროს გზაგასაყარზე“ ითამაშეს, შემოსული თანხა კი მთლიანად ნიკოლოზ ხატიაშვილს გადასცეს.

ამ ღონისძიებების შემდეგ კი ესტონელმა რეჟისორმა მაყურებელს სკანდალური სპექტაკლი შესთავაზა. როგორც რეჟისორმა „ახალ თაობას“ განუცხადა, სპექტაკლი თანამედროვე დრამატურგის პიესის მიხედვით დადგა, რომელშიც საკმაოდ საინტერესო თემებია თავმოყრილი.

**კალევ კუდუ, რეჟისორი:**

– ეს ჩვენი ერთობლივი პროექტია, რომელიც შემომთავაზა ახმეტელის თეატრმა და რეჟისორმა ირაკლი გოგიამ. დიდხანს ვფიქრობდით, რომელი პიესა დაგვედგა ამ თეატრში. ცოტა რამ ვიცი თქვენი საზოგადოების შესახებ, ვიცი, რომ ტრადიციებს საკმაოდ დიდ პატივს სცემთ, ამიტომ ვკითხე ირაკლი გოგიას, შეიძლებოდა თუ არა ამ პიესის საქართველოში დადგმა.



***– რატომ იკითხეთ?***

– მაინტერესებდა მაყურებელი როგორ მიიღებდა ამ პიესას. ვიცი, რომ ეკლესიის გავლენა თქვენს ქვეყანაში საკმაოდ ძლიერია, მართლმადიდებლობა ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ქვეყანაში, ამიტომ მინდოდა მცოდნოდა ქართველი რეჟისორისგან, შეიძლებოდა თუ არა „ტრუსების“ თბილისში დადგმა.

***– მსახიობებმა როგორ მიიღეს თქვენი პიესა?***

– ძალიან დიდხანს ვერ ვიპოვეთ მთავარი როლის შემსრულებელი გოგონა. საბოლოოდ სოფია სებისკვერაძე ვიპოვენეთ. ეს პიესა პირველად იდგმება საქართველოში და თვითონ ავტორის ნაწარმოებიც პირველად წარდგა მაყურებლის წინაშე.

***– დიდხანს მუშაობდით სპექტაკლზე?***

– სამი კვირა და სამი დღე. საინტერესო იყო მუშაობის პროცესი, თუმცა მსახიობები ეტაპობრივად იცვლებოდნენ.

***– რატომ?***

– არ ვიცი, ზოგს არ ეცალა, ზოგი სხვა თეატრებშიც მუშაობს, ზოგს სხვა მიზეზი ჰქონდა. რეპეტიციების პროცესშიც ორი მსახიობი შეიცვალა. მთავარი დაწყება იყო და მონახაზის გაკეთება, თვითონ პროცესიც საკმაოდ რთული იყო. ნონსტოპის რეჟიმში ვიმუშავეთ.

***– სპექტაკლის სახელწოდება „ტრუსები“ უკვე სკანდალურია...***

– რატომ არის სკანდალური? ტრუსი ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნებისმიერ მაღაზიაში იყიდოს, რა არის ამაში სკანდალური? არც არაფერი.

***– ჩვენთან ასე სპექტაკლებს არ არქმევენ...***

– ესტონეთში რომ ვდგამ სპექტაკლებს, სხვანაირად ვარქმევ სახეწოდებებს. ამ პიესას ავტორმაც „ტრუსები“ დაარქვა და რატომ უნდა შემეცვალა?

***– სპექტაკლიც სახელწოდებასაც სკანდალურია?***

– სპექტაკლზე ყველა ამბობს, რომ სკანდალურია, არ ვიცი. შეიძლება საზოგადოებაში არის რაღაც სკანდალური, ამ წარმოდგენაში საკმაოდ თამამი სცენებია, რაც ევროპაში უკვე ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. ხალხი ქუჩაში დადის შიშველი და თეატრში ამით ევროპას ველარ გააკვირვებთ, თეატრი ევროპაში საკმაოდ წინ წავიდა.

ეს სპექტაკლი არის იმ ადამიანებზე, რომლებიც კი არ ცხოვრობენ, არამედ ყველანაირად ცდილობენ, როგორღაც გაუძლონ ამ ცხოვრებას. ეს ადამიანები არაფერს არ საქმიანობენ, თუმცა ადრე ჰქონდათ თავისი საქმე, ახალ სისულელეებში ხარჯავენ დროს და უბრალოდ ცხოვრობენ, მიზანი არ აქვთ და მიაჩნიათ, რომ მათი დრო გავიდა და შესაბამისად, ცხოვრებაც დასრულდა. ადამიანებმა უნდა გააანალიზონ, რომ ცხოვრება მშვენიერია და მათ უნდა ამოიცნონ საკუთარი ცხოვრების მთავარი არსი, თუ რისთვის არსებობენ ამ ქვეყანაზე. ზოგისთვის ცხოვრებას მაშინ აქვს აზრი, როცა ახალ კაბას ან სუნამოს იყიდიან. ეს ხომ წამიერი ბედნიერებაა? მთავარია ადამიანმა მარადიულ ბედნიერებას მიაგნოს. ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი და ის აუცილებლად ბედნიერი იქნება. დამიჯერეთ, მხოლოდ საყიდლებს არ მოაქვთ ბედნიერება, ბედნიერება თვითონ სიცოცხლეა. თითოეულ ჩვენგანს სიცოცხლე უნდა გვიყვარდეს. ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ფულისთვის კი არ უნდა ვიცხოვროთ, არამედ სიცოცხლისთვის. არიან საზოგადოებაში ადამიანები, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მუშაობა და ფულს აგროვებდა. ამასობაში მათი ცხოვრება გავიდა და უკვე 45-50 წლის ასაკში 100 წლის ბებრებივით არიან. ასე ცხოვრება ნამდვილად წარმოუდგენელია, ის უდიდეს დარტყმას აყენებს ადამიანს როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. ამ სპექტაკლშიც ბევრი თემატიკაა, რადგან ავტორი საკმაოდ საინტერესოდ წერს. ამ პიესის ავტორი 50 წლისაც არ არის, როცა ის ახალგაზრდა იყო, იმ პერიოდში იყო „პერესტროიკა“, რამაც დრამატურგზე წარუშლელი კვალი დატოვა. ამ თაობას ყველაზე რთული პროცესები აქვს გავლილი. ამ პიესის ავტორს პაველ პრიაჟკოს თითქმის ვერავინ უგებს, ბელორუსიაში მისი პიესების დადგმა აკრძალულია. საქართველოში პირველად დავდგი და ვნახოთ როგორ გაიგებს აქაური მაყურებელი და კრიტიკა. ძალიან არ მინერვიულია, იმიტომ რომ რეჟისურის გარდა, ტექნიკური საკითხებიც ჩემი მოსაგვარებელი იყო.

***– თბილისში პირველად ხართ?***

– საქართველოში პირველად ვარ. მინდა კარგად დავათვალიერო თქვენი ქალაქი, ვიცი რომ კახეთში კარგი ღვინოა და ძალიან მინდა იქ წავიდე. დავათვალიერებ ყველაფერს, რასაც მოვასწრებ. უცხოეთში მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს. როგორც წესი, სამკვირიანი კონტრაქტებით ვმუშაობ ხოლმე საზღვარგარეთ, თუმცა აქ უფრო დიდხანს მომიწია ყოფნა. სასწრაფოდ უნდა გავემგზავრო, სახლში კატა მყავს და დიდი ხანია მარტოა.

***– ქართული კულტურის შესახებ რა იცით?***

– ვიყავი მარჯანიშვილის თეატრში შექსპირი. კლასიკური დადგმაა, ბევრი მეტაფორა იყო და ჩემთვის ასეთი სპექტაკლები ცოტა მოძველებულია. ჩვენთან ასეთ სპექტაკლებს აღარ დგამენ. აქ არ იყო ნოვაცია. მეორე სპექტაკლი ვნახე ილიაუნიში, ეს იყო ჟან ანუის „ანტიგონე“ და უფრო მომეწონა. საინტერესო დადგმა იყო, რეჟისორის მიგნებები მომეწონა, მსახიობებიც სერიოზულად ეკიდებოდნენ მასალას და მომეწონა.

## h3χცეχ3ლბ ,

**შვეულად:** 1. გარეგნული მომხიბვლელობა, ეშხი; 2. გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 4. ივნისის თვის ქართული სახელწოდება; 5. საგვარეულო ან ბოძებული საპატიო წოდება; 6. სხვისი, ლიტერატურული ან სამეცნიერო ნაშრომის მითვისება; 7. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 10. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი მამაკაცი; 12. რამდენიმე ელექტროსადგური ერთ მდინარეზე; 13. აგრეგატის, ნაგებობის აწყობა, დადგმა გარკვეული გეგმის მიხედვით; 16. დაბალი ხმით მღერა; 17. კაპიტნის თანაშემწე, უმცროსი მეთაური გემზე; 18. წყალგარეული ღვინო; 19. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 21. შვეიცარიის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 3. ნარდის სათამაშო ძვლის კოჭები; 8. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 9. ქაღალდის ფულის შემსწავლელი დისციპლინა; 11. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 12. ესტონეთის კალათბურთელთა გუნდი; 14. ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 15. მარტივი ცილა, რომელზედაც იგება ცხოველის ან მცენარის ორგანიზმის ცალკეული უჯრედები; 20. აყალმაყალი, ჩხუბი, აურზაური; 22. პატიმრობა ძალზე მკაცრი პირობებით; 23. სქელი მურაბა; 24. საფრანგეთ-იტალიის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 25. დედალი ჯიხვი; 26. ირლანდიური ლუდი; 27. მრავალშრიანი ფანერა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ობყფ ყχ3ცჭ3ობ უფ3χმლტ.ყტ.ება h3χცეχ3ლტ.ბც ბფცეſტ.ბ5

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ტანკერი; 5. პომპა; 7. მალარია; 9. კანტორი; 10. კალმახი; 13. ტურნირი; 14. სენატი; 15. ორთი; 19. სექტორი; 20. ტრავერსი; 21. კარანტინი; 22. მირაჟი.

**შვეულად:** 1. ტუსკია; 2. კონტრა; 3. პატისონი; 4. ტიკალი; 6. პარიტეტი; 8. ფრახტი; 11. მედისონი; 12. არტერია; 16. ვოლგა; 17. გროგი; 18. გრამი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ასო; 2. ონეგინი; 3. პლებისციტი; 4. ეტი; 5. აგური; 6. ლორნეტი; 7. კიფერ; 8. ბერეტა; 9. კიი; 10. რეგატა; 11. ლანცეტი; 12. გრიფიტი; 13. პაი; 14. კუ; 15. ასტამი; 16. მანდრილი; 17. მადამ; 18. რაიონი; 19. ატოლი; 20. ალტი; 21. რეტი; 22. არიფანა; 23. ოდა; 24. ანანკე; 25. ბორდიური; 26. ანტრე; 27. ანტილოპა; 28. კოლიო; 29. იშ; 30. შოლტი; 31. ერა.

**სურათებზე:** ფედერიკა პელეგრინი; ჯონ ობი მიკელი.

# რუსული აგრესია გრძელდება

## (მთელი მსოფლიო მოსკოვის მოქმედებას გმობს)

— რუსული აგრესია გრძელდება, შეიარაღებული პირები ცდილობენ უკრაინული სამხედრო ობიექტები დაიკავონ, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ყირიმის გარდა, კრემლმა მოქმედება უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებშიც გაააქტიურა.

### ღალატი

— ყველა ძალოვანი სტრუქტურა ყირიმში ჩემს დაქვემდებარებაში ექცევა! მეთაურებს მოვუწოდებ, უკრაინის ხელისუფლების არც ერთი ბრძანება არ შეასრულონ! — განაცხადა ყირიმის ე.წ. პრემიერმა აქსიონოვმა.

სეპარატისტს ზურგს ყირიმის ტერიტორიაზე მყოფი რუსული არმია უმაგრებს. მათ ყველა სტრატეგიული ობიექტი დაიკავეს. ძალოვანთა ნაწილს, რომელიც კიევისადმი ლოიალობის შენარჩუნებას ცდილობდა, იარაღის მუქარით აიძულეს სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დაეწერა.

— შედეგად ყირიმის მილიცია აქსიონოვის დაქვემდებარებაში მოექცა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

შემდეგ სეპარატისტები უკრაინელ სამხედროებს მიადგნენ. აქსიონოვმა მოითხოვა, რათა ყირიმის ტერიტორიაზე დისლოცირებულ ყველა უკრაინულ ნაწილს იარაღი ჩაებარებინა. უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა დენის ბერეზოვსკიმ თანხმობა განაცხადა, სეპარატისტებს დამორჩილებოდა.

— ვემსახურები ყირიმელ ხალხს! ვემორჩილები ყირიმის პრეზიდენტს აქსიონოვს, — ბერეზოვსკის ეს სიტყვები რუსეთის ტელევიზიამ რამდენჯერმე გადასცა.

უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა უკრაინელ ჯარისკაცებს მოუწოდა, ყირიმის ხელისუფლებას დამორჩილებოდნენ.

### უკრაინელი ჯარისკაცები არ ნებდებიან

ბერეზოვსკის ღალატმა რუსებს ფრთები შეასხა. რუსი სამხედროების ჯგუფი ფეოდოსიაში დისლოცირებულ უკრაინის საზღვაო-ქვეით ნაწილში მივიდა და ულტიმატუმი წაუყენა:

— ოცდაოთხ საათში იარაღი დაყარეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგანადგურებთ!

უკრაინელმა სამხედროებმა ულტიმატუმი უარყვეს. ამის შემდეგ რუსებმა სამხედრო ნაწილის ძალით დაკავება სცადეს. უკრაინელმა სამხედროებმა ჰაერში გაისროლეს. შედეგად რუსებმა უკან დაიხიეს.

— ვადას ხვალ დილამდე გაძლევთ! წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგანადგურებთ! — ასეთი იყო რუსების განცხადება.

რუსებმა საზღვაო-ქვეითი ნაწილის შტურმი კვლავ სცადეს, მაგრამ ამაოდ. უკრაინელმა სამხედროებმა იარაღი არ დაყარეს. ასევე მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ დარჩა სიმფეროპოლში განთავსებული სანაპირო დაცვის შტაბი. ულტიმატუმებისა და მუქარის მიუხედავად, ჯარისკაცებმა არც იარაღი დაყარეს, არც სამხედრო ნაწილი მიატოვეს, თუმცა რუსები მათ კაპიტულაციის საკმაოდ კარგ პირობებს სთავაზობდნენ:

— ჩაგვაბარეთ სამხედრო ტექნიკა! პირადი იარაღი შეგიძლიათ თან წაიღოთ და სახლებში წახვიდეთ!



აღნიშნული წინადადება უარყოფილ იქნა. რუსების მცდელობა, ხსენებული სამხედრო ნაწილი იერიშით აეღოთ, წარუმატებელი გამოდგა. ასევე არ დანებდა პერევოლნოიას სამხედრო ნაწილი. რუსმა სამხედროებმა ის ალყაში მოაქციეს და ულტიმატუმი წაუყენეს. უკრაინელი ჯარისკაცების პასუხი მტკიცე იყო:

— ჩვენ უკრაინას ვემსახურებით!

2 მარტს რუსმა სამხედროებმა უკრაინელ მესაზღვრეებზე იერიში მიიტანეს. რიგი სამხედრო ობიექტის შტურმისას გამოყენებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი და ხელყუმბარები. საბედნიეროდ არავინ დაშავებულა. რუსებმა რიგი სამხედრო ობიექტის ხელში ჩაგდება მოახერხეს, თუმცა არც ერთმა უკრაინელმა ჯარისკაცმა იარაღი არ დაყარა, არც ე.წ. „ყირიმის მთავრობის ერთგულებაზე“ არ დადო ფიცი.

— ჩვენ უკრაინას ვემსახურებით! — ასეთი იყო მათი პასუხი.

დაძაბული ვითარება შეიქმნა ბახჩისარაიში. რუსმა სამხედროებმა იქ განთავსებულ უკრაინულ ნაწილს ალყა შემოარტყეს და დანებება მოსთხოვეს. უკრაინელებმა უარით უპასუხეს. რუსებმა სამხედრო ნაწილის იერიშით აღება სცადეს. უკრაინელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს. რუსები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ.

— ყირიმში ჩვენი სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ სისტემატური პროვოკაციები ხორციელდება! — განაცხადა პრემიერმა იაცენიუკმა.

დაძაბული ვითარებაა თათრებით დასახლებულ პუნქტებშიც. რუსი სამხედროები და ე.წ. ყირიმელი კაზაკები შეეცადნენ მოსახლეობაში ჩხრეკა მოეწყოთ, აქაოდა იარაღი უნდა ამოვიღოთო. თათრებმა ამას, ბუნებრივია, წინააღმდეგობა გაუწიეს. მოხდა შეტაკებები. რუსებმა უკან დაიხიეს.

— ამას არ შეგარჩენთ! სტალინმა აქედან გაგასახლათ, ჩვენ კი ყველას ამოგჟუჟავთ! — დაემუქრა თათრებს რუსი პოლკოვნიკი ზაიცევი.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ტურჩინოვმა სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი ბერეზოვსკი თანამდებობიდან გადააყენა. ამ პოსტზე ადმირალი გაიდუკი დაინიშნა.

— სარდლის ღალატის მიუხედავად, უკრაინელი ჯარისკაცები სამშობლოს ერთგულნი დარჩნენ, რიგი სამხედრო ნაწილი კი რუსებისათვის მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ დარჩა! — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

### მზადდება პროვოკაცია!

— რუსული სპეცსამსახურები ყირიმში პროვოკაციას გეგმავენ! მათი მიზანი მასობრივი სისხლისღვრის პროვოცირება და ომის გაჩაღებაა! — აღნიშნული განცხადება უკრაინის მემარჯვენე სექტორის ლიდერმა დმიტრო იაროშმა გააკეთა.

ეს ინფორმაცია ყირიმელ თათართა ლიდერმა რაფატ ჩუბაროვმაც დაადასტურა. მან განაცხადა, რომ პროვოკატორთა ჯგუფი აპირებს სიმფეროპოლში, ქერჩში, იალტასა თუ სხვა ქალაქებში აფეთქებების მოწყობას, რაშიც რუსეთი უკრაინელ ნაციონალისტებს (მემარჯვენე სექტორს) და ყირიმელ თათრებს დაადანაშაულებს.

— ამის შემდეგ პუტინი გამოაცხადებს, რომ რუსულენოვან მოსახლეობას ხოცავენ, მეც სხვა გამოსავალი აღარ მრჩება გარდა იმისა, რომ ძალა გამოვიყენოო, — ამბობს ჩუბაროვი.

აღნიშნული ხერხი არახალია. როგორც ცნობილია, ადოლფ ჰიტლერიც სხვა ქვეყნებში შეჭრას ე.წ. „გერმანული უმცირესობის“ დაცვის ლოზუნგით ახორციელებდა. ასე მოხდა ჩეხოსლოვაკიაში, როდესაც სუდეტის ანექსია მოახდინეს, ასე მოხდა პოლონეთში, როცა გადაცმულ პროვოკატორთა ჯგუფი გდანსკელ გერმანელებს ხოცავდა.

— პუტინიც ჰიტლერის გზით მიდის, — ამბობს იაროში.

რადიო „თავისუფლების“ ცნობით, 3 მარტს სიმფეროპოლში მოსალოდნელი ხოცვა-ჟლეტის შესახებ უკვე ყველა ლაპარაკობდა. საავადმყოფოებში დაშავებულთა დიდი პარტიის მისაღებად ემზადებოდნენ. იაროშის განცხადებამ პროვოკაცია შეუძლებელი გახადა.

— თუკი ვითარების განმუხტვა ვერ მოხერხდა და ომი დაიწყო, ჩვენ პირველ რიგებში ვიბრძოლებთ, მაგრამ რუსებს არ მივცემთ საბაბს, სისხლისღვრაში დაგვადანაშაულონ, — განაცხადა იაროშმა.

პასუხად რუსებმა მემარჯვენე სექტორის ლიდერს გაუხსენეს, რომ თავის დროზე ჩეჩნეთში იბრძოდა, რუსეთის პროკურატურამ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, ჩეჩნეთის მარიონეტული ხელისუფლების მეთაური რამზან კადიროვი კი მემარჯვენე სექტორის ლიდერს მოკვლით დაემუქრა.

— ჩვენ ძალიან გრძელი ხელები გვაქვს და იაროშს უკრაინაშიც მივწვდებით, — განაცხადა კადიროვმა.

### გადამწყვეტი სიტყვა ხალხმა თქვა

როგორც ცნობილია, ხარკოვში, ლუგანსკსა და დონეცკში აზვირთებული ანტიუკრაინული მიტინგები რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იყო ორგანიზებული. ბელგოროდიდან, როსტოვიდან თუ რუსეთის სხვა ქალაქებიდან ავტობუსებით შეიყვანეს მოქალაქეები, რომლებსაც რუსული სპეცნაზი უმაგრებდა ზურგს. ამის შემდეგ ე.წ. „სახალხო გამოსვლები“ მოეწყო. უკრაინის ახალი ხელისუფლება აშკარად დაიბნა. შედეგად ხარკოვის, დონეცკის, ლუგანსკის თავზე რუსული დროშები აღიმართა. 3 მარტს დონეცკში აგრესიული ბრბო საოლქო ადმინისტრაციის შენობაში შეიჭრა და იქიდან ახლად დანიშნული გუბერნატორი ტარუტა გამოაძევა.

— მალე რუსული დროშები აღმოსავლეთ უკრაინის ყველა ქალაქზე აღიმართება, — იტყობინება პროგრამა „ვესტი“.

მართლაც, დნეპროპეტროვსკში, ზაპოროჟიეში თუ ოდესაში ადგილობრივმა პრორუსულმა ძალებმა და რუსეთიდან გადმოსულმა მოქალაქეებმა მასობრივი არეულობების მოწყობა სცადეს. ხელისუფლება კვლავ უმოქმედობას იჩენდა. გადამწყვეტი სიტყვა ხალხმა თქვა.

— ზაპოროჟიეს ქუჩებში 5 ათასამდე მოქალაქე გამოვიდა და უკრაინის ერთიანობას მხარი დაუჭირა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარი ზაპოროჟიეში მოქმედმა ყველა პოლიტიკურმა ძალამ (კომუნისტების გარდა) დაუჭირა. პროვოკატორებმაც უკან დაიხიეს. დნეპროპეტროვსკში პატრიოტებსა და პრორუსულ ძალებს შორის მოხდა შეტაკება. შედეგად რუსეთის მომხრეებმა უკან დაიხიეს. ოდესაში პრორუსულმა ძალებმა ქუჩაში მხოლოდ 3 ათასი მომხრის გამოყვანა შეძლეს, უკრაინის ერთიანობის დასაცავად კი 8 ათასი მოქალაქე გამოვიდა. კიროვოგრადში კი უკრაინის დამოუკიდებლობისა და ერთიანობის დასაცავად 12 ათასი კაცი გამოვიდა. პრო-რუსული ძალების მცდელობა, მასობრივი პრორუსული დემონსტრაციები მოეწყოთ, ჩაიშალა.

— არავითარი აღმოსავლეთ და დასავლეთ უკრაინა არ არსებობს! არის ერთიანი უკრაინა, რომელმაც დამოუკიდებლობის გზა აირჩია! — იტყობინება უკრაინის მე-5 არხი.

ამრიგად, უკრაინის აღმოსავლეთ-სამხრეთ რეგიონებში სეპარატიზმის აზვირთების კრემლის გეგმა ჩაიშალა. არეულობების ინსპირირება მხოლოდ ხარკოვში, ლუგანსკში და დონეცკში მოხერხდა. დანარჩენ რეგიონებში პროვოკატორებს საკადრისი პასუხი გასცეს და ეს ხალხმა გააკეთა. ამან მოსკოვი გააცოფა.

— უკრაინელი ნაციონალისტები რუსეთთან დაახლოების მომხრეებს ფიზიკურად უსწორდებიან! ჩვენმა არმიამ თანამემამულეები დაუყოვნებლივ უნდა დაიცვას! — განაცხადა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ.

### რუსეთი იზოლაციაში მოექცა

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ რუსეთის აგრესია სასტიკად დაგმო. ობამამ განაცხადა, რომ სოჭში გამართულ დიდი რვიანის შეხვედრაზე აღარ ჩავა.

— ჩემი აზრით, დროა დიდი რვიანიდან რუსეთის გარიცხვაზე ვიფიქროთ. პუტინის მოქმედება ცივილიზებული სამყაროს თამაშის წესებს ეწინააღმდეგება, — განაცხადა ობამამ.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ქერიმ განაცხადა, რომ დროა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები შემოვიღოთ. გერმანიის კანცლერი მერკელი უკანასკნელ მომენტამდე ცდილობდა თავი შეეკავებინა. მერკელი ერთადერთი დასავლელი ლიდერი იყო, რომელიც ე.წ „უკრაინელ ექსტრემისტებსა“ და რუსეთის ინტერესების დაცვაზე ლაპარაკობდა.

— როგორც ჩანს, მერკელს მოსკოვთან ურთიერთობის გაფუჭება ძალზე არ სურდა, — განაცხადა დმიტრო იაროშმა.

რუსეთმა უკრაინული მხარის პროვოკაციაზე წამოგება ვერ შეძლო. აშკარა აგრესიის გამართლება უკვე აღარ შეიძლებოდა. მერკელმაც რუსეთის მოქმედება დაგმო. ინგლისის პრემიერი ქემერონი გაცილებით რადიკალური იყო:

— რუსეთის მოქმედება ვერანაირ ჩარჩოებში ვერ ჯდება! მას საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს! — განაცხადა ქემერონმა.

კანადამ მოსკოვიდან თავისი ელჩი გაიწვია. კრემლის მოქმედება თვით ვენესუელამაც კი დაგმო.

— მართალია უკრაინის ახალი ხელისუფლება აშშ-ს გავლენის ქვეშ იმყოფება, ისიც მართალია, რომ უკრაინაში ნაციონალ-რადიკალიზმი ძლიერია, სტეპან ბანდერაც ის პიროვნება არაა, რომელიც უნდა გმირად გამოაცხადო, მაგრამ არც იმ მეთოდების გამართლება შეიძლება, რომელსაც რუსეთი მიმართავს, — განაცხადა ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ჩინეთის განცხადება თავშეკავებული იყო, თუმცა ოფიციალურმა პეკინმაც კი რუსეთი გააკრიტიკა.

— ადამიანურად შესაძლოა რუსებისა გვესმოდეს, მაგრამ არსებობს თამაშის წესები და ეს ყველამ უნდა დაიცვას, — განაცხადა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ი-მ.

ნატოს გენერალურმა მდივანმა რასმუსენმა რუსეთს ყირიმიდან ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანისაკენ მოუწოდა. რუსეთის საქციელი ევროკავშირის ქვეყნების მინისტრთა საბჭომ ერთსულოვნად დაგმო.

### ეპილოგი

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა ორივე ქვეყნის ეკონომიკაზე უკვე იმოქმედა. უკრაინული გრივნის პარალელურად რუსულმა მანეთმაც დაცემა დაიწყო. მოსკოვში ბევრი შეაშფოთა იმან, რომ რუსეთის წინააღმდეგ შესაძლოა სანქციები შემოიღონ. ამავე დროს დასავლეთის ბევრი ავტორიტეტული ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ აშშ და ევროპა რუსეთის მიმართ საკმარისად პრინციპული არაა.

— აუცილებელია უკრაინის ნაპირებისაკენ ნატოს ესკადრის გაგზავნა! რუსებს მხოლოდ ჯოხის ენა ესმით, — ასეთი განცხადება „ფრიდონ ჰაუსმა“ გაავრცელა.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, რუსეთ-უკრაინის საზღვართან დიდი ოდენობის სამხედრო ტექნიკას მოუყარეს თავი. მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების პროტესტისა, რუსეთი უკრაინაში შეჭრას მაინც აპირებს.

— რუსეთს არა მხოლოდ ყირიმის ოკუპაცია სურს! კრემლი ლამობს სამხედრო ოპერაცია მთელი უკრაინის მასშტაბით ჩაატაროს და ეს თანაბრად ეხება როგორც ყირიმს, ასევე ლუგანსკს, დონეცკს, კიევსა თუ იმიერკარპატისპირეთს, — განაცხადა უკრაინის უშიშროების სამსახურის ყოფილმა შეფმა, გენერალმა ევგენი მარჩუკმა.

უკრაინის სამხედრო დაზვერვის ყოფილი შეფი იგორ სმეშკოც მიიჩნევს, რომ რუსეთმა სუვერენული უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი აგრესია წამოიწყო. ბატონმა სმეშკომ ხაზი გაუსვა იმას, რომ უკრაინელი ხალხი ამას არასდიდებით არ შეეგუება.

— იანუკოვიჩის მმართველობის პერიოდში უკრაინულ არმიას მიზანმიმართულად ანგრევდნენ, თუმცა ამის ბოლომდე განხორციელება ვერ შეძლეს. დღეს ჩვენს შეიარაღებულ ძალებში სავალალო მდგომარეობაა, მაგრამ არმია მაინც იბრძოლებს, მას შესწევს უნარი საკუთარი ქვეყანა დაიცვას, — აღნიშნა სმეშკომ.

სავარაუდოდ, საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლით ფართომასშტაბიანი ომის თავიდან აცილება მოხერხდება, თუმცა, სამწუხაროდ, ცალკეული შეტაკებები მაინც მოხდება. დაიღვრება სისხლი და პასუხისმგებლობა ამის გამო მთლიანად რუსულ მხარეს დაეკისრება.

**ნიკა თევზაძე**

ცფვუქჯდბფჲჯ უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ

ძმა მევლუდი, ძმის ცოლი სურიკო ავალიანი, ძმისშვილები მერი, გულიკო, ეთერი, რუბენი, ჯემალი, ზაქარია ბალაძეები ოჯახებით იუწყებიან

**ქსენია ბალაძე-ტაკიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მამიდაშვილებს ვალერის, უშანგის, თემურის, ციცოსა და მათ შოთას ოჯახებს.

გამოსვენება 15 საათზე, აჭარა, ქედის რაიონი, სოფელი ჯალაბაშვილები.

ცფვუქჯდბფჲჯ უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ ვბბქჭ,ფ .ჯდჭკლქჭ7
რდბპბს უფჲლფ7 !@-ლფყ!& ცფფსფვლჭ8

## TV პროგრამა

**სამშაბათი 4 მარტი**

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30, 02.00 "დღეს" 14.00 მხ/ფ **"მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად"** 17.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 17.00 ტ/სერ. **"დეიდაშვილები"** 19.15, 04.00 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 21.00 ტ/სერ. **"კომანდორთა ციხესიმაგრე"** 22.00 "ქართ. დოკუმენტალისტიკა" 22.40 მხ/ფ **"მაგნოლია"** (ჯ.მური) 04.30 მხ/ფ **"მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად"** 06.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "კოდის კონცხი" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 01.15 ქრონიკა. 10.05 სერ **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 იმედის გმირები 15.25 "ჩვენებურები – ლაზეთის ბულბული" 16.03 სერ **"სიყვარულის დრო"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 თოქ შოუ – თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო (პ/ე) 00.00 ქ.მხ/ფ **"რევერსი"** 01.00 მის საქართველო 2013 – დღიური 01.25 მხ/ფ **"ლამაზი მერის ამბავი"** (ბ.სტილერი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. **"დასასრული"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 00.00, 03.00 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი

06.10 დოკ/ფ "კაპელანი" 06.30 მხ/ფ **"20 ათასი ლიე წყალქვეშ"** II სერია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "უფლის ჯარისკაცები" 11.05 პატერიკი 11.10 საღვთისმსახურო წელიწადი 11.40 სახლი ღვთისა 12.10 დოკ/ფ "მაცხოვრის სუდარა" 13.20 საკვირაო სახარების განმარტება 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 ტელ./ფ "წმინდა ოთხთავი" II ნაწ. მარკოზის სახარება 16.05 ქვიშით ნაამბობი 16.15 ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) 16.55 ერთსულოვნების სალონი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ანდრია კრეტელის დიდი კანონი(საკითხავი) 19.40 მარხვა და ლოცვა (მეუფე დანიელი) 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი - ელენე კავლელაშვილი "საცეცხლურები" 23.30 საქართველოს ისტორია 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**მაესტრო** 0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 5.30, 6.30, 7.30, 14.00 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "რბოლა" 9.00,10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 9.15 **სერიალი "ჩემი შვილები"** 10.15, 16.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.30, 1.45, 4.30 NX სპიკერი 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4
marti

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,7486

ევრო — 2,4122

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,9251

100 რუსული რუბლი — 4,8324

## ამინდის პროგნოზი 4 მარტისთვის




## fcnhjghjuyjpb 4 მარტისთვის

·დცჰფვ უფბსდფჯბცობყცს=

**დჩპ'ბ** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **რეპჯ** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ნ.ეგჩ,ბ** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **რბპხ[ბ,ბ** — თქვენი საქმე წინ მიდის, დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ. **ქჯვბ** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. **მფქოეკბ** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **ცფსოჯპბ** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ქპბფყრფკბ** — შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ, მთლიანობაში ჰარმონიული დღეა. **ვიდბკლჯცფყბ** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ს[ბც პმფ** — ფულს შოულობთ, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ვჩპო.ეკბ** — ახალი პროექტი გაამართლებს, გახარებული ხართ. **სჩდპჩ,ბ** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით.

უბცეჰდტ,ს ,ტცყბტჰ ცქტს=

## hჰxცდxჰლბ ფ

**შვეულად:** 1. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 2. ზანგური ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი, ჯაზის წინამორბედი; 3. წითელი ფერის იტალიური ღვინო; 5. ოპერა „აიდა"-ს პერსონაჟი; 7. სამცხის მმართველთა საგვარეულო ტიტული; 9. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 13. მემამულის, ბატონის ქონების მმართველი ძველად; 15. კერძო პირის ამ ორგანიზაციის კუთვნილი ქონების გამოყენების აკრძალვა სასამართლოს მიერ; 16. თიხის ჭურჭლის დამამზადებელი ოსტატი; 18. სპორტული სატანვარჯიშო იარაღი.

**თარაზულად:** 4. უდაბნოში მზარდი დაბალი ხე; 6. მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 8. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 10. ირლანდიის დედაქალაქი; 11. მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი; 12. ისტორიული ქართული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 14. მეცნიერულ გამოკვლევაში გამოყენებული საბუთი; 17. გეომეტრიული ფიგურა; 19. უზენაესი ღვთაება სკანდინავიურ მითოლოგიაში; 20. მწვანე ფერის ძვირფასი ქვა; 21. შტატი აშშ-ში; 22. ყურძნის დასაწური ჭურჭელი; 23. ოჩამჩირის ძველბერძნული სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




# სოსო ჯაჭვლიანი: ბოდიშს არ მოვიხდი!"



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რეჟისორი და მსახიობი სოსო ჯაჭვლიანი მერაბ თავაძეს პასუხობს და აცხადებს, რომ მის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს და ბოდიშს არ მოიხდის.

სოსო ჯაჭვლიანი:

— მერაბ თავაძემ გამართა ბრიფინგი, რომელიც გამოქვეყნდა „ახალ თაობაში" და იქ ამბობს ეს ადამიანი, რომ ჯაჭვლიანმა ბოდიში უნდა მოიხადოსო. ეტყობა, როგორ არის, იცით, კინოხელოვნება არის ილუზია და წინა ბრიფინგზეც ვთქვი და ვიმეორებ, ილუზია როცა სეთურიზმთან შეჯვარდება, ძალიან საშიშია საზოგადოებისთვის. ეტყობა, ამ ხნის განმავლობაში არ გამოჩნდნენ ადამიანები, ვინც მათ ეტყვის სიმართლეს. სიმართლე კი იცით, რამხელა ძალაა.

— ბოდიშის მოხდას არ აპირებთ?

— მერაბ თავაძე და გიორგი შენგელაია ითხოვენ ჩემგან ბოდიშს. მანამ არ აუდგათ გვერდები, სანამ მე ბოდიშს მოვიხდი. ბოდიში მათ აქვთ მოსახდელი ჩემთან. ისეთ ოჯახში ვარ გაზრდილი, ისეთ კუთხეში ვარ გაზრდილი, სადაც ადამიანის შეურაცხყოფა უტოლდება ადამიანის სიკვდილს. პირველი არასოდეს მიმიყენებია შეურაცხყოფა არავისთვის და არც მივაყენებ, მაგრამ როცა აქეთ მომაყენებენ შეურაცხყოფას, პასუხს გავცემ. მყავს ოჯახი, შვილები, სამეგობრო, სანათესაო, მათ წინაშეც ვაგებ პასუხს.

— თქვენ რატომ გადანაშაულებენ?

— სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი 2007 წლიდან 2012 წლამდე, სანამ პარლამენტში შევედი. როცა შევედი პარლამენტში და დაიწყო მოძრაობა სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმში", თითქოს მე ვიყავი ჩარეული და ვაკონტროლებდი „ქართულ ფილმს". არანაირი უფლება არ მაქვს როგორც პარლამენტარს, ეს გავაკეთო. ირაკლი ტრიპოლსკიზეც იგივეს ამბობდნენ და ამის უფლება არც მას აქვს. მაგრამ ხომ მაქვს ჩემი აზრის გამოთქმის უფლება? რა შუაშია აქ სოსო ჯაჭვლიანი, ირაკლი ტრიპოლსკი, პრემიერ მინისტრი, პარლამენტი, ქონების მართვა, კვირიკაშვილი, თუ მათ პრეტენზია აქვთ რამესთან დაკავშირებით, არსებობს პროკურატურა და უნდა იჩივლონ. აქციების 1/3 გაგვიყიდა ნაძირალა სააკაშვილმა, ეს მოხდა 2012 წელს. მერაბ თავაძე რომ ამბობს, ეს წილი რომ გაიყიდა არავინ არაფერი იცოდა სოსო ჯაჭვლიანის გარდაო, ე.ი. სააკაშვილთან ვყოფილვარ შეკრული. 1/3 მიზეზად მოაქვთ. ხელშეკრულება, რომელიც დავდე დირექტორთან ლევან ჯოხაძესთან, აქ ლაპარაკია 4800 ლარზე, ხელფასის სახით უნდა მიგვეცა ეს თანხა და მან იჩივლა. ხელშეკრულება კი მდგომარეობს შემდეგში, სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმს", როცა დაინიშნა დირექტორად ლევან ჯოხაძე, ფინანსებთან შეხება არ გვქონდა. ლევან ჯოხაძე ჩვენთან არსებული პროფკავშირების თავმჯდომარის განუგრავას სიძე აღმოჩნდა. ლაპარაკობენ ვითომ მე მოვიყვანე ის ადამიანი. როცა დაინიშნა ლევან ჯოხაძე, დაიდო ხელშეკრულება შემდეგი სახით: თუ ის მოიზიდავდა ფინანსებს და აამუშავებდა „ქართულ ფილმს", მაშინ დაენიშნებოდა 800 თუ 1000 ლარი ხელფასი. რა თქმა უნდა, ლევან ჯოხაძე ერთ-ორ კვირაში გაათავისუფლეს, ბუნებრივია, მან იჩივლა, იმიტომ რომ საშუალება არ მომეცით მემუშავაო. როცა სააკაშვილის მთავრობა ყიდის აქციებს, რომელიც რამდენიმე მილიონი დოლარი ღირს და ყიდის 4.000 ლარის გამო, რაც არის ვირტუალური ხელფასი, ამიტომ ვთხოვ პროკურატურას, შემოვიდნენ და გაარკვიონ რა ხდება. ბოლოს ირკვევა, რომ თურმე სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმს", იმ დროს, როცა ლევან ჯოხაძეს ეს ხელშეკრულება დაუდო, აუდიტმა შეამოწმა და ირკვევა, რომ ნახევარ მილიონამდე გვქონია ვალი ჩვენ. ანუ ეს იყო მიზეზი. სააკაშვილის მთავრობამ იცოდა ყველაფერი. გაყიდა სააკაშვილის მთავრობამ 1/3 300.000 ლარში, 12 მილიონიანი აქტივები და ეს შეისყიდა სახელმწიფოს შპს-მ, მათ უნდოდათ ეს გაეყიდათ, მაგრამ მოვიდა პირველი ოქტომბერი, აქ დევს 300.000 ლარი, აქაა სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი" და თუ ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა დავიბრუნოთ ეს ქონება, აქ არის პროკურატურა და ვილაპარაკოთ. იცით, რატომ ეწვით მათ კუჭი? ყოველთვის დოკუმენტებით ვლაპარაკობ, ჩემი ილუზიით არასოდეს ვილაპარაკებ. როცა მერაბ თავაძე გამოდის და ლაპარაკობს ისე, რომ მას არანაირი დოკუმენტი არ გააჩნია, ეს არის სიცრუე. ჩვენ გვაქვს დოკუმენტი, როცა მათი დირექტორი იყო მაია არე-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# კობიაშვილს 10 მაისს გააცილებენ

10 მაისს ბუნდესლიგის ბოლო საშინაო მატჩში „ჰერტა" დორტმუნდის „ბორუსიას" უმასპინძლებს და ქართველ ფეხბურთელს, ლევან კობიაშვილს ბერლინური კლუბიდან ამ მატ-



ჩში გააცილებენ.

„ჰერტას" 36 წლის ლეგიონერ ლევან კობიაშვილს კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლომდე აქვს, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ბერლინელები მისთვის ახალი ხელშეკრულების შემოთავაზებას აღარ აპირებს. ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ „ჰერტას" გენერალურმა მენეჯერმა მიხაელ პრეეტცმა განაცხადა.

აღსანიშნავია, რომ „დორტმუნდთან" მატჩის ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია.

ლევან კობიაშვილი:

— ეს იქნება ბერლინში ჩემი კარიერის შესანიშნავი ფინიში. უკვე ველარ წარმომიდგენია, სეზონის მერე ჩემი სხვა კლუბში გადასვლა.

როგორც ჩანს, კობი კარიერის გაგრძელებას არ აპირებს, მაგრამ ფეხბურთში რომ დარჩება, ფაქტია. ახლა საკითხავი ის არის — გერმანულ ფეხბურთში დარჩება, თუ ქართულში. გავრცელებული ხმებით, კობი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში იყრის კენჭს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი
ფელიქს ლაპიცკი



ატარებს რეაბილიტაციას რთული მოტეხილობის შემდგომ მოძრაობის აღდგენით

ასწორებს:
- აღნაგობის დარღვევას
- სქოლიოზს
- გულმკერდის დეფორმაციას
- „ქათმისებურ მკერდს"

მკურნალობს:
- ოსტეოქონდროზს (მარილებს)
- ზურგის არეში ტკივილებს
- რადიკულიტს
- უძილობას, ნევროზს
- თავბრუსხვევას



ტელ.: 232 47 38; მობ.: 595 63 92 94
E-mail: felix_lapitski@yahoo.com

მარიამ ლაპიცკი
გთავაზობთ ჩვილ ბავშვთა სამკურნალო მასაჟს
მობ.: 598 40 53 08

